186
1962

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 1962 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

65. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობაში საწარმოო პროცესების ელექტრომექანიზაციის მდგომარეობისა და ზომების შესახებ
66. **მეთესლ**ეობის ძირეულად გაუმჯობესებისა და საქართველოს სსრ კოლ**მეურნ**ეობების და საბჭოთა მეურნეობების მაღალხარისხოვანი თესლით **უზრუნ**ველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
67. **საქარ**თველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და **უწყ**ებათა სისტემაში შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
68. „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.
69. საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ.
70. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.
71. საქართველოს სს რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.
72. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

73. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

74. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშების განსახილველად საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსაწსახურეთა და საზოგადოებრიობის ფართო წრის მოზიდვის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75. ქალაქებსა, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკრებულოებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის ხილ-კეხკოის ხაოგავებისა და ხათესების ღირებულების ახაზღაურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

76. კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისათვის საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების გატანის აკრძალვის შესახებ.

77. გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებითა და ნაყარით ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გაბინძურებისა და დანაგვიანებისათვის, აგრეთვე წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების წესების სხვა დარღვევებისათვის თანამდებობის პირთა და ცალკეულ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის შესახებ.

78. ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

79. საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.

80. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 იანვრის № 4 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

81. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან საწარმოო სიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიებისა და მიწათმოწყობის სამსახურის ორგანიზაციის შესახებ.

82. იმ ინდივიდუალური მონაშენებისათვის, რომლებიც თავს არიდებენ სახლების მშენებლობის დამთავრების, ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის, აგრეთვე დაუმთავრებელ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა გაწერის შესახებ.

83. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სოფლის ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარე-

ბისადმი ტექნიკური ზედამხედველობის და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის“ დებულების მე-10 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

84. სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული ინსპექტურების მოწყობის შესახებ.

85. ძეძკვეთთა მიერ სამშენებლო ორგანიზაციებისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართობის გამოყენების წესის შესახებ.

86. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 210 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

87. საცხოვრებელი ფონდის მოვლა-შენახვის გაუმჯობესებისა და მობინადრეებთან ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურებისათვის ანგარიშსწორების გამარტივების შესახებ.

88. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის დადგენისა და დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი საზოგადოებრივი კოტროლის მოწყობის შესახებ.

89. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 მაისის № 346 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

90. თამბაქოს თავისუფალი გაყიდვისა და საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ მისი გატანის აკრძალვის შესახებ.

91. საწარმოთა და ორგანიზაციათა დაცვის მოწესრიგების შესახებ.

92. სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ.

93. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

94. ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საკონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ არსებული ინსტრუქციის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე.

95. ტრიანგულაციისა და ნიველირების სახელმწიფო გეოდეზიური ნიშნების დაცვის შესახებ.

96. საუწყებო და სასამსახურო საცხოვრებელი სადგომების გამოყენების მოწესრიგების შესახებ.

97. საქართველოს სსრ მთავრობის მიერ ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის საკითხებზე, მიღებულ გადაწყვეტილებათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

98. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 1 აგვისტოს № 983 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

99. საქართველოს სსრ მთავრობის მიერ გეოლოგიისა და წიაღის დაცვის საკითხებზე მიღებულ ზოგიერთ გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

F13630

100. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ.

101. ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების თავიდან აშორებისა და ლიკვიდაციის საკითხები.

102. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

65 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობაში საწარმოო პროცესების ელექტრომექანიზაციის მდგომარეობისა და ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მეტად არადამაკმაყოფილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მდგომარეობა.

მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის თანამედროვე შესაძლებლობანი და ტექნიკის არსებობა საშუალებას იძლევიან უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია და ელექტროფიკაცია.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა" საკმაო ყურადღებას არ აქცევს მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

საბჭოთა მეურნეობების ბევრი დირექტორი და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები არ კისრულობენ მატერიალურ პასუხისმგებლობას ტექნიკის გამოუყენებლობისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა", საქართველოს კპ საოლქო კომიტეტები, ცენტრალური კომიტეტის პარტორგები, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობაში ელექტრომექანიზაციის საკითხებს, პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, შეურიგდნენ შრომატევადი პროცესების მექანიზაციის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში არსებულ სერიოზულ ჩამორჩენას. ამ საკითხებისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგად, მეცხოველეობაში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება არ მატულობს. ხოლო პროდუქციის თვითღირებულება მეტად მაღალი რჩება.

გურჯაანის, ბოლნისის, სიღნაღის რაიონების, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის, ზოგიერთი სხვა ტერიტორიული სამმართველოს მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად წა-

რმოებს მეცხოველეობის ფერმებში დადგმული სამანქანო მოწყობილობის გამოყენება.

მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის პროექტებით არ არის გათვალისწინებული ზონალური თავისებურებანი, ახალი ტექნოლოგიისა და ელექტრომექანიზაციის საშუალებათა გამოყენება, ხოლო დამთავრებული სადგომების გადაცემა საექსპლუატაციოდ წარმოებს სამანქანო მოწყობილობის დაუდგმელად, რითაც ირღვევა სამშენებლო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის მოქმედი წესი.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მეცხოველეობაში მექანიზაცია, რაც უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებას და მისი თვითღირებულების შემცირებას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს აცნობოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 დეკემბრის № 742 დადგენილებით დაწესებული დავალებანი მეცხოველეობაში 1962 წლისათვის შრომატევადი პროცესების კომპლექსური ელექტრომექანიზაციის განხორციელების შესახებ.

დამტკიცდეს 1963 წლისათვის მეცხოველეობის მექანიზაციის დავალება, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", პარტიის აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, პარტორგებს, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოების უფროსებს, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მმართველს სათანადო წესრიგი დაამყარონ მეცხოველეობის ფერმების კომპლექსური ელექტრომექანიზაციის განხორციელების საქმეში, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცხოველეობის ფერმების კომპლექსური ელექტრომექანიზაციის ამ დადგენილებით დაწესებულ დავალებათა უცილობლივ შესრულებას. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შენდებად მეცხოველეობის სადგომებში მექანიზაციის მოწყობილობის მონტაჟი დაეკისროს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წინათ აშენებულ სადგომებში მეცხოველეობის მოწყობილობის მონტაჟის მთელი სამუშაოები განხორციელდეს სპეციალური სამონტაჟო ბრიგადების მეშვეობით „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებებთან სახელშეკრულებო საფუძვლებზე.

3. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“:

ა) მოაწყოს წნორის, გორის, მარნეულის, ახალციხის, ცხაკაიას, ზესტაფონის, ქობულეთისა და სოხუმის განყოფილებებთან მეცხოველეობის კომპლექსური ელექტრომექანიზაციისათვის მოწყობილობისა და აპარატურის კომპლექტაციის საჭიროები იმ ანგარიშით, რომ გადაცემულ იქნან ისინი საექსპლუატაციოდ 1963 წლიდან.

ბ) შექმნას 1962 წელს ყველა რაიონულ (სარაიონთაშორისო) განყოფილებასთან მუდმივმოქმედი სამონტაჟო ბრიგადები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების ელექტრომექანიზაციის საჭუშაოთა შესასრულებლად. პერსონალის საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე, რაც გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ დაუმტკიცდა 1962 წლისათვის.

4. მეცხოველეობის ფერმების ელექტრომექანიზაციის ხარჯები გაწეულ იქნას როგორც სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა სახსრებიდან, ისე სახელმწიფო ბანკის კრედიტებიდან, დადგენილი წესით.

სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ დაუბრკოლებლივ აძლიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კრედიტები მეცხოველეობის ფერმების ელექტრომექანიზაციის ახალი ტექნიკის დასანერგავად. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებისა და მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მოთხოვნებით.

5. დაევალოთ „საქსოფლელექტროპროექტს“ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ მეცხოველეობის ფერმების კომპლექსური ელექტრომექანიზაციის ტიპიური პროექტი რესპუბლიკის ცალკეული ზონების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. ამასთან დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენს გამოყოს საჭირო სახსრები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან" ერთად, მასალების წარმოდგენიდან ორი კვირის ვადაში განიხილონ და დაამტკიცონ რესპუბლიკის ცალკეული ზონების მიხედვით მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების ელექტრომექანიზაციის ტიპიური პროექტები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენის „საქსოფლმშენპროექტს" მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის ტიპიური პროექტების მორგების დროს ტექნიკურ დოკუმენტაციაში გაითვალისწინოს შრომატევადი პროცესების კომპლექსური ელექტრომექანიზაციის პროექტები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენის მიერ.

ამასთან ერთი თვის ვადაში შეიტანოს საძროხეებისა და საფრინველეების მშენებლობის ადგილებზე მორგებულ პროექტებში, რომლებიც 1962 წელს უნდა აშენდეს, მეცხოველეობის პროცესების ელექტრომექანიზაციის ელემენტები.

8. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გადასინჯოს და დააზუსტოს ინსტიტუტ „საქსოფლელექტროპროექტის" საპროექტო სამუშაოთა 1962 წლის გეგმა მეცხოველეობის ფერმების კომპლექსური ელექტრომექანიზაციისათვის ობიექტების მიხედვით, ამასთან შეიტანოს საპროექტო სამუშაო გეგმაში პირველ რიგში ის ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან გარეგანი ელექტრო და წყალმომარაგებით.

9. დაევალოს „საქსოფლელექტროპროექტს" შემდგომ არ გამოუშვას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის ტექნიკური პროექტები ისე, თუ არ ექნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კერძოდ მეცხოველეობის ელექტრომექანიზაციის პროექტები.

10. დაევალოს საქართველოს მანქანათსაცდელ სადგურს ჩაატაროს 1962 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კომპლექსური ელექტრომექანიზებული სისტემის სახელმწიფო გამოცდები.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტი-

ტუტს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს სამუშაო ნახაზები კომპლექსური ელექტრომექანიზებული დანადგარისა პროგრამული მართვით და გადასცეს ისინი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს აანაზღაუროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან სახელმეკრულებო საფუძვლებზე, აღნიშნული დანადგარის სამუშაო ნახაზების შედგენის სამუშაოები 10 ათას მანეთამდე, კაპიტალდაბანდებათა იმ საერთო მოცულობის ხარჯზე, რაც სამინისტროს დაუმტკიცდა 1962 წლისათვის.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დაამზადოს 1963 წელს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ დაკვეთით საფრინველის კომპლექსური ელექტრომექანიზებული დანადგარი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სისტემის პროგრამული მართვით.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მეცხოველეობის მექანიზაციის კურსის შესწავლის გაუმჯობესება საქართველოს სასწავლო-საკვლევ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში.

14. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს და მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მეურნეობებს მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების ელექტრომექანიზაციის დავალებათა უცილობლივ შესრულებაში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ მტკიცე საკვები ბაზის შექმნასთან, პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებასთან ერთად მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ერთ-

ერთ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ყოველმხრივ გაფართოება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 3 ივლისი, № 455.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 455 დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა კომპლექსური ელექტრომექანიზაციისა 1963 წელს

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეურნეობანი	სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში (სადგომების რაოდენობა)		
		საძროხეები (საკვების მიცემა, დარწყურება, სველი ნაკელის გატანა)	საღორეები (საკვების მიცემა, დარწყურება, ნაკელის გატანა)	სადგილეები (საკვების მიცემა, დარწყურება, სადგომების დასუფთავება, ჯაგრცხის შეგროვება)
1. თელავის	კოლმეურნეობა	2	—	3
	საბჭოთა მეურნეობა	1	2	—
2. გურჯაანის	კოლმეურნეობა	3	—	—
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	5
3. სიღნაღის	კოლმეურნეობა	5	3	—
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	10
4. ბოლნისის	კოლმეურნეობა	2	—	—
	საბჭოთა მეურნეობა	3	—	12
5. თეთრიწყაროს	კოლმეურნეობა	2	2	—
	საბჭოთა მეურნეობა	3	—	—
6. დუშეთის	კოლმეურნეობა	2	—	2
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	—
7. გორის	კოლმეურნეობა	4	—	—
	საბჭოთა მეურნეობა	6	2	10
8. ახალციხის	კოლმეურნეობა	8	—	—
	საბჭოთა მეურნეობა	7	—	—
9. ზესტაფონის	კოლმეურნეობა	1	—	—
	საბჭოთა მეურნეობა	1	—	—
10. სამტრედიის	კოლმეურნეობა	4	—	—
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	8

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეურნეობანი	სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია ძიცხოველეობის ფერმებში (სადგომების რაოდენობა)		
		საძროხეები (საკვების მიცემა, დარწყურება, სველი ნაკელის გატანა)	საღორეები (საკვების მიცემა, დარწყურება, ნაკელის გატანა)	საფრინველეები (საკვების მიცემა, დარწყურება, საფეგნების დასუფთავება, ყვერტების ფეგრობა)
11. ამბროლაურის	კოლმეურნეობა	5	—	—
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	—
12. წყალტუბოს	კოლმეურნეობა	6	1	—
	საბჭოთა მეურნეობა	2	—	—
13. მახარაძის	კოლმეურნეობა	4	—	1
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	—
14. ცხაკაიას	კოლმეურნეობა	3	1	—
	საბჭოთა მეურნეობა	1	6	—
15. ზუგდიდის	კოლმეურნეობა	4	—	4
	საბჭოთა მეურნეობა	1	13	—
16. მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი	საბჭოთა მეურნეობა	30	10	30
17. აფხაზეთის ასსრ	კოლმეურნეობა	7	3	—
	საბჭოთა მეურნეობა	2	—	5
18. აჭარის ასსრ	კოლმეურნეობა	20	6	5
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	5
19. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	კოლმეურნეობა	1	1	—
	საბჭოთა მეურნეობა	—	—	—
	სულ კოლმეურნეობა	83	17	15
	საბჭოთა მეურნეობა	57	33	85
	მთლად საქართველოს სსრ-ში	140	50	100

66 მეთესლეობის ძირეულად გაუმჯობესებისა და საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაღალხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი თესლით სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა თესლის ჯიშობრივი და სათესი თვისებები. 1959 წლის მოსავლისათვის დათესილი იყო კოლმეურნეობებში მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების დაბალი ხარისხის თესლი—საშემოდგომო — 47,9 პროცენტი და საგაზაფხულო — 26,6 პროცენტი, 1960 წლის მოსავლისათვის, შესაბამისად, საშემოდგომო — 39,6 პროცენტი და საგაზაფხულო — 34,1 პროცენტი, ხოლო 1962 წლის მოსავლისათვის — საშემოდგომო — 43 პროცენტი და საგაზაფხულო—29,8 პროცენტი. მარცვლეულ და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების დაბალი ხარისხის თესლი დათესილი იყო საბჭოთა მეურნეობებშიც.

1962 წლის მოსავლისათვის დაბალი ხარისხის თესლი დათესილი იყო შემოდგომაზე კოლმეურნეობებში — 35,5 პროცენტი და საბჭოთა მეურნეობებში — 51,8 პროცენტი, ხოლო საგაზაფხულო თესვისათვის, მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების შემოწმებული სათესლე მასალიდან, კონდიციური აღმოჩნდა 90,8 პროცენტი.

ცუდი მოვლის შედეგად გაფუჭდა თავთავიანი კულტურების თესლი და არაკონდიციური აღმოჩნდა ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებში 1952 ცენტნერი, კასპის რაიონის კოლმეურნეობებში — 560 ცენტნერი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში — 278 ცენტნერი. უვარგისი აღმოჩნდა აგრეთვე სიმინდის სათესლე მასალა აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში — 218 ცენტნერი, წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებში — 25 ცენტნერი და სხვ.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს საგაზაფხულო თესვის დასაწყისისათვის ჰქონდათ მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების არაკონდიციური თესლი: სიწმინდის მხრივ — 2.369 ცენტნერი, აღმოცენების მხრივ — 754 ცენტნერი და ტენიანობის მხრივ — 1.841 ცენტნერი.

სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს არ შეუსრულებიათ ელიტური და ჯიშიანი თესლის წარმოების სახელმწიფო დავალება. მიწათმოქმედების ინსტიტუტმა 1961 წელს ელიტური თესლის წარმოების გეგმა შეასრულა მხოლოდ 9,1 პროცენტით, სასელექციო სადგურმა კი — 23,3 პროცენტით.

არ არის შექმნილი ერთიანი სისტემა ხარისხოვანი თესლის წარმოებისა და გამრავლებისათვის.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ ტარდება, როგორც წესი, ჯიშგანახლება. არ არის მოგვარებული მაღალხარისხოვანი ელიტური თესლის გამრავლება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ხშირად არადანიშნულებისამებრ იყენებენ თავთავიანი კულტურების, სიმინდის, სოიისა და კარტოფილის თესლს, რომელსაც სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისაგან ღებულობენ.

ამ მიზეზით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი აწარმოებს თესვას დაბალი ხარისხის თესლით, რაც წინასწარ განაპირობებს დაბალი მოსავლის მიღებას.

1961 წელს ალგეთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ცუდი ძოვლის გამო გაფუჭდა „ნოვოუკრაინკა-83“ საშემოდგომო ხორბლის პირველი რეპროდუქციის თესლი 500 ცენტნერის რაოდენობით; კასპის რაიაღმასკომმა 1961 წელს ჯიშგანახლებისათვის მიღებული 80 ცენტნერი ქერი მისცა ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, აგრეთვე დაბა კასპის და სოფელ დოესის კოლმეურნეობებს სამეურნეო საჭიროებისათვის დასათესად; ქარელის რაიაღმასკომმა ჯიშგანახლების განკუთვნილი „აჯამეთის თეთრი“ და „ქართული კრუგის“ ჯიშის სიმინდის 75 ცენტნერი თესლი გამოიყენა დანაკლისის დასაფარავად.

მეურნეობის ზოგიერთი ხელმძღვანელი და სპეციალისტი უპასუხისმგებლოდ ეკიდება სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოებას. ყულარის საბჭოთა მეურნეობაში ჰიბრიდული სიმინდის სათესლე ნათესი მოუვლელობის გამო დაიღუპა. აგრეთვე ჩაშალა მუშაობა სიმინდის ჰიბრიდების მშობლიური ფორმების გამოყვანისათვის ყოფილმა მუხროვანის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ.

1961 წელს სიმინდის ჰიბრიდული თესლის წარმოების დავალება ვეთესლეობის 40 მეურნეობიდან არ შეუსრულებია 10 მეურნეობას, თაობის ჰიბრიდული თესლი. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია

მარცვლეულ-პარკოსანი, საკვები, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის მეთესლეობა.

რესპუბლიკაში სრულიად არ არის მოგვარებული ისეთი ძვირფასი მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების მეთესლეობა და სასელექციო მუშაობა, როგორიცაა ბარდა, ცერცვი, ცულისპირა და სხვ.

რესპუბლიკაში ჩამორჩენილია კარტოფილის მეთესლეობა, ელიტური თესლის რაოდენობა, დავალებით გათვალისწინებული 360 ტონის ნაცვლად, არ აღემატება 80—100 ტონას. საფრთხე ემუქრება „ასურეთის", „საადრეო ვარდის" და სხვ. ჯიშების მეთესლეობას.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არ არის მოწყობილი მეთესლეობის ბრიგადები და განყოფილებები. არ არის გამოყოფილი სათესლე ნაკვეთები, არ მზადდება თესლი მეურნეობათა სრული მოთხოვნების ოდენობით.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული თესლის მოთხოვნილების დაგეგმვა, წარმოება და აღრიცხვა, არ წარმოებს თესლის წიგნები. ჯიშიანი თესლის მოყვანა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციურ აგრონომთა ხელმძღვანელობით.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თესლის კონტროლის ლაბორატორიები; დაბალ დონეზეა მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. ლაბორატორიები არ არიან დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური აგრონომიული კადრებით, რის გამო ნათესების აპრობაცია ხშირად უხარისხოდ წარმოებს, ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ იძლევა წარმოდგენას ნამდვილ ჯიშობრივ სიწმინდეზე.

ნათესების სიწმინდის არასწორად განსაზღვრას ადგილი ჰქონდა სამგორის, დმანისის, ბოლნისის რაიონებში, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქჯიშთესლბოსტნეულის რესპუბლიკური კანტორის და პურის პროდუქტების მთავარ სამმართველოს სისტემაში არ არის მოწესრიგებული ჯიშიანი თესლის შესყიდვა, მისი შენახვა და რეალიზაცია, არ სრულდება კულტურებისა და ჯიშების მიხედვით თესლის დამზადების გეგმები.

არის შემთხვევები, როდესაც ამ ორგანიზაციების ბაზებიდან იყიდება დაბალი ხარისხის და არაკონდიციური თესლი. პურის პროდუქტების ხაშურის ბაზაში მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაფუჭდა სიმინდის 400 ცენტნერი ჰიბრიდული თესლი, ხოლო ნავთლუღის

ბაზაში — 119 ცენტნერი. ახალციხის ბაზამ კოლმეურნეობებს დასათესად მისცა ბარდის არაკონდიციური თესლი.

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზები არ არიან უზრუნველყოფილი სასაწყობო მეურნეობით, თესლის საწმენდი და თესლის საშრობი მანქანებით. ჯიშიანი თესლი ხშირად ინახება სასაქონლო მარცვალთან ერთად, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს თესლის ხარისხს, ზოგჯერ კი ხდის მას თესვისათვის უვარგისად.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მეთესლეობაში შექმნილი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარტიის რაიკომები და რაიაღმასკომები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს და მთელ რიგ შემთხვევებში უხეშად არღვევდნენ აგროტექნიკას.

ზოგიერთი რაიონის პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის მხრივ მეთესლეობის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იმით გამოიხატება, რომ 1958 წელს ცხაკაიას რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიის სადგომში გახსნეს საბილიარდო, ხოლო ცხინვალის თესლის კონტროლის ლაბორატორიის საუწყებო შენობაში ერთი ოთახი კერძო მობინადრეს გადასცეს, ხოლო დანარჩენ ოთახებში მოათავსეს მეტეოროლოგიური სადგური და საკარანტინო ინსპექცია. თესლის კონტროლის ლაბორატორიების სადგომები ასევე არადანიშნულებისამებრ იყო გამოყენებული ლაგოდეხის, ქარელის, თიანეთისა და სხვა რაიონებში.

ხელმძღვანელობდა რა არასაქმიანი მოსაზრებებით, ცხინვალის რაიაღმასკომმა თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგედ დანიშნა ზოოტექნიკოსი, ხოლო უფროს სპეციალისტად — ექიმი.

მეთესლეობის უგულებელყოფამ გამოიწვია ძირითადი კულტურების დაბალი მოსავლიანობა მთელი რიგი წლების განმავლობაში. მაგალითად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთ ჰექტარზე მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა შეადგენდა: 1958 წელს — 11,9 ცენტნერს, 1959 წელს — 13,7 ცენტნერს, 1960 წელს — 13,5 ცენტნერს, 1961 წელს — 13,1 ცენტნერს; სიმინდისა, შესაბამისად, 15,5 ცენტნერს, 17,3 ცენტნერს, 16,3 ცენტნერს და 17,3 ცენტნერს; ბოსტნეული კულტურებისა — 69 ცენტნერს, 64 ცენტნერს, 69 ცენტნერს და 66 ცენტნერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმმა ახლებურად განსაზღვრა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ამოცანა.

ახლა, როდესაც შექმნილია სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ძირითადი რგოლები — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები, არსებობს მეთესლეობის საქმის გადაჭრით გაუმჯობესების სრული შესაძლებლობა.

ტერიტორიული სამმართველოების გადაუდებელი ამოცანაა ყოველნაირად განამტკიცონ მეთესლეობა, როგორც იმის საჭირო პირობა, რომ ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და უზრუნველყოფილ იქნას თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მაღალხარისხოვანი თესლით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მეთესლეობის ძირეულად გაუმჯობესების და იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი თესლით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სრულიად შეუწყნარებლად ჩაითვალოს და დაგმობილ იქნას მეთესლეობის საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, რაც დამკვიდრდა ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების, კოლმეურნეობათა გამგეობისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მუშაობის პრაქტიკაში.

დაევალოთ ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების პარტორგებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს დაგეგმონ და ყოველწლიურად აწარმოონ მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი, საკვები, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის მაღალხარისხოვანი თესლი იმ ოდენობით, რაც სავსებით უზრუნველყოფს მეურნეობათა მოთხოვნილებას.

2. დაწესდეს, რომ:

ა) მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი, საკვები, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ელიტურ თესლს აწარმოებენ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი, ხოლო პირველი რეპროდუქციის თესლს — სპეციალურად გამოყოფილი მეთესლეობის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები;

F13630

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პირველი რეპროდუქციის თესლი უშუალოდ მიეყიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სათესლე ნაკვეთებზე გასამრავლებლად, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მიერ შემუშავებული ჯიშგანახლების გეგმის თანახმად, იმ წესის შესაბამისად, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების თესლი მიეყიდება საქჯიშთესლბოსტნეულის კანტორას, ხოლო სიმინდის ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლი, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ჯიშიანი თესლი — პურის პროდუქტების მთავარ სამმართველოს, რომლებიც უზრუნველყოფენ თესლის აყვანას სათეს კონდიციებამდე;

გ) კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მეთესლეობის მეურნეობებისაგან მიღებულ პირველი რეპროდუქციის თესლს გაამრავლებენ სათესლე ნაკვეთებზე ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისია უზრუნველყოფს მეურნეობის მოთხოვნილებას.

3. რესპუბლიკის ცალკეული ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით დამტკიცდეს მეთესლეობის მეურნეობათა ქსელი 85-ის რაოდენობით, № 1 დანართის თანახმად.

ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა თესლის ჯიშობრივ თავისებურებათა შესანარჩუნებლად და სათესლე მასალის გაწმენდისა და დახარისხების მექანიზაციის უზრუნველსაყოფად თავი მოუყარონ თესლის წარმოებას, როგორც წესი, ერთ ბრიგადასა და განყოფილებაში და მეთესლეობისადმი ხელმძღვანელობა დააკისრონ კვალიფიციურ აგრონომებს.

4. დაევალოთ:

ა) საქართველოს მემინდვრეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, საქართველოს სასელექციო სადგურს და ლაგოდეხის მეთამბაქოეობის საცდელ სადგურს — მოიყვანონ 1963 წელს და გადასცენ მეთესლეობის მეურნეობებს თავთავიანი კულტურების თესლი: ელიტური — 2.418 ცენტნერი და პირველი რეპროდუქციისა — 3.230 ცენტნერი, სიმინდის ელიტისა — 260 ცენტნერი, ხაზებისა — 31 ცენტნერი და ელიტური თესლი: კარტოფილისა — 1800 ცენტნერი, სოიისა—170 ცენტნერი და მზესუმზირასი—90 ცენტნერი.

1964-1965 წლებიდან, ყოველწლიურად აწარმოოს მხოლოდ ელიტური თესლი: თავთავიანი კულტურებისა — 6.270 ცენტნერი, სიმინდისა — 300 ცენტნერი, ხაზებისა — 40 ცენტნერი, კარტოფილისა — 3.600 ცენტნერი, სოიისა — 170 ცენტნერი, მზესუმზირასი — 90 ცენტნერი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა — 66 ცენტნერი, № 2 დანართის თანახმად;

ბ) მეთესლეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს — ყოველწლიურად აწარმოონ თესლი: თავთავიანი კულტურებისა — 26.675 ცენტნერი, სიმინდისა ჯიშიანი — 9.080 ცენტნერი, ჰიბრიდული — 15.000 ცენტნერი, სოიისა — 2.506 ცენტნერი, კარტოფილისა — 20.165 ცენტნერი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა—3.800,8 ცენტნერი, №№ 3, 4, 5 და 6 დანართების თანახმად.

5. დაწესდეს, რომ:

ა) ჯიშიანი თესლის გაცემა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებიდან და მეთესლეობის მეურნეობებიდან წარმოებს მოქმედ ფასებში ჯიშობრივი დანამატით;

ბ) ელიტისა და პირველი რეპროდუქციის თესლი მიეცემათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაპლომბილი ტომრებით, იმ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების და მეთესლეობის მეურნეობის მარკით, რომლებმაც თესლი გამოიყვანეს. ამასთან უნდა ექნეთ თანმხლები დოკუმენტები ჯიშობრივი სათესი თვისებების შესახებ;

გ) ჯიშიანი სათესლე კარტოფილის შესყიდვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და მეთესლეობის მეურნეობების მიერ მოყვანილი სუპერელიტური, ელიტური და ჯიშიანი სათესლე კარტოფილის ანაზღაურება, 1962 წლის მოსავლიდან დაწყებული, იწარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 24 მაისის № 487 დადგენილებით დაწესებულ ფასებში, ამასთან გაიცემა ფულადი ჯიშობრივი დანამატი შემდეგი რაოდენობით:

პირველი კატეგორიის ჯიშიანი სათესლე კარტოფილის საადრეო და საშუალო-საადრეო ჯიშებისათვის — 200 პროცენტი ან ერთი ცენტნერი სრული ღირებულება 24 მანეთის დამატებასთან ერთად;

მეორე კატეგორიის ჯიშიანი სათესლე კარტოფილის საადრეო და საშუალო-საადრეო ჯიშებისათვის — 175 პროცენტი ან 22 მანეთი ცენტნერში;

პირველი კატეგორიის ჯიშიანი სათესლე კარტოფილის საშუალოდ მწიფე, საშუალო-საგვიანო და საგვიანო ჯიშებისათვის — 150% ან 20 მანეთი ცენტნერში.

მეორე კატეგორიის ჯიშიანი სათესლე კარტოფილის საშუალოდ მწიფე, საშუალო-საგვიანო და საგვიანო ჯიშებისათვის — 100 პროცენტი ან 16 მანეთი ცენტნერში;

ელიტური კარტოფილის საადრეო და საშუალო-საადრეო ჯიშებისათვის — 250 პროცენტი ან 28 მანეთი ცენტნერში.

ელიტური კარტოფილის საშუალოდ მწიფე, საშუალო-საგვიანო და საგვიანო ჯიშებისათვის — 200 პროცენტი ან. 24 მანეთი ცენტნერში.

სუპერელიტური კარტოფილის საადრეო და საშუალო-საადრეო ჯიშებისათვის — 300 პროცენტი ან 32 მანეთი ცენტნერში.

სუპერელიტური კარტოფილის საშუალოდ მწიფე, საშუალო-საგვიანო და საგვიანო ჯიშებისათვის — 250 პროცენტი ან 28 მანეთი ცენტნერში;

დ) შეიქმნას საუკეთესო დარაიონებული ჯიშების სათესლე ჯიშიანი კარტოფილის რესპუბლიკური ფონდი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაცემად, № 5 დანართის თანახმად.

ჯიშიანი კარტოფილის თესლის შესყიდვა მეთესლეობის მეურნეობებში რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად დაევალოს საქჯიშთესლბოსტნეულის კანტორას;

ე) საქჯიშთესლბოსტნეულის კანტორის მიერ ჯიშიანი სათესლე კარტოფილის შესყიდვისა და რეალიზაციის ხარჯებს აანაზღაურებენ კარტოფილის მყიდველები სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

ელიტური და ჯიშიანი სათესლე კარტოფილის გაზაფხულზე გაცემის დროს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა მეურნეობები და ორგანიზაციები აუნაზღაურებენ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, მეთესლეობის მეურნეობებს და საქჯიშთესლბოსტნეულის კანტორას კარტოფილის საზამთრო შენახვის ხარჯებს ტონაში 9 მანეთის რაოდენობით.

6. წინადადება მიეცეთ ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების და მეთესლეობის მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მეურნეობის სხვა დარგების განვითარების გეგმების შედგენა, ხარისხოვანი თესლის წარმოებისათვის ზიანის მიუყენებლად.

7. წინადადება მიეცეთ ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ზონარგაყრილი წიგნის წარმოება და გააძლიერონ მოთხოვნები მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და აგრონომების მიმართ იმ მიზნით, რომ გამოყონ სათესლე ფონდებისათვის მაღალი ხარისხის თესლი და მოაწყონ მისი სათანადო შენახვა.

8. უზრუნველყოფილ იქნას ელიტური თესლის მწარმოებელ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მეთესლეობის მეურ-

ნეობებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში თესლის სადაზღვევო ფონდის შენახვა მოთხოვნილების 50 პროცენტის რაოდენობით. ამ მიზნით ყოველწლიურად გამოიყოს 1962—1965 წლებში საჭირო რაოდენობის თესლის 12-15 პროცენტი და შემდგომ სისტემატურად მოხდეს სადაზღვევო ფონდების განახლება.

მთიანი ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც თესვის ვადებთან დაკავშირებით გამორიცხულია იმავე წლის მოსავლის თესლის თესვის შესაძლებლობა, შეიქმნას 2-3 წლის განმავლობაში თესლის გარდამავალი ფონდები.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უხვმოსავლიანი ჯიშების უსწრაფესად გავრცელებას, მიიღოს ზომები სიმინდის დარაიონებული და პერსპექტიული ჰიბრიდული თესლის წარმოებისათვის, იმ ანგარიშით, რომ 1963—1965 წლებში ყოველწლიურად დაითესოს ჰიბრიდული თესლი სულ ცოტა 50 ათას ჰექტარზე.

ბ) მოაწყოს ძვირფასი მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების — ბარდის, ცერცვის, ცულისპირას, ლობიოს, სოიის მეთესლეობა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა დახმარებით გააძლიეროს მუშაობა, რათა გამოყვანილ და გავრცელებულ იქნას ამ კულტურების ტექნოლოგიური ნიშნის მიხედვით ძვირფასი უხვმოსავლიანი და დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ გამძლე თესლი;

88X5

გ) მიიღოს ზომები ჯიშიანი სათესლე კარტოფილის წარმოების გადიდებისათვის, განსაკუთრებით ადრეულა ჯიშების გამრავლებისათვის, იმ ვარაუდით, რომ უახლესი 2-3 წლის განმავლობაში ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში წარმოებდეს ამ კულტურის თესვა უხვმოსავლიანი და ხარისხოვანი თესლით;

დ) ჯიშიანი თესლის წარმოების მოწესრიგების მიზნით დააწესოს მეთესლეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგრონომის თანამდებობა, ხოლო ტერიტორულ საწარმოო სამმართველოებში — უფროსი აგრონომის თანამდებობა 1962 წლისათვის დამტკიცებული შტატების ფარგლებში;

ე) მოაწყოს მეთესლე აგრონომებისათვის, აპრობატორებისათვის, მეთესლეობის ბრიგადების ბრიგადირებისათვის, მეთესლეობის განყოფილებათა მმართველებისათვის ჯიშიანი თესლის წარმოებისა და შენახვის კურსები და თესლის საწყობების გამგეთა გადასამზადებელი კურსები;

ვ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დააწესოს წახალისებითი ლონისძიებანი ჯიშიანი თესლის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის;

ზ) უზრუნველყოს პურის პროდუქტების ძირითადი პუნქტებისა და ბაზების — ახალქალაქის, ახალციხის, გორის, ბადიაურის, წნორის, წითელწყაროს, თელავის, ნავთლუღის, მარნეულის, ქუთაისის, ზესტაფონის, სამტრედიის, აბაშის, ზუგდიდის, მახარაძის, სოხუმის პუნქტების სპეციალიზაცია ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის მიღების, შენახვისა და რეალიზაციის საკითხებზე. აღჭურვოს ეს პუნქტები მეთესლეობისათვის საჭირო თანამედროვე მანქანებითა და მოწყობილობით.

დააკომპლექტოს სპეციალიზებული პუნქტები და ბაზები აგრონომებით და თესლის საწყობების გამგეობა, როგორც წესი, დააკისროს აგრონომიული განათლების მქონე პირებს;

თ) უზრუნველყოს აბაშისა და მარნეულის სიმინდის თესლის დამმუშავებელი ქარხნების მშენებლობა დაწესებულ ვადებში;

ი) უახლოესი 1-2 წლის განმავლობაში აღჭურვოს თესლის კონტროლის ახალი ტიპის ლაბორატორიები თესლის ხარისხის გამოსარკვევი მოწყობილობით. ამავე ვადაში უზრუნველყოს თესლის კონტროლის ლაბორატორიები შესაბამისი სადგომებით. პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა დახმარება გაუწიონ ამ საქმეში ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს.

10. დაევალოთ ცხაკაიას, თიანეთის, გალის, ლაგოდეხის, ქარელის, წალკისა და დმანისის რაიონების პარტიის რაიკომებსა და რაიაღმასკომებს, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს ერთი თვის ვადაში გამოასწოროს თესლის კონტროლის ლაბორატორიების სადგომების გამოყენების მხრივ დაშვებული შეცდომები და შედეგები მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს 1963 წლის 1 იანვრიდან თესლის კონტროლის რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური ლაბორატორიების და მეთესლეობის მეურნეობათა მეთესლე აგრონომების დაფინანსების გადაყვანა რაიონულ და რესპუბლიკურ ბიუჯეტზე.

12. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში მეთესლეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეო-

ბის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ გადასინჯოს მეთესლეობის თავისი განყოფილების სტრუქტურა და განამტკიცოს იგი მეთესლეობის დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით.

13. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" უზრუნველყონ ჯიშიანი თესლის საწარმოებლად და შესანახად საჭირო ტექნიკისა და მექანიზმების (მარცვალსაწმენდი და საშრობი მანქანები, სალეწები, ტრანსპორტერები, ტრაქტორები, მისაბმელი და საკიდი იარაღები, თვითმცლელები და სხვ.) შემოტანა რესპუბლიკაში. მოაწყონ მანქანების რემონტის დროულად ჩატარება, ამ მანქანებზე მომუშავე კადრების მომზადება და პირველ რიგში გამოყოს მეთესლეობისათვის მინერალური სასუქები, ჰერბიციდები, შხამქიმიკატები, ბრეზენტები, ტომრები და სხვა მასალები.

14. დაევალოს საქსოფლპროექტს ერთი თვის ვადაში შეადგინოს სასიმინდის მშენებლობის ტიპიური პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს.

15. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უზრუნველყოს ლიტერატურის უფასოდ გამოცემა მეთესლეობის საკითხებზე (მეთოდური მითითებანი, ინსტრუქციები, სამსახურებრივი სტანდარტები, პლაკატები), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს წარდგენით.

16. რესპუბლიკურმა გაზეთებმა და ჟურნალებმა რეგულარულად გააშუქონ მეთესლეობის საკითხები და მოწინავე გამოცდილება რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი თესლით უზრუნველყოფის დარგში.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ ტერიტორიული საწარმოო სამართველოებისაგან, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების პარტორგებისაგან, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისაგან, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა-

გან, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისაგან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსაგან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან გადაჭრით მოუღონ ბოლო მეთესლეობის საქმის უგულებელყოფას, უმოკლეს ვადაში დააყენონ ჯიშიანი თესლის წარმოების საქმე ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყველა კულტურის თესვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი თესლით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 3 ივლისი, № 456

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 456 დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

მეთესლეობის მეურნეობებისა

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული სწავლა-ზომილი საქართველოს	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურები
თელავის	კურდღელაურის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	მარცვლეული და ბოსტნეული
	დაბა ყვარლის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფ. შილდის კუიბიშევის სახ. კოლმეურნეობა	ბოსტნეული
	სოფელ გულგულის კოლმეურნეობა	ბოსტნეული
	სოფელ კონდოლის „	ბოსტნეული
	სოფელ ოჟიოს „	მარცვლეული
	სოფელ მატანის „	ბოსტნეული
	ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა	ბოსტნეული
გურჯაანის	სოფელ ჯიმითის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახ. კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ გიორგწმინდის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ვეჯინის ლენინის სახ. კოლმეურნეობა	ბოსტნეული
	სოფელ ჩანდარის კოლმეურნეობა	ბოსტნეული
	სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“	მარცვლეული
სიღნაღი	ტიბაანის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფ. ბოდბეს ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა	მარცვლეული
	ზემო მაჩხაანის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	დაბა წითელწყაროს ლენინის სახ. კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფ. შრომის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	მარცვლეული

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტეიტორიული საკა-ძიო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურები
ბოლნისის	დაბა დმანისის კუიბიშევის სახ. კოლ-მეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ჯავახის კოლმეურნეობა	კარტოფილი
	ბაშკიჩეთის მსხვილფეხა რქიანი პირუტ-ყვის საბჭოთა მეურნეობა	კარტოფილი
	ყარაბულახის ძერძევეობა-მეკარტოფი-ლეობის საბჭოთა მეურნეობა	კარტოფილი
თეთრი-წყაროს	სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ასურეთის კოლმეურნეობა	კარტოფილი
	სოფელ ივანოვკის კოლმეურნეობა	კარტოფილი
	ბეშტამენის მეხორცეობა-მეკარტოფი-ლეობის საბჭოთა მეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ კუშჩის კოლმეურნეობა	კარტოფილი
	ავრალოს მეხორცეობა-მეკარტოფილეო-ბის საბჭოთა მეურნეობა	კარტოფილი
	წალკის მეხორცეობა-მერძევეობის საბ-ჭოთა მეურნეობა	კარტოფილი
ლუშეთის	სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ეგბოტის კოლმეურნეობა	კარტოფილი
	დაბა თიანეთის კოლმეურნეობა	მარცვლეული
გორის	სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ზემო ქართლის კოლმეურნეობა	მარცვლეული და ბოსტნე-ული
	ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა	ბოსტნეული
	სოფელ მოხისის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ ქარელის კოლმეურნეობა	ბოსტნეული და მარცვლე-ული
	სოფელ ზერტის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	კარალეთის საყრდენ-საჩვენებელი საბ-ჭოთა მეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ დოესის კოლმეურნეობა	ბოსტნეული
	დაბა კასპის კოლმეურნეობა	მარცვლეული

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურები
ახალციხის	სოფელ უდეს კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ წყალთბილას "	კარტოფილი
	დაბა ვალეს "	კარტოფილი
	სოფელ არალოს "	კარტოფილი
	სოფელ ხიზაბავრის "	კარტოფილი
	სოფელ სხვილისის "	ბოსტნეული
	ვაჭიანის მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობა	კარტოფილი
	სოფელ ხანდოს კოლმეურნეობა	კარტოფილი
	სოფელ ხოჯაბეგის კოლმეურნეობა	კარტოფილი
	ბაკურიანის ნადირთმოსაშენებელი საბჭოთა მეურნეობა	კარტოფილი
	სოფელ ყვიბისის კალინინის სახ. კოლმეურნეობა	ბოსტნეული
ზესტაფონიის	სოფელ კვახჭირის კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სოფელ კორბოულის კოლმეურნეობა	მარცვლეული
სამტრედიის	დაბა სამტრედიის კიკვიძის სახ. კოლმეურნეობა	მარცვლეული
	სამტრედიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	ბოსტნეული
	სოფელ ქვედა ვანის კოლმეურნეობა	ბოსტნეული
	ციხესულორის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	ბოსტნეული
აბბროლაურის	სოფელ სადმელის კოლმეურნეობა	მარცვლეული და ბოსტნეული
	სოფელ ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესი"	მარცვლეული
	სოფელ შქმერის კოლმეურნეობა	კარტოფილი
წალტუბოს	გეგუთის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობა	ბოსტნეული
	სოფელ მუხიანის კოლმეურნეობა	ბოსტნეული
მახარაძის	სოფელ ნატანების ლენინის სახ. კოლმეურნეობა	მარცვლეული
ცხაკაიას	სოფელ ტყვირის კოლმეურნეობა	მარცვლეული

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურები
სოხუმის	სოფელ პირველი გალის კოლმეურნეობა სოფელ ვლადიმიროვკის კოლმეურნეობა	ჰარცვლეული ბოსტნეული
გუდაუთის	სოფელ ალახაძის კოლმეურნეობა სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა	ბოსტნეული ბოსტნეული
ჭობულეთის	სოფელ ანგისის კოლმეურნეობა	მარცვლეული
შუახევის	სოფელ რიკეთის კოლმეურნეობა სოფელ დიდი აჭარის კოლმეურნეობა სოფელ დანისპარაულის კოლმეურნეობა	კარტოფილი კარტოფილი კარტოფილი
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო	ერედვის საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა თამარაშენის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურ-ბა	მარცვლეული კარტოფილი
მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი	მარნეულის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა ნატახტარის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა სართიჭალის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა რუისპოლოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ვარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა თეთრიწყაროს მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა	მარცვლეული და ბოსტნეული მარცვლეული და ბოსტნეული მარცვლეული მარცვლ. და ბოსტნეული ბოსტნეული მარცვლეული და ბოსტნეული

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 456 დადგენილების დანართი № 2

ბ ე ბ ო ა

ელიტისა და პირველი რეპროდუქციის თესლის რეალიზაციისა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მიერ 1963-1965 წლებში

(ცენტნერობით)

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები	კულტურა	1963 წ.			1964 წ.	1965 წ.
		თესლის რეალიზაცია სულ	მათ შორის			
			ელიტა	პირველი რეპროდუქცია	ელიტა	ელიტა
საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	შემოდგომის ხორბალი	1450	250	1200	1600	1630
	გაზაფხულის ხორბალი	150	150	—	150	150
	გაზაფხულის ქერი	890	890	—	890	890
	შემოდგომის ქერი	100	—	100	270	270
	სოია	80	80	—	80	80
	მზესუმზირა	50	50	—	50	50
	სიმინდი	135	135	—	150	150
	სიმინდის ჩაზები	16	—	—	20	20
	კარტოფილი	500	500	—	1600	1600
საქართველოს სასელექციო საცდელი საადგური	შემოდგომის ხორბალი	2038	308	1730	2100	2150
	გაზაფხულის ხორბალი	210	210	—	210	210
	გაზაფხულის ქერი	230	230	—	230	230
	შემოდგომის ქერი	380	280	100	380	380
	სოია	90	90	—	90	90
	კარტოფილი	1300	1300	—	2000	2000

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები	კულტურა	1963 წ.			1964 წ.	1965 წ.
			მათ შორის			
		ნათესის/ ნარგავების სულ	ეკონომიკურ-ეფექტური	ეკონომიკურად დუმქერი	ეფექტ/ ი	ეფექტ/ ი
	მზესუმზირა	40	40	—	40	50
	სიმინდი	125	125	—	150	150
	სიმინდის ხაზები	15	—	—	20	20
ლაგოდეხის მეთამბაქოეობის საცდელი სადგური	შემოდგომის ხორბალი	200	100	100	440	450
სულ რესპუბლიკაში	შემოდგომის ხორბალი	3688	658	3030	4140	4230
	გაზაფხულის ხორბალი	360	360	—	360	360
	გაზაფხულის ქერი	1120	1120	—	1120	1120
	შემოდგომის ქერი	480	280	200	650	650
	სოია	170	170	—	170	170
	მზესუმზირა	90	90	—	90	90
	სიმინდი	260	260	—	300	300
	სიმინდის ხაზები	31	—	—	40	40
	კარტოფილი	1800	1800	—	3600	3600
საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნ. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	საზამთრო	0,14	0,14	—	0,14	0,14
	ნესვი	0,04	0,04	—	0,04	0,04
	გოგრა	0,08	0,08	—	0,12	0,12
	ბარდა	40	40	—	40	40
	ლობიო	8	8	—	8	8
	კიტრი	0,6	0,6	—	0,6	0,6
	პამიდორი	0,29	0,29	—	0,29	0,29
	ბადრიჯანი	0,01	0,01	—	0,01	0,01
	წიწაკა	0,02	0,02	—	0,02	0,02

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები	კულტურა	1963 წ. თესლის რეალიზაცია ტონ/	1963 წ. მათ შორის ეკონომ. ტონ/	1963 წ. მათ შორის პირველადი რეპროდუქცია	1964 წ. ეკონომ. ტონ/	1965 წ. ეკონომ. ტონ/
	ბოლოკი	2	2	—	2,2	2,2
	ისპანახი	1,2	1,2	—	1,2	1,2
	კამა	0,1	0,1	—	0,1	0,1
	კომბოსტო	0,04	0,04	—	0,04	0,04
	სტაფილო	0,6	0,6	—	0,6	0,6
	სუფრის ჭარხალი	0,8	0,8	—	0,8	0,8
	პრასა	1,6	1,6	—	1,7	1,7
	სულ:	55,52	55,52	—	55,86	55,86
საქართველოს სასელექციო-საცდელი საადგური	ლობიო	10	10	—	10	10
	კიტრი	—	—	—	0,2	0,2
	სულ:	10	10	—	10,2	10,2
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო მეურნეობა	ხახვი	0,1	0,1	—	0,1	0,1

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 456 დადგენილების დანართი № 3

გ ე გ მ ა

თავთავიანი კულტურების პირველი რეპროდუქციის თესლის რეალიზაციისა მეთესლეობის მეურნეობების მიერ 1963—1965 წლებში

(ცენტნერობით)

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობა	შეჰოდგომის ბორბალი	გაბაფხულის ბორბალი	შემოდგომის ქერი	გაბაფხულის ქერი
თელავის	კურდღელაურის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	1120	—	100	—
	დაბა ყვარლის კოლმეურნეობა . . .	780	—	130	—
გურჯაანის	სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახ. კოლმეურნეობა	400	—	135	—
	სოფელ ჯიმითის კოლმეურნეობა . .	410	—	—	—
	სოფ. ყანდაურის კოლ-ბა	1700	—	360	—
ქიზნაღის	დაბა წითელწყაროს ლენინის სახ. კოლმეურნეობა	2240	—	700	—
	ტიბაანის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	1780	—	500	—

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობა	შემოდგომის ბორბალი	გაზაფხულის ბორბალი	შემოდგომის ქერი	გაზაფხულის ქერი
	სოფელ შრომის საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა	950	—	240	—
ბოლნისის	დაბა დმანისის კოლმეურნეობა . .	270	—	—	—
თეთრიწყაროს	ბეშტაშენის მეხორცეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა . . .	400	—	570	—
დუშეთის	დაბა თიანეთის კოლმეურნეობა . .	220	—	—	80
გორის	ქარალეთის საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა	1450	—	100	—
	სოფელ ზემო ქართლის კოლმეურნეობა	480	—	100	—
	სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობა	1220	—	150	430
ახალციხის	სოფელ ხანდოს კოლმეურნეობა . .	640	460	—	2370
	სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობა	670	—	—	330
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო	ერედვის საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა	1220	—	30	—

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობა	შემოდგომის ხორბალი	გაზაფხულის ხორბალი	შემოდგომის ქერი	გაზაფხულის ქერი
მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი	თეთრიწყაროს მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა	900	—	130	190
	მარნეულის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა	2350	—	400	—
	ს უ ლ: . . .	19200	460	3615	3400

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 456 დადგენილების დანართი № 4

გ ე გ მ ა

სიმინდის და სოიის თესლის რეალიზაციისა მეთესლეობის კოლმეურნეობების მიერ 1963-1965 წლებში

(ცენტნერობით)

ტერიტორიული სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	პირველი თაობის სიმინდის ჰიბრიდული თესლი	პირველი რეპროდუქციის სიმინდის თესლი	პირველი რეპროდუქციის სოიის თესლი
ახალციხის	სოფელ უდეს კოლმეურნეობა . . .	400	300	—
გორის	სოფელ ზემო ქართლის კოლმეურნეობა	480	—	—
	სოფელ მოხისის „	480	—	—
	სოფელ ქარელის „	480	180	—
	სოფელ ზერთის „	500	120	—
	სოფელ დოესის „	500	—	—
	კარალეთის საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა	630	—	—
	დაბა კასპის კოლმეურნეობა . . .	580	—	—
	სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობა	400	100	—
სიღნაღის	სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“	380	120	—
	სოფელ ბოდბეს ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობა	620	120	—

ტერიტორიული სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	პირველი თაობის ალმიხდის ჰიბრიდული თესლი	პირველი რეპროდუქციის სიმინდის თესლი	პირველი რეპროდუქციის სოიის თესლი
	სოფელ ზემო მაჩხაანის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	620	—	—
	სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობა	620	—	—
	დაბა წითელწყაროს კოლმეურნეობა	510	—	—
	ტიბაანის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	660	—	—
	სოფელ შრომის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	—	200	—
თეთრიწყაროს	სოფელ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობა	310	—	—
გურჯაანის	სოფელ გიორგწმინდის კოლმეურნეობა	380	—	—
	სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახ. კოლმეურნეობა	360	—	—
	სოფელ ყანდაურის „ „	380	100	—
	სოფელ ჯიმითის „ „	380	—	—
თელავის	სოფელ ოქიოს „ „	480	300	—
	კურდღელაურის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	480	300	—
	დაბა ყვარლის კოლმეურნეობა . . .	500	—	—
ბოლნისის	სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა . .	520	—	—
	სოფელ დმანისის კუიბიშევის სახ. კოლმეურნეობა	200	120	—

ტერიტორიული სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	პირველი თაობის სიმიხდის ჰიბრიდული თესლი	პირველი რეპროდუქციის სიმიხდის თესლი	პირველი რეპროდუქციის სუფთა თესლი
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფ. მეურნ. პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო	ერედვის საყრდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა	1100	200	—
მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი	სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	720	—	—
	რუისპოლოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	—	800	—
	თეთრიწყაროს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა	590	120	—
	მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა	—	800	—
ამბროლაურის	სოფელ სადმელის კოლმეურნეობა . .	130	220	—
	სოფელ ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესი“	—	150	—
მახარაძის	სოფელ ნატანების ლენინის სახ. კოლმეურნეობა	—	900	245
ზესტაფონის	სოფელ კვახჭირის ლენინის სახ. კოლმ.	—	700	250
	სოფელ კორბოულის ლენინის სახ. კოლმ.	—	500	262
წყალტუბოს	გეგუთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა	—	150	337

ტერიტორიული სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	პირველი თაობის სიმინდის ჰიბრიდული თესლი	პირველი რეპროდუქციის სიმინდის თესლი	პირველი რეპროდუქციის სოიის თესლი
სამტრედიის	დაბა სამტრედიის კიკვიძის სახ. კოლმეურნეობა	—	560	362
ცხაკაიას	სოფელ ტყვირის კოლმეურნეობა . .	—	700	600
სოხუმის	სოფელ პირველი გალის კოლმეურნეობა	—	600	300
ქობულეთის	სოფელ ანგისის კოლმეურნეობა . .	—	800	150
დუშეთის	სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობა	560	—	—
	სულ:	15000	9080	2506

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 456 დადგენილების დანართი № 5

ბ ე ბ მ ა

კარტოფილის ჯიშიანი თესლის რეალიზაციისა მეთესლეობის მეურნეობების მიერ 1963-1965 წლებში

(ცენტნერობით)

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	ჯიშიანი თესლის წარმოება	
		ს უ ლ	მათ შორის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად
თეთრიწყაროს	წალკის მეხორცეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობა	1800	1000
	სოფელ კუშჩის კოლმეურნეობა . . .	1200	550
	ავრალოს მეხორცეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა	2000	1200
	სოფ. ივანოვკის კოლმეურნეობა . .	900	—
	სოფელ ასურეთის კოლმეურნეობა . .	600	—
ახალციხის	ვაჭიანის მეხორცეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობა	900	—
	სოფელ ხანდოს კოლმეურნეობა . .	925	—
	სოფელ ხოჯაბეგის კოლმეურნეობა . .	900	—
	ბაკურიანის ნადირთმოსაშენებელი საბჭოთა მეურნეობა	140	—
	დაბა ვალეს კოლმეურნეობა	2500	1450
	სოფელ არალის კოლმეურნეობა . .	700	—

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობა	ჯიშიანი თესლის წარმოება	
		სულ	მათ შორის რესპუბლიკური ფონდის შესაქმნელად
	სოფელ ხიზაბავრის კოლმეურნეობა . .	425	—
	სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობა	2400	1800
ბოლნისის	სოფელ ჯავახის კოლმეურნეობა . .	600	—
	ბაშქიჩეთის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა . .	700	—
	ყარაბულახის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა . . .	325	—
დუშეთის	სოფელ ქებოტის კოლმეურნეობა . .	325	—
ამბროლაურის	სოფ. შქმერის კოლმეურნეობა . . .	625	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის	თამარაშენის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	975	—
შუახევის	სოფელ რიკეთის კოლმეურნეობა . .	300	—
	სოფელ დიდი აჭარის კოლმეურნეობა	350	—
	სოფელ დანისპარაულის კოლმეურნეობა	200	—
მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი	თეთრიწყაროს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა	375	—
	სულ:	20165	6000

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 ივლისის № 456 დადგენილების დანართი № 6

გ ე გ მ ა

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების და საკვები ძირხვენების თესლის რეალიზაციისა მეთესლეობის მეურნეობების მიერ 1963-1965 წლებისათვის

(ცენტნერობით)

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა		
			1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
თელავის	ალვანის მეჯიშეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	ლობიო	100	109	109
		ხახვი	7	7	7
		საკვები ჭარხალი	50	50	50
		სულ:	157	166	166
	სოფელ მატანის კოლმეურნეობა . . .	ბაღჩეული კულტურები	5,6	5,6	5,6
		ლობიო	74	74	74
		ხახვი	7,5	7,5	7,5
		საკვები ჭარხალი	60	60	60
		სულ:	147,1	147,1	147,1
	კურდღელაურის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	4	4	4
		ხახვი	7	7	7
		ლობიო	40	40	40
		ჭარხალი	10	40	40
		სულ:	61	91	91

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა 1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
	სოფელ გულგულის კოლმეურნეობა .	ბაღჩეული კულტურები	5	5	5
		ლობიო	40	40	40
		ხახვი	7	7	7
		ჭარხალი საკვები	10	10	10
		საზამთრო	2,4	2.4	2,4
		სულ:	64,4	64,4	64,4
	სოფელ კონდოლის კოლმეურნეობა .	ბაღჩეული კულტურები	5	5	5
		ლობიო	40	40	40
		ხახვი	8	8	8
		ჭარხალი	10	10	10
		სულ:	63	63	63
	სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	5	5	5
		ლობიო	60	60	60
		ხახვი	8	8	8
		საკვები ჭარხალი	60	60	60
		სულ:	133	133	133

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა 1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
გურჯაანის	სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	5	5	5
		ლობიო	25	25	25
		საკვები ჭარხალი	65	65	65
		ხახვი	8	8	8
		სულ:	103	103	103
	სოფელ ჭანდარის კოლმეურნეობა .	ბაღჩეული კულტურები	5	5	5
		ლობიო	25	25	25
		ხახვი	7	7	7
		საკვები ჭარხალი	45	45	45
		სულ:	82	82	82
		ლობიო	90	90	90
		ჰამიდორი	6,8	6,8	6,8
		ისპანახი	30	30	30
		კომბოსტო	6	6	6
		სტაფილო	10	10	10
		ჭარხალი	23	23	23
		ხახვი	20	20	20
		სულ:	185,8	185,8	185,8
გორის	ქარალეთის საყრდენ-საჩვენებელი საბ-ჭოთა მეურნეობა .				

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა 1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
	სოფელ ზემო ქართლის კოლმეურნეობა	ბარდა	405	405	405
		ლობიო	55	55	55
		ისპანახი	30	30	30
		კომბოსტო	4	4	4
		სტაფილო	10	10	10
		ჭარხალი	20	20	20
		ხახვი	15	15	15
		სულ:	539	539	539
	ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა	ბარდა	365	365	365
		ლობიო	55	55	55
		ისპანახი	28	28	28
		ხახვი	21	21	21
		საკვები ჭარხალი	100	100	100
		კიტრი	8,2	8,2	8,2
		სულ:	577,2	577,2	577,2

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა		თესლის რეალიზაციის გეგმა 1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
	სოფელ ქარელის კოლმეურნეობა	ლობიო		75	75	75
		ისპანახი		30	30	30
		კომბოსტო		5	5	5
		სტაფილო		11	11	11
		ჭარხალი		40	40	40
		ხახვი		30	30	30
			სულ:	191	191	191
ახალციხის	სოფელ ყვიბისის კალინინის სახ. კოლმეურნეობა	ლობიო		50	50	50
		პამიდორი		5	5	5
		კომბოსტო		5	5	5
		ხახვი		11	11	11
			სულ:	71	71	71
	სოფელ სხვილისის კოლმეურნეობა	ხახვი		20	20	20
		ტურნეფსი		2	2	2
			სულ:	22	22	22
სამტრედიის	სამტრედიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	პამიდორი		10	10	10
		კომბოსტო.		6,5	6,5	6,5
		თვის ბოლოკი		79	79	79
		ლობიო		50	50	50
		წიწაკა		5,1	5,1	5,1

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა		
			1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
		ბარდა	180	180	180
		გოგრა	11.2	11,2	11,2
		სულ:	341,8	341,8	341,8
	სოფელ ქვედა ვანის კოლმეურნეობა	ლობიო	30	30	80
		ნახვი	25	25	25
		სულ:	55	55	55
	ციხესულორის საყრდენ-საჩვენებელი კოლმეურნეობა	ლობიო	20	20	20
		ნახვი	15	15	15
		სულ:	35	35	35
ამბროლაურის	სოფელ სადმელის კოლმეურნეობა	ლობიო	80	80	80
		სულ:	80	80	80
	სოფელ შქმერის კოლმეურნეობა	ლობიო	80	80	80
		სულ:	80	80	80

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა		
			1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
წყალტუბოს	გეგუთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა	პამიდორი	10,7	10,7	10,7
		მწვანილი	35	35	35
		ბაღჩეული კულტურები	4,8	4,8	4,8
		ჩინური ბოლოკი	70	70	70
		ბარდა	136	136	136
		სულ:	256,5	256,5	256,5
	სოფელ მუხიანის კოლმეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	7	7	7
		სულ:	7	7	7
სოხუმის	სოფელ ვლადიმიროვკის კოლმეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	2,1	2,1	2,1
		კიტრი	8,2	8,2	8,2
		პამიდორი	5,2	5,2	5,2
		მწვანილი	26,7	26,7	26,7
		სულ:	42,2	42,2	42,2
გუდაუთის	სოფელ ალახაძის კოლმეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	3	3	3
		კიტრი	6,4	6,4	6,4
		კომბოსტო	5	5	5
		მწვანილი	30,4	30,4	30,4
		სულ:	44,8	44,8	44,8

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა 1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
	სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	3,3	3,3	3,3
		კიტრი	6,4	6,4	6,4
		კომბოსტო	5	5	5
		მწვანილი	30,3	30,3	30,3
		სულ:	45	45	45
მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი	რუისბოლოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	პამიდორი	5,4	5,4	5,4
		ბადრიჯანი	4	4	4
		ხახვი	6.4	6,4	6,4
		კიტრი	10	10	10
		ბაღჩეული კულტურები	6,8	6,8	6,8
		სულ:	32,6	32,6	32,6
	გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა	პამიდორი	5,2	5,2	5,2
		ხახვი	7,1	7,1	7,1
		მწვანილი	30	30	30
		სულ:	42,3	42,3	42,3

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	მეთესლეობის მეურნეობები	კულტურა	თესლის რეალიზაციის გეგმა 1963 წ.	1964 წ.	1965 წ.
	მარნეულის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა	ბაღჩეული კულტურები	6,4	6,4	6,4
		ბადრიჯანი	3,5	3,5	3,5
		სტაფილო	12	12	12
		ხახვი	45	45	45
		ლობიო	75	75	75
		საკვები ჭარხალი	100	100	100
		სულ:	241,9	241,9	241,9
	მარნეულის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა	კიტრი	10,2	10,2	10,2
		ჭარხალი	15	15	15
		ლობიო	75	75	75
		სულ:	100,2	100,2	100,2
		მთლად რესპუბლიკაში:	3800,8	3839,8	3839,8

67 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებათა სისტემაში შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, მისი სამმართველოები და ტრესტები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებებს შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის დაყენების გაუმჯობესების შესახებ, რის შედეგადაც მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის სერიოზული დარღვევები, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა და მტაცებლობა.

სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის დარღვევის, აგრეთვე გაფლანგვა-მტაცებლობის სამარცხვინო ფაქტების ერთერთ სერიოზულ მიზეზს ის გარემოებაც წარმოადგენს, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არ არის მოგვარებული აღრიცხვა და ანგარიშგება.

არ სრულდება მთავრობის დადგენილებანი იმის შესახებ, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარდეს ყველა დაქვემდებარებული საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციის, დაწესებულების, მშენებლობის და საბჭოთა მეურნეობის დოკუმენტური რევიზია.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება კონტროლი კოლმეურნეობათა საწარმოო და საფინანსო საქმიანობისადმი. ბევრ საწარმოსა და საფინანსო ორგანიზაციაში მათი საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი საწარმოო და საფინანსო მაჩვენებლების დროსაც კი არ ტარდება რევიზიები. სახალხო მეურნეობის საბჭო, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება (მშენებლობის სამინისტრო, ყოფილი ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, მსუბუქი, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო) არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა იმ ნაწილს, რომელიც შეეხება სა-

რევიზიო აპარატის დაკომპლექტებას და მათი რიცხვის აყვანას იმ ოდენობამდე, რაც უზრუნველყოფს ყველა დაქვემდებარებული საწარმოსა და ორგანიზაციის რევიზიას წელიწადში ერთხელ მაინც.

ბევრ შემთხვევაში რევიზიები ტარდება უხარისხოდ, ფორმალურად და ყოველთვის როდი ხდება სახელმწიფო დისციპლინის სერიოზული დარღვევების, გაფლანგვა-მტაცებლობის ფაქტების გამოვლინება, რასაც ადგილი აქვს საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების საქმიანობაში, მეტისმეტად ჭიანურდება რევიზიის შედეგების განხილვა და მათ გამო საჭირო ზომების განხორციელება.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ ტექნიკური მომარაგების კანტორის 1961 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული რევიზიის მასალები განიხილა მხოლოდ იმავე წლის აგვისტოში, ამასთან კანტორის უფროსის ს. ე. ედიგაროვის მიმართ, რომელმაც თავისი უკანონო მოქმედებით სახელმწიფოს 28 ათას მანეთზე მეტი ზარალი მიაყენა, მხოლოდ საყვედურის გამოცხადებით დაკმაყოფილდა. ამ რევიზიის მასალები, რომლებიც კალინინის რაიონის პროკურატურას გადაეცა, დაუბრუნდა კავშირგაბმულობის სამინისტროს ს. ე. ედიგაროვის და სხვა თანამდებობის, პირთა პასუხისმგებლობის გამოსარკვევად, რომლებმაც სახელმწიფოს ზარალი მიაყენეს, მაგრამ სამინისტრომ აღნიშნული მასალები უშედეგოდ დატოვა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ფორმალურად განიხილა რა 1961 წლის აგვისტოში ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რევიზიის შედეგები, აღნიშნული სტუდიის დირექტორს ამხ. ვ. დ. კუპრავას დაავალა პროკურატურისათვის გადაეგზავნა მასალები კინოსტუდიის ყოფილი ადმინისტრატორის ფოცხვერიას და სოხუმის სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვრის ვერულეიშვილის მიმართ, რომლებმაც ყალბი საბუთებით 3.380 მანეთი მიითვისეს. მაგრამ პროკურატურას რევიზიის მასალები ვერულეიშვილის მიმართ გადაეცა მიმდინარე წლის მარტში, ხოლო ფოცხვერიას საქმეზე — მხოლოდ 1962 წლის აპრილში და ისიც ამას შემდეგ, რაც საქმეში კულტურის სამინისტრო ჩაერია.

მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველს ამხ. ვ. .ა ჭურაძეს არ მიუღია 1961 წლის აპრილ-მაისში ჩატარებული რევიზიის მასალების გამო არავითარი ზომები № 5 სამშენებლო საშმართველოს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა წინააღმდეგ, რომლებზედაც 1959 წლის ოქტომბრიდან ირიცხებოდა 28,4 ათასი მანეთის საშენი მასალების დანაკლისი; ამ თანხიდან შემოწმების

შემდეგ გასული წლების ზარალად ჩამოწერილია, როგორც წინათ გაწეული ხარჯები, 24 ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენი 3,6 ათასი მანეთის შესახებ მასალები შემოწმების დროისათვის არ იყო გაგზავნილი საგამომძიებლო ორგანოებში.

იმასთან ერთად, რომ დოკუმენტური რევიზიები უხარისხოდ ტარდება, მათი შედეგების განხილვა არათავის დროზე ხდება და, რომ მათ გამო იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ არის ამომწურავი, სერიოზულ დარღვევათა კონკრეტულ დამნაშავეებს არ აძლევენ სასტიკ პასუხისგებაში, რაც ამცირებს ჩატარებული რევიზიების ქმედითობას და ეფექტიანობას, ხელს არ უწყობს გამოვლინებულ დარღვევათა აღმოფხვრას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით 1961 წელს ჩატარებული 622 დოკუმენტური რევიზიიდან დაწესებულ ვადასთან შედარებით დაგვიანებით იყო მიღებული გადაწყვეტილებანი 176 რევიზიის გამო; მშენებლობის სამინისტრომ 19 რევიზიიდან 13 რევიზიის შედეგები 17-დან 107 დღემდე დაგვიანებით განიხილა.

შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი აგრეთვე იმის შედეგია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები მთელ რიგ შემთხვევებში ჩამოშორდნენ მუშაობის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი უბნის უშუალო ხელმძღვანელობას და ეს საქმე მიანდეს მთავარ ბუღალტრებს, რომლებიც არათუ არ აქცევენ მას ჯეროვან ყურადღებას, არამედ ბევრ შემთხვევაში საშუალებას არ აძლევენ რევიზორებს შეასრულონ თავიანთი პირდაპირი მოვალეობანი და იყენებენ მათ სხვა სამუშაოზე.

იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც რევიზორების, მთავარი და უფროსი ბუღალტრების პასუხსაგებ თანამდებობებზე ინიშნებიან ისეთი პირები, რომელთაც არა აქვთ სათანადო კვალიფიკაცია, ხოლო ზოგჯერ ნდობის ღირსიც კი არ არიან.

არც თუ სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს ახლანდელი სტრუქტურული დაქვემდებარება სარევიზიო აპარატისა, რომელიც იმყოფება მთავარი ბუღალტრების გამგებლობაში და ერთგვარად დამოკიდებულია მათზე.

ნაკლები ყურადღება ექცევა კვალიფიციურ ბუღალტერთა კადრების და საანგარიშო დარგის მუშაკთა მომზადებას; მათ ნაკლებობას განიცდის სახალხო მეურნეობის ბევრი დარგი.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის, აგრეთვე აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის საკითხებზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, არ იზიდავენ ამ მუშაობისათვის საზოგადოებრიობას და არ იღებენ ქმედითს ზომებს, რათა გაძლიერდეს კონტროლი სოციალისტური საკუთრების მოვლა-შენახვისა და სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის დაცვისადმი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას, საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ამხ. თ. ნ. დაგითაშვილის, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. გ. მ. მარუაშვილის, კულტურის მინისტრის ამხ. თ. პ. ბუაჩიძის, წყალთა მეურნეობის მინისტრის ამხ. გ. ს. ქობულიას, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ამხ. მ. ე. თოფურიძის, მშენებლობის მინისტრის გ. მ. ქართველიშვილის და კავშირგაბმულობის მინისტრის ამხ. გ. ა. ქრისტესაშვილის ყურადღება მიექცეს შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის არადამაკმაყოფილებლად დაყენებას, რის შედეგადაც მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ გრძელდება სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის სერიოზული დარღვევები, აგრეთვე ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-მეტაცებლობის შემთხვევები და დაევალოთ მათ მიიღონ გადამწყვეტი ზომები ამ დადგენილებით აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გადაჭრით გააძლიერონ შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლი საწარმოებში, დაწესებულებებში, მშენებ-

ლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან სანიმუშო სახელმწიფოებრივი წესრიგი დაამყარონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში.

გააძლიერონ მომთხოვნელობა და მკვეთრად აამაღლონ სამმართველოებისა და ტრესტების, საავჭრო და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკონტროლო-საარეკვიზიო მუშაობის სათანადოდ დაყენების უზრუნველყოფის საქმეში; იმ პირებს, რომლებიც დარღვევებს დაუშვებენ ამ საქმეში, დაადონ მკაცრი სასჯელი, მათ შორის მოხსნან სამუშაოდან და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ.

3. ეკონომიურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გადიდდეს მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატის ეკონომიურ სპეციალობებზე, აგრეთვე ბუღალტერთა და საანგარიშო დარგის მუშაკთა მოსამზადებელ და გადასამზადებელ კურსებზე 1962-1963 სასწავლო წლისათვის, დანართის თანახმად.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს კურსებზე ბუღალტერთა და საანგარიშო დარგის მუშაკთა მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა და უზრუნველყონ მათი დროულად გაგზავნა სასწავლებლად.

5. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მოაწყონ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკებისათვის მუდმივმოქმედი სემინარები ეკონომიკისა და ფინანსების შესასწავლად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, მისი დარგობრივი სამმართველოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ მიიღონ ქმედითი ზომები შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის ძირეულად გაუმჯობესებისათვის, დააკომპლექტონ მისი აპარატი, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის დამტკიცებული საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ხარჯზე, შემოწმებული და კვალიფიციური მუშაკებით იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს რევიზიების ჩატარებას ყველა დაქვემდებარებულ საწარმოსა და ორგანიზაციაში წელიწადში ერთხელ მაინც; უფრო ფართოდ მოიზიდონ შიგასაუ-

წყებო კონტროლისათვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. რევიზიებისა და შემოწმების შედეგების შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია შემოწმებული ობიექტების კოლექტივებს; შემოიღონ რევიზიების შედეგების განხილვა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

მომუშავე სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მოაწყონ კონტროლიორ-რევიზორების, რევიზორ-ბუღალტრების და მთავარი ბუღალტრების გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს სისტემატურად გაუწიონ კონტროლი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშაობას, პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობათა საარევიზიო კომისიებს იმ მხრივ, რომ განახორციელონ მათზე დაკისრებული ამოცანები კოლმეურნეობებში ხარისხოვანი რევიზიებისა და შემოწმების ჩატარებისათვის.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი, რომ შეტანილ იქნას ცვლილებები სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების, სამინისტროებისა და უწყებების საარევიზიო აპარატის სტრუქტურაში იმის გათვალისწინებით, რომ მიზანშეწონილია მისი გამოყოფა ბუღალტერიის შემადგენლობიდან დამოუკიდებელ ერთეულად, რომელიც უშუალოდ დაუმორჩილდება ხელმძღვანელობას.

9. დაეკისროთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, მისი დარგობრივი სამმართველოების, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა საფინანსო-საშტატო დისციპლინის მტკიცედ დაცვისათვის მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, საწარმოებში და მშენებლობებზე,

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს განიხილოს საკითხი მსუბუქი მრეწველობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოთა უფროსების ამხ. გ. ა. რობაქიძის და ვ. ა. ვარაზაშვილის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც სერიოზული ნაკლოვანებანი დაუშვეს ისეთ ღონისძიებათა გატარების საქმეში, რომელთა მიზანია სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის უზრუნველყოფა და სასაქონლო-მატერიალურ

ფასეულობათა დაცვა-შენახვა დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

11. დაევალოს საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომს განიხილოს საკითხი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველის ამხ. ვ. ა. ჭურაძის და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორის ამხ. ვ. დ. კუპრავას პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც დროზე არ მიიღეს ზომები იმ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც დაუშვეს მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების მითვისება და დანაკლისი.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აფრთხილებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის მუშაობის მდგომარეობისათვის, რომელიც წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საშუალებას, მფლანგველობის, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-მტაცებლობის აღმოფხვრის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. კოვანოვი.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 10 ივლისი, № 501.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 ივლისის № 501 დადგენილების დანართი

გ ე გ მ ა

მიღების გადიდებისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკუმების და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური საწმართველოს სასწავლო კომბინატის ეკონომიურ სპეციალობებზე, აგრეთვე ბუღალტერთა და საანგარიშო დარგის მუშაკთა მოსამზადებელ და გადასამზადებელ კურსებზე 1962-1963 სასწავლო წლისათვის

უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სპეციალობანი	დაწესებული მიღება 1962—1963 სასწავლო წლისათვის	ადრევდ დაწესებული მიღების კონტინგენტი	შენიშვნა
ა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი			
დღის განყოფილება			
ეკონომიკა			
სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა	10	20	
სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა	15	20	
საბუღალტრო აღრიცხვა	25	50	
რუსული ენა და ლიტერატურა	50	40	
ისტორია	40	30	
ბოტანიკა	15	10	
ზოოლოგია	15	10	
ჟურნალისტიკა	20	10	
ბ. საშუალო სპეციალური სასწავლებლები (ტექნიკუმები)			
თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი			
დღის განყოფილება			
საბუღალტრო აღრიცხვა მრეწველობაში	50	75	
საბუღალტრო აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში	50	75	

უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სპეციალობანი	დაწესებული მიღება 1962—1963 სასწავლო წლისათვის	ახლად დაწესებული მისაღები კონტინგენტი	შენიშვნა
დაუსწრებელი განყოფილება			
საბუღალტრო აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში	30	50	
სულ თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში	80	150	
სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში			
დღის განყოფილება			
საბუღალტრო აღრიცხვა	390	450	
დაგეგმვა და აღრიცხვა	30	60	
დაუსწრებელი განყოფილება			
საბუღალტრო აღრიცხვა	100	130	
ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლა			
კოლმეურნეობების ბუღალტრები	120	150	
სულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში	730	880	
ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმი			
დღის განყოფილება			
საბუღალტრო აღრიცხვა	90	120	
დაუსწრებელი განყოფილება			
საბუღალტრო აღრიცხვა	100	130	
სულ კოოპერაციულ ტექნიკუმში	190	250	
3. საკურსო ღონისძიებანი			
საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატი			
მომზადება:			
მრეწველობის უფროსი ბუღალტრებისა	25	100	წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, სწავლების ვადა 1 წელი და 6 თვე
მრეწველობის ბუღალტრებისა	425	475	წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, სწავლების ვადა 1 კელი
უფროსი ბუღალტერ-რევიზორი	—	50	წარმოებისაგან მოწყვეტით; სწავლების ვადა 6 თვე

უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სპეციალობანი	დაწესებული მოლარეა 1962 — 1963 სასწავლო წლისთვის	ახლად დაწესებული მისაღები კონტინგენტი	შენიშვნა
ვაჭრობის ბუღალტერი	25	50	წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; სწავლების ვადა 1 წელი
საბჭოთა მეურნეობის ბუღალტერი	50	75	წარმოებისაგან მოწყვეტით, სწავლების ვადა 8 თვე
კოლმეურნეობის ბუღალტერი	520	550	წარმოებისაგან მოწყვეტით; სწავლების ვადა 1 წელი
კოლმეურნეობის მოანგარიშე	130	131	წარმოებისაგან მოწყვეტით; სწავლების ვადა 8 თვე
კვალიფიკაციის ამაღლება (დაუსწრებლად)			
კოლმეურნეობის ბუღალტერი	350	375	წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; სწავლების ვადა 1 წელი
კოლმეურნეობის მოანგარიშე	200	250	წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; სწავლების ვადა 6 თვე
საბჭოთა მეურნეობის ბუღალტერი	30	50	წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; სწავლების ვადა 1 წელი
სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები	250	300	წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; სწავლების ვადა 1 წელი
სულ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სასწავლო კომბინატში	2150	2775	
თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი			
კვალიფიკაციის ამაღლება			
საფინანსო ორგანოების ბუღალტერი	20	30	
საკრედიტო სისტემის ბუღალტერი	20	30	
კონტროლიორ-რევიზორი	15	85	
სულ თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში	50	85	
ცხინვალის კოოპერაციული ტექნიკუმი			
კვალიფიკაციის ამაღლება			
რევიზორ-ბუღალტერი	25	35	წარმოებისაგან მოწყვეტით; სწავლების ვადა 3,5 თვე
უფროსი ბუღალტერი	20	30	წარმოებისაგან მოწყვეტით; სწავლების ვადა 3,5 თვე
სულ კოოპერაციულ ტექნიკუმში	45	65	

68 **„საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე**

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც დასახულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 331 დადგენილებით „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი რესპუბლიკაში 1959-1961 წლების მანძილზე გაიზარდა 608 ერთეულით და 22 ათასი დასაჯდომი ადგილით; კერძების გამოშვება 45 პროცენტით გადიდდა. სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის საზოგადოებრივი კვების დიდძალი საწარმო გადაყვანილია ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე; რამდენადმე გაფართოვდა კერძების ასორტიმენტი.

მაგრამ, როგორც შემოწმებამ დაგვანახვა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში არადამაკმაყოფილებლად სრულდება. მთლიანად საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი; საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მოსახლეობის მომსახურების დონე მკვეთრად ჩამორჩება მოთხოვნილებას.

ქსელის განვითარების დავალების გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასაჯდომი ადგილების ზრდა, (გეგმა 23.384, ფაქტიურად 21.951).

ქსელი ძირითადად ფართოვდება წვრილი საწარმოების სასაუზმეების, ბუფეტებისა და ქალაქგარეთა რესტორნების გახსნის ხარჯზე და ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დიდი კეთილმოწყობილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი სასადილოების მოწყობის საკითხს. მთელ რიგ შემთხვევებში სწორად არ არის ორგანიზებული ქსელის დისლოკაცია. ქ. თბილისის ცალკეულ მასივებსა და რაიონებში (ნავთლუღის მესამე მასივი, საბურთალო, ვაკე, დიღომი, ლენინის რაიონი და სხვ.) თითქმის არ მოიპოვება კეთილმოწყობილი სასადილოები და კაფეები. ზოგიერთ სამრეწველო საწარმოსთან

(გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, №№ 3 და 4 ტრიკოტაჟის ფაბრიკები, ხაოსაქსოვი ფაბრიკა) სრულიად არ მოიპოვება სასადილოები.

თბილისის და სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები არ აძლევენ საკავშირო ორგანიზაციებს საკმაო რაოდენობით შესაფერ სადგომებს ახალ მშენებლობებზე საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოსაწყობად.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს არ შეუსრულებიათ დიეტური სასადილოებისა და სახლის სამზარეულოების მოწყობის გეგმა (10-ის ნაცვლად გახსნილია მხოლოდ 4).

არის შემთხვევები, როდესაც იხურება საზოგადოებრივი კვების საწარმოები ისე, რომ მათ არ აძლევენ შესაბამის სადგომებს ახალი საწარმოების გასახსნელად. მარტო 1961 წელს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში ლიკვიდირებული იყო 70 საწარმო 1957 დასაჯდომი ადგილით, მათ შორის: თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით — 16 საწარმო, აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ხაზით — 15, ქ. რუსთავში — 9, საქვაჭრობის ხაზით — 10 საწარმო და ა.შ.

გაცილებით უფრო ცუდადაა სასადილოების ქსელის განვითარების დაგეგმვის შესრულების საქმე საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომლებსაც მომსახურება უწევს ცენტრალური საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემაში 126 სასადილოდან 5120 დასაჯდომი ადგილის რაოდენობით, რომლებიც გახსნილი უნდა ყოფილიყო 1959-1961 წლებში, 1 ივნისისათვის გახსნილი იყო მხოლოდ 48 სასადილო 1800 ადგილით; მეტისმეტად ჭიანურდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის გამოყოფილი სადგომების შეკეთება და გაწყობა.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ასრულებს დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება საზოგადოებრივი კვების საწარმოების გადაყვანას ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე და სამზადი ფაბრიკების მოწყობას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების მთავარი სამმართველო, რომელმაც მუშაობის ამ მეთოდზე გადაიყვანა მხოლოდ საწარმოების 15,5 პროცენტი, ხოლო სამზადების მშენებლობას ქ. ჭიათურასა და ტყიბულში სრულიად არ შედგომია.

თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და სხვა ხორცკომბინატები დიდი შეფერხებით და განსაზღვრული ასორტიმენტით აწვდიან ნახევარფაბრიკატებს საგაჭრო ორგანიზაციებს, ხოლო სოხუმის ხორცკომბინატმა მიმდინარე წლის მაისში სრულიად შეწყვიტა ნახევარფაბრიკატების მიცემა სოხუმის სასადილოების ტრესტისათვის.

ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა და მუშათა მომარაგების სამმართველოები არასაკმაოდ მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საკუთარი პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდება საერთო ბრუნვაში, აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურის გაუმჯობესება ბოსტნეულის, თევზეულის, რძისა და ბურღულის კერძების დონის ამაღლების ხარჯზე.

ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი კვების საწარმოების საყოველთაო უპირატესი და შეუფერხებელი მომარაგება ხორცით, ფრინველით, თევზით, რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით, კვერცხითა და ზოგიერთი სახის ბურღულით.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა არ ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აგვისტოს № 624 დადგენილებას და ვერ უზრუნველყოფს თავიანთ სასადილოებს ხორცითა და რძით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ გამოყოფილი ფონდების ფარგლებში.

ბევრ სასადილოში კერძების ასორტიმენტი ერთფეროვანია, მომზადებული საჭმელი უგემური და დაბალი ხარისხისაა; მომხმარებელთა მომსახურება არადამაკმაყოფილებელია, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების, ფასების გადიდების, უფაქტურო, საქონლით ვაჭრობისა და ვაჭრობის წესების სხვა დარღვევის ფაქტები. სასადილოები სრულად არ არიან უზრუნველყოფილი ჭურჭლით, ხელსაწყოებით, საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობით; ბევრი მათგანის სანიტარული მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც მათ უყენებენ.

სამრეწველო საწარმოებთან, სასწავლებლებთან, საბჭოთა მეურნეობებთან არსებული მთელი რიგი სასადილოები ავარიულ მდგომარეობაშია. საჭიროებენ გადაუდებელ რემონტს, რეკონსტრუქციას და ცხელი წყლით უზრუნველყოფას, მაგრამ ამ საწარმოების ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები არ იღებენ სათანადო ზომებს მათს მუშაობაში წესრიგის დასამყარებლად (ფოლადთუჯსამსხმელო, ელექტრომავალმშენებელი, ორთქლმა-

ვალვაგონშემკეთებელი, 26 კომისრის სახელობის № 1 მექანიკური ქარხნები, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო და მაუდ-კამვოლის კომბინატები, თბილისის ხორცკომბინატი, ავეჯის კომბინატი, ავტოსარემონტო ქარხანა და სხვები).

სერიოზული სანიტარულ-ტექნიკური ნაკლოვანებანი ახასიათებს ქ. რუსთავის, ზესტაფონის, ქუთაისისა და სხვა სასადილოებსაც.

ცეკავშირის სისტემის მესამე კატეგორიის ბევრ სასადილოში, რომლებიც მომსახურებას უწევენ ქარხნების, ფაბრიკებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს, იყიდება მაგარი სასმელები.

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთ საწარმოში ცუდად იყენებენ არსებულ სავაჭრო ტექნოლოგიურ მოწყობილობას,

სუსტად ინერგება მომხმარებელთა მომსახურების ახალი, უფრო პროგრესული მეთოდები, განსაკუთრებით სადილების შინ გაცემისა და აბონემენტების გაყიდვის დარგში.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და მომზადების, საზოგადოებრივ კვებაში ქალის შრომის დანერგვის საქმეში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ტექნიკური აღჭურვილობით და მის მიერ წლითიწლობით გამოყოფილი ფონდები უმნიშვნელოა და ვერ აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნილებებს.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველო სისტემატურად ვერ უზრუნველყოფს სანიტარული ტანსაცმლის შეკერვას ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებისათვის. 1961 წელს მან დააკლო ვაჭრობის სამინისტროს ბამბეულის საერთო ფონდის სანტანსაცმლის 42 პროცენტი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — 31 პროცენტი.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ბევრ ქალაქში ცუდად ემსახურება ტრანსპორტი, არასრულად და დიდი შეფერხებით კმაყოფილდება მათი განაცხადები ავტომანქანების გამოყოფის შესახებ; განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ცარიელი ტარის გამოზიდვის საქმე.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ცეკავშირის გამგეობა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ამიერკავკასიის რკინიგზის

ხელმძღვანელები საკმაო ზომებს არ იღებენ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ხოლო პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოები და პროფკავშირული ორგანიზაციები საჭირო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს მუშაობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ამხ. ღვინჯილიას, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ცაგარეიშვილის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსის ამხ. აბაშიძის და ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსის ამხ. გოცირიძის ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება ცალკეული დავალებანი, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის დადგენილებით „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“ და წინადადება მიეცეთ მათ:

ა) უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი და განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის;

ბ) საზოგადოებრივი კვების განვითარება უწინარეს ყოვლისა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში განახორციელონ იმ მხრივ, რომ გაფართოვდეს სასადილოებისა და ბუფეტების ქსელი სამრეწველო საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სასწავლებლებთან, აგრეთვე გაიხსნას კეთილმოწყობილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი სასადილოები, კაფეები და სასუზმეები მაგარი სასმელების გაუყიდავად;

გ) 1962-1965 წლების განმავლობაში გახსნან, ქსელი საერთო ზრდის წინათ დამტკიცებული გეგმის ფარგლებში, დამატებით 8 დიეტური სასადილო, მათ შორის: ქ. თბილისში — 3 და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქ ქუთაისში, ფოთსა და რუსთავში — თითო. იმავდროულად მიიღონ ზომები მოქმედი დიეტური სასადილოების და საფაბრიკო-საქარხნო სასა-

დილოებთან არსებული დიეტური განყოფილებების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის;

დ) განიხილონ სახლის სამზარეულოების მუშაობის საკითხი, აღმოფხვრან მოსახლეობის მომსახურებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი; 1963 წლის დამლევამდე უზრუნველყონ მათი გახსნის გეგმის შესრულება;

ე) განახორციელონ ღონისძიებანი საერთო საქონელბრუნვაში საკუთარი პროდუქციის წილის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, რისთვისაც გააუმჯობესონ საჭმლის ხარისხი, გააფართოონ კერძების ასორტიმენტი, პირველ რიგში თევზის, ბოსტნეულის, ბურღულის, ფქვილის წარმოების, რძის პროდუქტების კერძებისა, აგრეთვე შემდგომ შეამცირონ ღვინო-არყის ნაწარმის ხვედრითი წონა, არ დაუშვან მათი გაყიდვა მესამე კატეგორიის სასადილოებში და განახორციელონ სხვა ღონისძიებანი;

ვ) 1963 წლის 1 აპრილამდე დაამთავრონ სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოს გადაყვანა ნახევარფაბრიკატებით მუშაობაზე;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ პირველ რიგში, უპირატესად და შეუფერხებლივ იქნან მომარაგებული საზოგადოებრივი კვების საწარმოები მაღალი ხარისხის და ფართო ასორტიმენტის კვების პროდუქტებით;

თ) ფართოდ დანერგონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში პროგრესული მეთოდები, რომლებიც აჩქარებენ და აუმჯობესებენ მომხმარებელთა მომსახურებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თვითმომსახურების სასადილოების, კაფეებისა და სასაუზმეების გადაყვანას შემდგომი ანაზღაურების მეთოდზე, სადილების შინ გაცემის გაფართოებას, მოსახლეობისათვის ნახევარფაბრიკატების და კულინარულ ნაკეთობათა მიყიდვას, აგრეთვე აბონემენტების გაყიდვას;

ი) მიიღონ ქმედითი ზომები სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობის ეფექტიანად გამოყენებისათვის, ამასთან არ დაუშვან მათი გაცდენა;

კ) მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობა კადრების მომზადებისა, შერჩევისა, განაწილებისა და აღზრდისათვის. სისტემატურად აამაღლონ ქალთა შრომის ხვედრითი წონა მუშაკთა საერთო რაოდენობაში და უწინარეს ყოვლისა — მატერიალურად პასუხისმგებელ და ხელმძღვანელ მუშაკთა შორის.

შეიმუშაონ და მიმდინარე წლის დამლევამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კულინარულ სკოლებში მზარეულთა მომზადების ხარისხის ძირეულად გაუმჯობესება, სპეციალური სკოლა-სასადილოების, როგორც საწარმოო სწავლების ბაზების, ორგანიზაციის გზით;

2. გაფრთხილება მიეცეთ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ამხ. ღვინჯილიას, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ცაგარეიშვილს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსს ამხ. აბაშიძეს, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსს ამხ. გოცირიძეს და სავაჭრო ორგანიზაციათა სხვა ხელმძღვანელებს, რომ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ხაზით მუშაობა პირველ რიგში შეფასებული იქნება საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის მდგომარეობის მიხედვით.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს;

ა) სავალდებულო წესით გამოუყონ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს ახლადაშენებულ დიდ ადმინისტრაციულ სახლებსა და საცხოვრებელ მასივებში სადგომები იმისათვის, რომ მოეწყოს იქ ყველასათვის ხელმისაწვდომი სასადილოები, კაფეები, სახლის სამზარეულოები და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები.

ფაბრიკების, ქარხნების, სასწავლებლების, საცხოვრებელი მასივების, ადმინისტრაციული სახლების დაპროექტების დროს აუცილებლად გაითვალისწინონ სადგომები საზოგადოებრივი კვების საწარმოების მოსაწყობად, ამასთან პროექტებით წინასწარ უნდა დაწესდეს ამ საწარმოების ტიპები (სასადილო, კაფე, სახლის სამზარეულო, ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის გასაყიდი მაღაზია და ა. შ.); პროექტები, როგორც წესი, შეთანხმებული უნდა იქნას საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობის ორგანოებთან;

ბ) აეკრძალოს ყველა სამინისტროს და უწყებას საზოგადოებრივი კვების საწარმოს თვითნებურად დახურვა სამაგიერო კეთილმოწყობილი სადგომის მიუცემლად; საზოგადოებრივი კვების ობიექტის ლიკვიდაციის საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში შემოტა-

ნილ უნდა იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

4. სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების დირექტორებმა:

ა) 1962-1963 წლების განმავლობაში უზრუნველყონ სასადილოებისა და ბუფეტებისათვის საჭირო სადგომების გამოყოფა (იქ. სადაც სასადილოები და ბუფეტები ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი) იმ ანგარიშით, რომ ამ საწარმოებისა და სასწავლებლების მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნან ცხელი საჭმლით;

ბ) 1962 წლის მესამე კვარტალის განმავლობაში შეაკეთონ სასადილოების, ბუფეტების სადგომები, სავაჭრო-ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობა, აგრეთვე ავეჯი და ამიერიდან წელიწადში ორჯერ მაინც ჩაატარონ პროფილაქტიკური რემონტი.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ (ამხ. ჩოგოვაძემ):

ა) უზრუნველყოს ქალაქ ჭიათურასა და ტყიბულში სამზადი ფაბრიკების მშენებლობის და 1962-1963 წლებში საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალების შესრულება;

ბ) მოეწყოს 1962-1963 წელს დოზირებული წვრილი ძეხვის, რძის მჟავე პროდუქტების გამომუშავება წვრილად დაფასოებული სახით (200-250 გრ) და მოხერხებული ტარით: ნამცხვრის, ხილფაფის. ხაჭოსკვერისა და სხვ. 50-გრამიანი დასტებისა, აგრეთვე დიეტური პროდუქტებისა, პურის ნაწარმისა და ხილის წყლებისა საქარინზე ქალაქ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში. გორსა და რუსთავში;

გ) დაევალოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოს:

შეუფერხებლივ უზრუნველყოს სავაჭრო ქსელი ხორცის ნახევარფაბრიკატებით, დაწესებული ასორტიმენტით, აგრეთვე რეგულარულად მიაწოდოს სავაჭრო ორგანიზაციებს ღორის მოზარდეული გასასუქებლად;

დ) დაევალოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უზრუნველყოს სანსპეცტანსაცმლის დროულად შეკერვა და მისი გადაცემა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანოებისათვის.

6 საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ (ამხ. დავითაშვილმა) სრულად და დროულად დააკმაყოფილოს საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ორგანიზაციების

განაცხადები ავტოტრანსპორტზე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ცარიელი ტარის დროულად გატანას.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ამხ. მარუაშვილმა):

ა) გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი და მიიღოს უფრო ქმედითი ზომები, რათა სანიმუშო სანიტარული წესრიგი დამყარდეს სასადილოებში, კაფეებში, სასაუზმეებში, რესტორნებში, საწყობებში, ბაზებში, მაცივრებში და ავტოტრანსპორტზე;

ბ) პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ვაჭრობის ორგანოებს იმ მხრივ, რომ დიეტურმა სასადილოებმა და სამრეწველო საწარმოებთან და სასწავლებლებთან არსებული სასადილოების დიეტგანყოფილებებმა გააუმჯობესონ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ლაშქარაშვილმა):

ა) ქმედითი დახმარება გაუწიოს ვაჭრობის ორგანოებს იმ მხრივ, რომ დაუთმოს სკოლის ბუფეტებსა და სასადილოებს კეთილმოწყობილი სადგომები, აგრეთვე მოსწავლეთა მომსახურების პროგრესული მეთოდების დანერგვის, პირველ რიგში აბონემენტების გავრცელების საქმეში;

ბ) მნიშვნელოვნად გაადიდოს 1962-63 სასწავლო წლიდან საშუალო სკოლების მოსწავლეებისათვის საზოგადოებრივი კვების სპეციალობის სწავლება.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ (ამხ. კუჭავამ) უზრუნველყოს, რომ საბჭოთა მეურნეობებმა შეუფერხებლივ მიაწოდონ თავიანთ სასადილოებს ხორცი და რძე დაგეგმილი ფონდების ფარგლებში.

10. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. ქრისტესაშვილმა 1962 წლის დამლევამდე დადგას ტელეფონები ქალაქ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის და ბათუმის ყველა სახლსამზარეულოში.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ (ამხ. გოცირიძემ) მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობაზე სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადების განხილვის დროს გაითვალისწინოს საზოგადოებრივი კვების საწარმოების ქსელის და დასაჯდომი ადგილების რაოდენობის ზრდა, აგრეთვე გაზრდილი მოთხოვნები, რომლებსაც ამ საწარმოებს უყენებენ, და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილება.

12. დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს ძირეულად გააუმჯობესოს და გააძლიეროს საზოგადოებრივი კონტროლის მუშაობა, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა, სარევიზიო და სასადილოების კომისიებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებაში.

13. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად იმუშაონ საზოგადოებრივი კვების საკითხებზე, ქმედითი დახმარება გაუწიონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და მოსახლეობის კვების გაუმჯობესების საქმეში.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, მუშათა მომარაგების სამმართველოების უფროსებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1963 წლის 10 მარტისათვის მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ძოწენიძე.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 21 ივლისი, № 530

69 საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ

„ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 ივნისის № 561 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. განხორციელდეს უახლოეს წლებში თანდათანობითი გადასვლა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობიდან მრავალბინიანი კეთილმოწყობილი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, მოსახლეობის სახსრების გამოყენებით.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოეწყოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები პირველ რიგში ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, გორში, ჭიათურაში, ტყიბულში, ზესტაფონში, ხოლო საჭიროების დროს — რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც, სადაც მოიპოვება საჭირო სამშენებლო ორგანიზაციები და მშენებლობის საწარმოო ბაზა.

3. დაწესდეს 1963-1965 წლებისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების 340 ათასი კვ. მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დავალება, მათ შორის 1963 წელს — 71 ათასი კვ. მეტრი, 1964 წელს — 108 ათასი კვ. მეტრი და 1965 წელს — 161 ათასი კვ. მეტრი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების განაცხადებით, წლიური სამეურნეო გეგმებით:

ა) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მოცულობა;

ბ) მასალებისა და მოწყობილობის გამოყოფა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის იმ ნორმებისა და ფასების მიხედვით, რაც დაწესებულია სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის, და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შეტანა საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმაში;

გ) დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას საჭირო მასალებით, ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების განვითარების, აგრეთვე რესპუბლიკისათვის გამოყოფილი საბაზრო ფონდების ხარჯზე.

5. დაწესდეს, რომ:

ა) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომის საბინაო სამმარ-

თველოებთან (განყოფილებებთან) ან კომუნალური მეურნეობის სამმართველოებთან (განყოფილებებთან), საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან;

ბ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს მოქმედი ტიპიური პროექტებით და იმ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის დაწესებულ ვადებში, რომლებიც სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შენდება, ხოლო კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა განისაზღვროს იმ ფასების, ნორმებისა და წესის მიხედვით, რაც დადგენილია სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს სახლების მშენებლობისათვის ფულადი სახსრები შეაქვთ აღნიშნული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საფუძველზე.

მოქმედი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან ამ დადგენილების მიღებამდე ბიუჯეტის შემოსავალში შემოსული თანხები, რომლებიც შეადგენენ განსხვავებას მასალების საბითუმო და საცალო ფასებს შორის, — დაბრუნებული არ იქნება.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეიძლება მოთავსდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში მხოლოდ ამ კოოპერატივების თანხმობით.

6. დაწესდეს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კოოპერატივები შეიტანენ ბანკში საკუთარ სახსრებს სახლის ღირებულების არანაკლებ 40 პროცენტისა და კოოპერატივს მიეცემა სახელმწიფო კრედიტი.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ აძლიოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტი მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 60 პროცენტამდე 10-15 წლის ვადით იმ ანგარიშით, რომ სესხი დაფარულ იქნას ყოველწლიურად თანაბარ წილად.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს გაითვალისწინონ მათდამი დაქვემდებარებული საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრების ანგარიშში.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ მიწის ნაკვეთების გამოყოფა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის იმ რაიონებში, რომლებსაც აქვთ გზები და წყალსადენის, კანალიზაციის და ელექტრომომარაგების მაგისტრალური ქსელები.

9. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს შეასრულონ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახსრებით კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამუშაოები იმ პირობებში, რაც დაწესებულია სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის საცხოვრებელი სახლების რემონტისათვის.

10. შეწყდეს მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ბორჯომში, წყალტუბოში, გაგრაში, გუდაუთაში, ქობულეთში და ქალაქის ტიპის დაბა ბაკურიანსა და ახალ ათონში, აგრეთვე კრედიტის მიცემა ამ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების ინდივიდუალური მენაშენეებისათვის.

იმ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში, სადაც განხორციელდება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, შენარჩუნებული იქნას ამ მშენებლობის დაკრედიტების მოქმედი წესი.

ნება დაერთოს ინდივიდუალურ მენაშენეებს ააგონ საცხოვრებელი სახლები თავიანთი ძალებით, რის გამო გაუქმდეს „ცალკეული კუსტარულ-ხელოსნური სარეწების შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 თებერვლის № 113 დადგენილების 1 მუხლის მეორე აბზაცის ნაწილი, რომელიც შეე-

ხება სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის აკრძალვას.

11. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უზრუნველყონ მიწის ნაკვეთების დროულად გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის და დახმარება გაუწიონ ინდივიდუალურ მენაშენეებს საშენი მასალების და დეტალების შეძენასა და გადაზიდვაში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 30 იანვრის № 78 დადგენილების შესაბამისად.

საშენ მასალებსა და ნაკეთობებს ინდივიდუალურ მენაშენეებს მისცემენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 თებერვლის № 1996 განკარგულებით, რომლის თანახმად სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ თავიანთი მუშაკების ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალების, სამშენებლო დეტალების, ინსტრუმენტების, ნახევარფაბრიკატების, კავეულის ნაკეთობათა, სტანდარტული საცხოვრებელი სახლების ცალკეული დეტალებისა და დეტალების კომპლექტების გაცემა, რომლებზედაც დაწესებულია საცალო ფასები, უნდა წარმოებდეს საცალო ფასებში, ხოლო ჩამოთვლილი საქონლის გაცემა, რომელზედაც არ არის დაწესებული საცალო ფასები, — საბითუმო ფასებში.

ხე-ტყის საშენი მასალების მიცემა ინდივიდუალური მშენებლობისათვის, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას უშუალოდ სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და სატყეო დაბებში, უნდა წარმოებდეს მოქმედ საბითუმო ფასებში.

სატრანსპორტო მომსახურების საფასურს მენაშენეები აანაზღაურებენ მოქმედი ტარიფების მიხედვით.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს:

ა) შეიმუშაონ და 1962 წლის 1 აგვისტომდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ინსტრუქცია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვის, განაშენიანების და კეთილმოწყობის შესახებ;

ბ) შეიმუშაონ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დააფინანსონ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯები იმ სახსრების ანგარიშში, რასაც ქალაქების მთავარ არქიტექტორებთან და კომუნალურ განყოფილებებთან არსებული სამეურნეო ანგარიშის ჯგუფები იღებენ მიწის ნაკვეთების გამოყოფის სამუშაოებისა და სხვა მომსახურებისათვის.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად, შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
პ. კოვანოვი.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 21 ივლისი, № 531

---

70 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მთავრობის მიერ მიღებული ზოგიერთი დადგენილება მოძველდა ან ფაქტიურად ძალა დაკარგა ამ დადგენილებათა შემცველი გადაწყვეტილებების მიღების გამო, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 23 ივნისის № 848

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება „პურის, სიმინდის და მზესუმზირას საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციისა და „ზაგოტზერნოს“ მიერ მარცვლისა და მზესუმზირას შესყიდვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1935 წ. № 18, მუხ. 114).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 6 ივლისის № 1325 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებში ერთპიროვნული სახლმფლობელებისა და მენაშენეებისათვის მიწის ნაკვეთების ნორმების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1940 წ. № 19, მუხ. 70).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 24 სექტემბრის № 1905 დადგენილება „სახნავი მიწის დასაბეგრ შემადგენლობაში ამოშრობილი და ათვისებული ფართობების შეტანის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1940 წ. № 15, მუხ. 103).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. კოვანოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 ივლისი, № 556

71 საქართველოს სს რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ

(ამონაკრეფი)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მოძრაობის უსაფრთხობის და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შედეგად, უკანასკნელ დროს, საქართველოს სს რესპუბლიკაში რამდენადმე შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში ავარიულობა კვლავ მაღალ დონეზეა და ადამიანთა მსხვერპლი საგრძნობია.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ავტოსაგზაო შემთხვევების ხრდა აღინიშნება აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბოლნისის, გორის,

ჩხოროწყუს, დუშეთის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, ყვარლის, ხობის, წალენჯიხის, წულუკიძის და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

შეუწყნარებლად მაღალი რჩება ქ. თბილისში ავარიებისა და ავტოდაჯახების რიცხვი.

საგზაო შემთხვევების დიდი რაოდენობა მოდის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, ცეკავშირის სისტემის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქალაქო ტრანსპორტის და სხვ. ავტოტრანსპორტზე.

ავტოსაგზაო შემთხვევათა ანალიზი მოწმობს, რომ დაბალია მძღოლთა შემადგენლობის შრომითი დისციპლინა, რომელთა მიზეზითაც მიმდინარე წელს მოხდა დიდი რაოდენობით საგზაო შემთხვევები.

ამავე დროს გამოვლინებული იყო ბევრი შემთხვევა როდესაც მძღოლები ავტოტრანსპორტს მართავდნენ არაფხიზელ მდგომარეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ იყო მიცემული მითითება ტექნიკურად უწესივრო სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის დაუშვებლობის შესახებ, ასეთი ფაქტები კვლავ გრძელდება, უფრო მეტიც — უკანასკნელ დროს მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის ტექნიკური გასინჯვის მონაცემებით ავტომობილების ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი გაუარესდა 1961 წელთან შედარებით 1,5 პროცენტით, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ავტოტრანსპორტზე, რომელიც რესპუბლიკის კოლმეურნეობებს ეკუთვნით. 1961 წლის წლიური ტექნიკური გასინჯვის ჩატარების დროს 8727 ავტომობილიდან უწესივრო მდგომარეობაში აღმოჩნდა 2871 ავტომანქანა.

ჯერ კიდევ აღინიშნება მრავალრიცხოვანი ფაქტები, როდესაც ავტოტრანსპორტს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ. მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში ყაზბეგის რაიონში თოვლში ჩაეფლო 69 სატვირთო ავტომობილი, რომელთა უმრავლესობას ხილი გადაჰქონდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სპეკულაციის მიზნით. ამ მანქანებიდან 10 მანქანა ეკუთვნოდა მარტო საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და მთელი რიგი სხვა სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა უკონტროლობას და წამყრუებლობას იჩენს ავტომეურნეობათა საავტომობილო ტრანსპორტის სწორი ექსპლუატაციის, მძღოლთა შემადგენლობის მომზადებისა და გადამზადების, მათ შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში, რაც იწვევს ავარიების მრავალრიცხოვან შემთხვევებს ადამიანთა მსხვერპლით.

ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი მეტწილად კამპანიის ხასიათს ატარებს, არა ჩანს გეგმაზომიერება, რის შედეგადაც ისინი არ იძლევიან სასურველ შედეგებს.

უკანასკნელ დროს გახშირდა ავარიები ქ. თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს სისტემაში. 1962 წლის 30 ივნისს და მიმდინარე წლის 15 ივლისს ქ. თბილისში მომხდარი ავარიების შედეგად დაშავდა რამდენიმე კაცი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საწინააღმდეგოდ, თიანეთის რაიონის სოფელ ართვინის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გორელაშვილმა მიმდინარე წლის 7 ივლისს დაუშვა კოლმეურნეთა ჯგუფის გამომგზავრება საექსკურსიოდ გაუწყობელი სატვირთო ავტომანქანით. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მძღოლმა განავითარა დიდი სისწრაფე და გადააბრუნა მანქანა, რის შედეგადაც გამოწვეულია ადამიანთა მსხვერპლი.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ საკარაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კიკნაველიძე მთელი რიგი წლების განმავლობაში ეწეოდა ტექნიკურად უწესივრო და ხალხის გადასაყვანად გაუწყობელი სატვირთო ავტომანქანის ექსპლუატაციას; მან ამ მანქანის მძღოლად გააფორმა ისეთი პირი, რომელსაც არა აქვს მანქანის მართვის უფლება, ამ მძღოლმა მიმდინარე წლის 21 ივნისს მოახდინა ავარია, რომლის დროსაც დაიღუპა ორი კაცი და მძიმედ დაშავდა 16 კაცი.

ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმას მოწმობენ, რომ მილიციის ორგანოები და მისი სახელმწიფო ავტოინსპექცია ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ამის წინააღმდეგ, საკმაოდ არ ავლენენ და არ აღმოფხვრიან იმ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ ავტოსაგზაო შემთხვევებს. ხშირად ლიბერალურად უდგებიან ქუჩაში მოძრაობის წესების ურჩ დამრღვევებს.

ჯერ კიდევ არასაკმაოა მილიციის ორგანოების უფროსთა მომთხოვნელობა სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებისადმი. ზოგიერთი მათგანი, არ სარგებლობს რა სათანადო ავტორიტეტით, ფორმალურად ეკიდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, სჩადის ამორალურ საქციელს, სამსახურებრივ ბოროტმოქმედებას, აღგება მექრთამეობის გზას.

მეტად ნელი ტემპით წარმოებს მუშაობის გარდაქმნა კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის, რის შედეგადაც 355 სახელმწიფო ავტოინსპექტორიდან და საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორიდან 150 კაცს არა აქვს სპეციალური განათლება და მუშაობის სათანადო გამოცდილება.

სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები არ არიან უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობის ავტომოტოტექნიკით და სხვა სპეციალური ტექნიკური საშუალებებით. არ არის მოწესრიგებული საკითხი მათი კუთვნილი ავტომოტოტრანსპორტის გარბენის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მძღოლთა კადრების მომზადების ხარისხს და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობაზე მნიშვნელოვანწილად ისიც ახდენს გავლენას, რომ პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები მთელ რიგ შემთხვევებში ლიბერალურად სჯიან მძღოლებს, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს მოძრაობის წესები და

გამოიწვიეს ავტოსაგზაო შემთხვევები, აგრეთვე პასუხისგებაში არ აძლევენ საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს და სხვა პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ჩადენას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ყოფ. ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, კავშირგაბმულობის, კულტურის სამინისტროებს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს არ შეუსრულებიათ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მუხლები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 სექტემბრის № 757 დადგენილებისა „საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ზომების შესახებ".

კერძოდ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ არ შედგომია შემოსავლელი გზების მშენებლობას ტრანზიტული ტრანსპორტისათვის, სანაპიროს ორივე მხარის გაგრძელებას, ბარათაშვილის ხიდის რეკონსტრუქციას, ბარნოვის ქუჩის გაგრძელებას ფუნიკულორის ქვედა პლატომდე.

არ არის მოწესრიგებული ერთ ადგილას კონცენტრირებული ტრამვაის, ტროლეიბუსებისა და ავტობუსების გაჩერების საკითხი, აგრეთვე საკითხი ტროტუარების შეზღუდვისა ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველსაყოფად. ხშირად სწორად არ არის მოწყობილი სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის ნაკადები. ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ქუჩის სავალი ნაწილის გათხრასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, არ ასრულებენ მუშაობის ადგილების შეზღუდვის მათთვის დადგენილ წესებს.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო და გზატკეცილების მთავარი სამმართველო აჭიანურებენ სასელექტორო-სატელეფონო კავშირის მშენებლობის დამთავრებას, ყოფილმა ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ მთლიანად ვერ უზრუნველყო ტროტუარების მშენებლობა ქვეითად მოსიარულეთათვის დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც მდებარეობენ ძირითად გზებზე, სადაც ინტენსიურად მოძრაობენ ავტომობილები (წყნეთი, მანგლისი, მცხეთა, სოღანლუღი და სხვ.); საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ორი ნაწილისაგან შემდგარი მხატვრული ფილმის გამოშვება მოძრაობის უსაფრთხობის წესების თემებზე; ცოტა გა-

მოდის თვალსაჩინო სახელმძღვანელოები და პლაკატები ამ წესების პოპულარიზაციის შესახებ.

სისტემატურად არ ტარდება და დაბალ დონეზე დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მძღოლთა, მოსახლეობასა და ბავშვთა შორის მოძრაობის უსაფრთხობის წესების შესწავლისა და პროპაგანდისათვის.

ამ მიზნით სუსტად არის გამოყენებული ისეთი მძლავრი საშუალებანი როგორიცაა რადიო, ტელევიზია, კინო-ქრონიკების ჩვენება სეანსების დაწყების წინ; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე აღნიშნული საკითხების გაშუქებას გაზეთებისა და ჟურნალების უმრავლესობის ფურცლებზე.

სამინისტროებისა და უწყებების ბევრ ხელმძღვანელს არ შეუსრულებია მოთხოვნები წვრილი, დაქუცმაცებული ავტომეურნეობების გამსხვილების შესახებ, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და მძღოლთა შორის შრომის დისციპლინის ამაღლებაზე.

მარტო ქალაქ თბილისში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე წვრილი ავტომეურნეობების რაოდენობა, რომელსაც ჰყავთ 1-დან 9 ავტომობილამდე, გადიდდა 92 მეურნეობით, ანუ 14 პროცენტით.

რესპუბლიკაში ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმის შედეგს წარმოადგენს, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკმაო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ მუშაობას, რათა მოწესრიგდეს ავტოტრანსპორტის მოძრაობა და ექსპლუატაცია, განმტკიცდეს შრომის დისციპლინა მძღოლთა შემადგენლობაში, გაძლიერდეს საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ავტომეურნეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს მუშაობა ავტოსაგზაო შემთხვევათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

დაევალოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ავტომეურნეობების ხელმძღვანელებს, პირველადს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები მძღოლთა შემადგენლობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შექმნან იმ მძღოლ-

ებისადმი შეეწყნარებელი ვითარება, რომლებიც მხილებულნი არიან ლოთობაში, ავტოხულიგნობაში და საავტომობილო და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხობის წესების სხვა დარღვევებში; გააუმჯობესონ მძღოლთა შემადგენლობის შერჩევა, განსაკუთრებით მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილ ტრანსპორტზე, გააძლიერონ ავტომეურნეობებში მანქანების ტექნიკური მდგომარეობისადმი კონტროლი და გადაჭრით აღკვეთონ ტრანსპორტის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს:

ა) გააუმჯობესონ ავტომობილებისა და მოტოციკლების მძღოლთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხი;

ბ) გადასინჯონ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა შემადგენლობის კადრები; მძღოლთა კადრების მომზადებასთან დაკავშირებულ სამუშაოდან გადააყენონ ის პირები, რომლებსაც არა აქვთ საკმაო კვალიფიკაცია და არ არიან ნდობის ღირსნი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიიღოს გადამწყვეტი ზომები ტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

ა) მიაღწიოს მილიციის ორგანოების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას საავტომობილო პარკის შენახვისა და გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელების საქმეში, გაატაროს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ უავარიო მოძრაობას და ავტოსაგზაო შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას;

ბ) გააუმჯობესოს მილიციის იმ თანამშრომლების მუშაობა, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას; მოითხოვოს მათგან ქუჩაში მოძრაობის წესების პროპაგანდის უნარიანი ორგანიზაცია, მოქალაქეებთან თავაზიანი და კულტურული მოპყრობა, პრინციპულობისა და დიდი პასუხისმგებლობის გამოჩენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში; უფრო ფართოდ ჩაებას ამ მუშაობაში რაზმელები, საზოგადოებრივი ინსპექტორები და საზოგადოებრიობის სხვა ძალები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების კვალიფიკაციის მისაკუთვნებელი გამოცდების ხარისხიანად ჩატარება; გამოიჩინოს მაქსიმალური მომთხოვნელობა მომავალ მძღოლთა მომზადების შეფასებისადმი; არ დაუშვას არც ერთი შემთხვევა ტრანსპორტის მძღოლის მოწმობის მიცემისა ისეთი პირებისათვის, რომელთაც არა აქვთ საკმაო ცოდნა და მანქანის მართვის ჩვევები;

დ) გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა სახელმწიფო ავტოინსპექციის პირად შემადგენლობას შორის; გადასინჯოს სახელმწიფო ავტოინსპექციის კადრები, გაწმინდოს ისინი უპატიოსნო და ისეთი პირებისაგან, რომლებიც არ არიან ნდობის ღირსნი.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ორგანოების უფროსებს და მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციას გააჩაღონ გადამწყვეტი ბრძოლა სატრანსპორტო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ მოძრაობის უსაფრთხობის წესებს; იმუშაონ არა მარტო დარღვევათა აღრიცხვის საკითხებზე, არამედ ბოლომდე გამოავლინონ და გადაჭრით აღკვეთონ ავტოსაგზაო შემთხვევების მიზეზები; მტკიცედ ადევნონ თვალყური ავტოტრანსპორტის ტექნიკურ მდგომარეობას, უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდა მოსახლეობაში და ამით მიაღწიონ სსრ კავშირის ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების ყველა მოთხოვნის მტკიცედ და ზუსტად შესრულებას.

5. კომუნალური მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. ა. პაატაშვილის, კავშირგაბმულობის მინისტრის ამხ. გ. ა. ქრისტესაშვილის, კულტურის მინისტრის ამხ. თ. პ. ბუაჩიძის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ე. მელაძის ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ არ არის შესრულებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 სექტემბრის დადგენილების ცალკეული მუხლები. დაევალოთ მათ მიიღონ გადამწყვეტი ზომები აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად და შედეგები მოახსენონ ცენტრალურ კომიტეტს 1963 წლის 1 იანვრისათვის.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მიიღოს უაღრესად გადამწყვეტი ზომები მძღოლთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და ავტომობილების ექსპლუატაციისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის;

სისტემატურად იმუშაოს ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე. ამ მიზნით შექმნას სამინისტროსთან და ავტოტრესტებთან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების სპეციალური ჯგუფები ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემადგენლობიდან, რომლებსაც დააკისროს მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობისა და უზრუნველყოფისადმი კონტროლი.

7. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, რესპუბლიკის პროკურატურამ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

ა) არ დაუშვან სადამსჯელო პრაქტიკის შესუსტება იმ მძღოლთა მიმართ, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს მოძრაობის უსაფრთხოების წესები. უფრო აქტიურად გამოავლინონ ის პირები, რომლებიც ხელს უწყობენ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ჩადენას და პასუხისმგებელი არიან ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და გამოყენებისათვის, ამასთან მისცენ ისინი პასუხისგებაში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ყოველწლიურად გააქტიურონ მუშაობა, რათა გატარდეს ცხოვრებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულება „ტრანსპორტის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისათვის საავტომობილო ტრანსპორტის და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ“; ამ საქმეში დამნაშავე პირები მისცენ მკაცრ პასუხისგებაში.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, კავშირგაბმულობის სამინისტროებმა, ცეკავშირმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და სხვა ორგანიზაციებმა ორი თვის ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები წვრილ ავტომეურნეობათა გამსხვილებისა და მათი კუთვნილი ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის სათანადო მოვლის ორგანიზაციის შესახებ.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოაწესრიგოს და გაუმჯობესოს მძღოლთა, კერძოდ, იმ პირთა სამედიცინო შემოწმების ხარისხი, რომლებიც დაკავებული იქნებიან არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის.

10. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და წითელი ჯვრის რესპუბლიკურმა კომიტეტმა:

ა) უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა ლექციური პროპაგანდისათვის ტრანსპორტის მართვის დროს ალკოჰოლის მავნეობისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წარმოშობაზე მისი გავლე-

ნის შესახებ;

ბ) სისტემატურად გამოსცენ პლაკატები და ფურცლები, რათა გაეცნონ მშრომელთა ფართო მასები ქუჩაში დაშავება-დასახიჩრების თავიდან აცილების საკითხებს;

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ, რომ ყველა კატეგორიის მოსწავლეებმა შეისწავლონ ქუჩაში მოძრაობის წესები, არსებული პროგრამის მიხედვით.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა გააძლიერონ მუშაობა მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდისათვის.

13. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) შექმნას ერთ-ერთ არსებულ გამომცემლობასთან სპეციალური ჯგუფი, რომელიც გამოსცემს მხატვრულ და პოპულარულ ლიტერატურას, სამახსოვრო წიგნაკებს, პლაკატებს, ფურცლებს და მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდის სხვა საშუალებებს;

ბ) შემოიღოს ცალკეული ფრაგმენტების შეტანა გამოშვებულ კინოჟურნალებში მოძრაობის უსაფრთხობის თემაზე.

14. დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს ორი თვის ვადაში განიხილოს პრეზიდიუმის სხდომაზე ავტოტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლის პრაქტიკული საქმიანობა და მიიღოს კონკრეტული ზომები, რათა მაქსიმალურად იქნას იგი გამოყენებული მძღოლთა შემადგენლობას შორის, განსაკუთრებით მოხალისე შოფერთა შორის, აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად.

15. პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელმა საქართველოს რესპუბლიკურმა საზოგადოებამ სისტემატურად ჩაატაროს ლექციები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდისათვის.

16. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ორი თვის ვადაში შეისწავლოს საკითხი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი კანონის მიხედვით იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების

შესახებ, რომლებიც პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ მათ კუთვნილ ავტომობილებს.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხობის უზრუნველყოფის რესპუბლიკურმა კომისიამ სისტემატური კონტროლი გაუწიოს ტრანსპორტის მოძრაობის წესრიგისა და უსაფრთხობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს; მიიღოს ოპერატიული ზომები ყველა გამოვლინებული დარღვევების მიზეზების აღმოსაფხვრელად.

18. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად იმუშაონ ავტოსაგზაო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის საკითხებზე; დასახონ კონკრეტული ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის; გააძლიერონ საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, ავტომეურნეობათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მძღოლთა შემადგენლობას შორის დისციპლინის მდგომარეობისათვის, მოითხოვონ მათგან მუდმივი ზრუნვა ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისა და უავარიო მოძრაობის უზრუნველყოფისათვის.

არ დაუშვან ქუჩებსა და ქალაქის გასასვლელებში სავაჭრო ჯიხურების, სარეკლამო ფარებისა და სხვა ისეთი საგნების დადგმა, რომლებიც ავიწროებენ სავალ ნაწილს და საფრთხეს უქმნიან ტრანსპორტის უსაშიშრო და დაუბრკოლებელ მოძრაობას.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ტრანსპორტის საკითხების მუდმივმა კომისიებმა შეისწავლონ და შეიტანონ აღმასკომებში ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის, ქალაქის ტრანსპორტის გაჩერებათა დისლოკაციის, საგზაო-სასიგნალო ნიშნებისა და უსაფრთხობის ხაზების განლაგების საკითხები.

19. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ფრუიძის განცხადება, რომ იმ ავტოავარიის საკითხი; რასაც ადგილი ჰქონდა ქალაქ თბილისში 30 ივნისს, განიხილა თბილისის საქალაქო აღმასკომმა და სასჯელი დაადო დამნაშავეებს, ხოლო 15 ივლისს მომხდარი ავარიის საკითხი მალე იქნება განხილული.

20. დაევალოთ საქართველოს კპ თიანეთის და მაიაკოვსკის რაიკომებს განიხილონ სოფელ ართვინის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. შ. მ. გორელაშვილის და სოფ. საკრაულის კოლმეურნეო-

ბის თავმჯდომარის ამხ. ო. ზ. კიკნაველიძის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს ტექნიკურად უწესივრო ავტომანქანების ექსპლუატაცია, რის შედეგადაც მოხდა ავტოავარიები ადამიანთა მსხვერპლით.

21. ეს დადგენილება დაეგზავნოთ საქართველოს კპ ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და მათთან გათანაბრებულ სამმართველოებს, მსხვილი ავტომეურნეობების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს, მილიციის საქალაქო და რაიონული ორგანოების უფროსებს, პროკურორებსა და სახალხო მოსამართლეებს. დაევალოთ მათ განიხილონ პარტიულ კრებებზე ეს დადგენილება, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი ავტოსაგზაო შემთხვევებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

22. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1963 წლის 20 იანვრისათვის მოახსენოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
პ. კოვანოვი.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 ივლისი, № 558

72 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“, საქართვე-

ლოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ოქტომბრის № 841 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებში ინდივიდუალური საბინაო და საგარეუბნო სააგარაკო მშენებლობის მოწესრიგების ზომების შესახებ“;

ბ) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 აგვისტოს № 529 დადგენილება „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ოქტომბრის № 841 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 5 ოქტომბერი, № 698

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

73 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაცვლელად იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ხარისხოვანი ჩაის

ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებას, დაწესდეს ორი გარდამავალი წითელი დროშა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების ორი ჯგუფისათვის.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნონ: ქობულეთის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას, სოხუმის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები, მეორე ჯგუფს — გუდაუთის, წყალტუბოს, სამტრედიის, ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.	**მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 13 სექტემბერი, № 67

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

74 **საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კვარტალური და წლიური ანგარიშების განსახილველად საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და საზოგადოებრიობის ფართო წრის მოზიდვის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში სახალხო ინიციატივამ შექმნა ბევრი ახალი ფორმა მასების მონაწილეობისა სახელმწიფო საქმეების მართ-

ვაში, რეზერვების გამოვლინების, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-საფინანსო საქმიანობისადმი საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების საქმეში.

ერთ-ერთი ასეთი ფორმაა საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსაქსახურეთა და საზოგადოებრიობის ფართო წრეების მონაწილეობა ანგარიშების განხილვაში.

საქართველოს სსრ ზოგიერთ მსხვილ საწარმოში (გორის ბამბეულის კომბინატი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, თბილისის ტრიკოტაჟის სართავი კომბინატი და სხვ.) 1962 წელს ჩატარებულმა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის 1961 წლის შედეგების განხილვამ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე დადებითი შედეგები მოგვცა.

საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების განხილვა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით ხელს უწყობს შიგასამეურნეო რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას, ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ფულადი მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო მომჭირნეობით ხარჯვას, სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვისათვის ბრძოლის გაძლიერებას, გაფლანგვებისა და მტაცებლობის, აგრეთვე თვალისახვევის და მიწერის ფაქტების გამოვლინებასა და აღკვეთას, მასების ინიციატივის კიდევ უფრო მეტად გაშლას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ:

1. წინადადება მიეცეთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და რესპუბლიკის პროფკავშირთა კომიტეტებს მოაწყონ, რომ სისტემატურად იქნას განხილული მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და სამეურნეო აქტივებზე საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები წლიური და კვარტალური საბუღალტრო ანგარიშების მონაცემების მიხედვით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

ა) დახმარება გაუწიოს ფაბრიკებისა და ქარხნების პროფკავშირულ ორგანიზაციებს საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესწავლის, მათი ღრმა ანალიზისა და რეკომენდაციების მომზადების საქმეში;

ბ) სისტემატურად ჩაატაროს საწარმოებში სემინარები და ლექციები საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსის ანალიზის შესახებ

მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, საზოგადოებრივი ბიუროების და ეკონომიური ანალიზის ჯგუფების წევრებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **მ. ლელაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 25 ივლისი, № 512

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75 ქალაქებსა, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება ქალაქებსა, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 7 ივლისი, № 451

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივლისის № 451 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქებსა, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების ანაზღაურების შესახებ

ქალაქებსა, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთათვის ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების ღირებულების შეფასებას აწარმოებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებული კომისიები.

აღნიშნული კომისიები ხილ-კენკრის ნარგავებისა და ნათესების შეფასებას აწარმოებენ ქვემოაღნიშნული წესების დაცვით:

1. მრავალწლიანი ხეხილის ნარგავები დაიყოფა სამ ჯგუფად; თესლოვანი, კურკოვანი და კაკლოვანები. ნაგალა ჯიშის თესლოვანები, შეფასების დროს მიეკუთვნებიან კურკოვანებს, რადგან ეს ნარგავები, ისე როგორც კურკოვნები, ადრე შედიან მსხმოიარობაში და ადრევე ბერდებიან.

2. ვენახის ნარგავები იყოფა ორ ჯგუფად: დაბლარები და მაღლარები; მაღლარებს მიეკუთვნება აგრეთვე ხეივნები.

3. ციტრუსოვანი ნარგავები იყოფა ოთხ ჯგუფად: ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და დანარჩენი ციტრუსოვანი კულტურები.

4. კაკლოვანებიდან კაკალი და წაბლი გამოიყოფა ცალკე ჯგუფად, თხილი და ნუში — ცალკე ჯგუფად.

5. სუბტროპიკული ხურმა — ცალკე ჯგუფად, ლეღვი და მუშპულა — ცალკე ჯგუფად, ბროწეული და ზღმარტლი (ბაღის) — ერთ ჯგუფად.

6. დაფნა — ცალკე ჯგუფად.

7. თუთის ნარგავები — ცალკე ჯგუფად.

8. მრავალწლიანი ეთერზეთოვანი კულტურები — ერთ ჯგუფად.

წლების მიხედვით შეფასება განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

(წლოვანება იანგარიშება დარგვიდან)

კურკოვანი	სამ წლამდე	1 მან. და 60 კაპ.
ნამყენი	3—5 „	2 მან. და 40 კაპ.
(ატამი, ქლიავი,	5—8 „	3 მან. და 70 კაპ.
ალუბალი)	8—10 „	4 მან. და 50 კაპ.
	10 წლისა და მეტისა	5 მან.
ბალი და ალუჩა	სამ წლამდე	1 მან. და 60 კაპ.
	3—5 „	2 მან. და 40 კაპ.
	5—8 „	3 მან. და 70 კაპ.
	8—10 „	4 მან. და 50 კაპ.
	10—12 „	5 მან.
	12 წლისა და მეტისა	5 მან. და 50 კაპ.
თესლოვანი	სამ წლამდე	1 მან. და 80 კაპ.
ნამყენი	3—5 „	2 მან. და 70 კაპ.
	5—8 „	4 მან. და 10 კაპ.
	8—10 „	5 მან.
	10—12 „	5 მან. და 30 კაპ.
	12—15 „	7 მან. და 30 კაპ.
	15 წლისა და მეტისა	8 მან. და 80 კაპ.
	კაკლოვანი ოთხ სანტიმეტრამდე	1 მან.
კაკალი, წაბლი	4—20 სმ.	ყოველ სმ. 25 კაპ.
(დიამეტრებში)	20—50 სმ.	ყოველ სმ. 40 კაპ.
	50 სმ. და მეტისა	ყოველ სმ. 50 კაპ.

შენიშვნა: ხის დიამეტრი უნდა გაიზომოს მკერდის სიმაღლეზე (1 მეტრი და 30 სანტიმეტრი).

თხილი, უნაბი და ნუში	სამ წლამდე	50 კაპ.
	3—5 „	1 მან. და 30 კაპ.
	5—8 „	2 მან.
	8—10 „	2 მან. და 50 კაპ.
	10—12 „	2 მან. და 90 კაპ.
	12 წლისა და მეტისა	3 მან. და 40 კაპ.
ლიმონი	სამ წლამდე	1 მან. და 50 კაპ.
ნამყენი	3—5 „	2 მან. და 30 კაპ.
	5—8 „	3 მან. და 50 კაპ.

	8—10 წლამდე	4 მან. და 30 კაპ.
	10—12 „	5 მან.
	12—15 „	6 მან. და 20 კაპ.
	15 წლისა და მეტისა	8 მან. და 30 კაპ.
ფორთოხალი	სამ წლამდე	2 მან.
	3—5 „	3 მან.
	5—7 „	4 მან.
	7—10 „	5 მან. და 70 კაპ.
	10—12 „	6 მან. და 70 კაპ.
	12—15 „	8 მან. და 30 კაპ.
	15 წლისა და მეტისა	11 მან.
მანდარინი	სამ წლამდე	1 მან. და 50 კაპ.
	3—5 „	2 მან. და 30 კაპ.
	5—7 „	3 მან.
	7—10 „	4 მან. და 30 კაპ.
	10—12 „	5 მან.
	12 წლისა და მეტისა	6 მან. და 20 კაპ.
დანარჩენი ციტრუსოვანი კულტურები	სამ წლამდე	1 მან. და 50 კაპ.
	3—5 „	2 მან. და 30 კაპ.
	5—8 „	3 მან.
	8—10 „	4 მან.
	10—12 „	5 მან.
	12 წლისა და მეტისა	6 მან. და 20 კაპ.
სუბტროპიკული ხურმა ნამყენი	სამ წლამდე	1 მან.
	3—5 „	1 მან. და 20 კაპ.
	5—8 „	1 მან. და 50 კაპ.
	8—10 „	2 მან. და 50 კაპ.
	10—13 „	3 მან. და 50 კაპ.
	13 წლისა და მეტისა	5 მან.
ლეღვი და მუშმულა	სამ წლამდე	30 კაპ.
	3—5 „	80 კაპ.
	5—7 „	1 მან. და 50 კაპ.
	7—10 „	2 მან.
	10—13 „	2 მან. და 50 კაპ.

	13 წლისა და მეტისა	4 მან.
ბროწეული და ზღმარტლი	სამ წლამდე	30 კაპ.
	3—5 „	70 კაპ.
	5—8 „	1 მან. და 30 კაპ.
	8—10 „	1 მან. და 50 კაპ.
	10 წლისა და მეტისა	2 მან.
თუთის ნარგავები (დიამეტრებში)	სამ წლამდე	30 კაპ.
	3—5 „	50 კაპ.
	5—7 „	60 „
	7—10 „	90 „
	10—13 „	2 მან.
	13—15 „	2 მან. და 20 კაპ.
	15—17 „	2 მან. და 40 კაპ.
	17—20 „	2 მან. და 50 კაპ.
	20 წლისა და მეტისა	3 მან.
დაფნის ნარგავები	სამ წლამდე	40 კაპ.
	3—5 „	80 კაპ.
	5—8 „	1 მან. და 50 კაპ.
	8—10 „	2 მან. და 50 კაპ
	10 წლისა და მეტისა	4 მან.
დაფნის ნარგავები გაშენებული შპალერის წესით	სამ წლამდე	30 კაპ.
	3—5 „	50 კაპ.
	5—8 „	1 მან.
	8 წლისა და მეტისა	1 მან. და 50 კაპ.
ჩაის ბუჩქი	სამ წლამდე	06 კაპ.
	3—5 „	08 კაპ.
	5—8 „	10 კაპ.
	8 წლისა და მეტისა	13 კაპ.
მრავალწლიანი ეთერ-ზეთოვანი კულტურები	სამ წლამდე	30 კაპ.
	3—5 „	50 კაპ.
	5—8 „	1 მან.
	8 წლისა და მეტისა	1 მან. და 50 კაპ.

ლობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 13 ივლისი, № 476.

78 **ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 13 ივლისი, № 477.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 477 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყო-

ფის მუდმივმოქმედი კომისია შეიქმნება საავტომობილო და საქალაქო ელექტროტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, აგრეთვე მძღოლთა შემადგენლობის შორის შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის მუშაობის გასაძლიერებლად.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ცეკავშირის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელისშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს და სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ხელმძღვანელი მუშაკები.

კომისიას მეთაურობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. თავის მუშაობაში კომისია ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებით იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება საქართველოს სს რესპუბლიკაში ტრანსპორტის გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესის გაუმჯობესებას, აგრეთვე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაკისრებული აქვთ მოვალეობა უზრუნველყონ კომისიის მიერ დამტკიცებულ ღონისძიებათა შესრულება.

4. თავისი ამოცანების განხორციელებისათვის კომისია:

ა) მოისმენს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ცალკეულ ხელმძღვანელთა, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ინფორმაციას ავარიულობის მდგომარეობის, აგრეთვე საავტომობილო და საქალაქო ელექტროტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოძრაობის წესის გაუმჯობესების შესახებ და მიიღებს ამ ინფორმაციების გამო საჭირო გადაწყვეტილებებს.

ბ) გაარჩევს ყველაზე სერიოზულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს, რისთვისაც გამოუძახებს სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების შესაბამის ხელმძღვანელებს.

გ) განიხილავს საქართველოს სსრ ქუჩებში და გზებზე ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა ნაკადების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს.

დ) მოაწყობს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში „ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის ერთთვიურების" ჩატარებას.

ე) დახმარებას გაუწევს ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებს ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის დეკადების ჩატარებაში.

ვ) ჩაატარებს საავტომობილო და საქალაქო ელექტროტრანსპორტის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირებს საქართველოს სს რესპუბლიკაში, საავტომობილო და საქალაქო ელექტროტრანსპორტზე ავარიულობის მდგომარეობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

ზ) განიხილავს საკითხებს:

— ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრიობის ძალთა მოზიდვის შესახებ;

— ავტოსკოლებსა და ავტოკურსებზე მძღოლთა შემადგენლობის მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ;

— მძღოლთა, მოსახლეობასა და მოსწავლეთა შორის მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდის შესახებ, რისთვისაც მოაწყობს ლექციებს, საუბრებს, რადიო და ტელეგადაცემებს, გამოაქვეყნებს სტატიებს გაზეთებში, ჟურნალებში და ა. შ.;

— მოძრაობის უსაფრთხობის წესების პროპაგანდისათვის პოპულარული ლიტერატურის, პლაკატების, ფურცლების, კინოფილმებისა და სხვა მასალების გამოცემის შესახებ.

თ) განახორციელებს ღონისძიებებს მილიციის ორგანოების თანამშრომელთა მუშაობის გაძლიერებისათვის მოძრაობის უსაფრთხობის წესების და ავტომოტოტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოძრაობის უსაფრთხობის უზრუნველყოფის კომისიის სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც, რომლებზედაც განიხილება საქართველოს სს რესპუბლიკაში წინა თვის ან კვარტალის განმავლობაში ავარიულობის

ნაწილის მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების ფასებში მიყიდვის ნებართვის შესახებ“,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 17 ივლისი, № 492.

80 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 იანვრის № 4 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 იანვრის № 4 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს 1962 წლიდან კოლმეურნეობებისათვის სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნის“ იურიდიულ პირთა საწევრო შესატანის ოდენობა წელიწადში 15 მანეთი კოლმეურნეობათა საერთო წლიური შემოსავლის ყოველ სრულ და არასრულ 10.000 მანეთზე.

2. დაევალოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს აცნობონ ეს დადგენილება კოლმეურნეობათა გამგეობებს, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დახმარება აღმოუჩინონ ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს“ ფიზკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებაში, ფიზკულტურელთა ფართო აქტივის მონაწილეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ნაწილის მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების ფასებში მიყიდვის ნებართვის შესახებ“,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 17 ივლისი, № 492.

80 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 იანვრის № 4 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 იანვრის № 4 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს 1962 წლიდან კოლმეურნეობებისათვის სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნის“ იურიდიულ პირთა საწევრო შესატანის ოდენობა წელიწადში 15 მანეთი კოლმეურნეობათა საერთო წლიური შემოსავლის ყოველ სრულ და არასრულ 10.000 მანეთზე.

2. დაევალოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს აცნობონ ეს დადგენილება კოლმეურნეობათა გამგეობებს, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დახმარება აღმოუჩინონ ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს“ ფიზკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებაში, ფიზკულტურელთა ფართო აქტივის მონაწილეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 20 ივლისი, № 502.

81 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიებისა და მიწათმოწყობის სამსახურის ორგანიზაციის შესახებ

იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რაციონალურად გამოიყენონ მიწის რესურსები და დიფერენცირებულად ისარგებლონ მინერალური სასუქებით იმის მიხედვით, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი ნიადაგი მასაზრდოებელი ნივთიერებებით, აგრეთვე იმისათვის, რომ მოწესრიგდეს მიწათმოწყობის სამუშაოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მოაწყოს 1962 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოსთან, მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოსთან, არსებული რაიონული აგროქიმიური ლაბორატორიების ბაზაზე, საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიები და აღჭურვოს ისინი საჭირო მოწყობილობით.

2. დაწესდეს საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიების შტატი 10 ერთეულის რაოდენობით თვითეულისათვის, მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დაუწესდა 1962 წლისათვის, ამასთან ნება დაერთოს სამინისტროს გამოიყენოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმების შედეგად განთავისუფლებულ მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის ფონდი.

3. დამტკიცდეს საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიების მუშაკთა საშტატო განრიგი და თანამდებობრივი განაკვეთები, № 1 დანართის თანახმად.

შტატში ლაბორატორიის გამგის თანამდებობის შეტანა და მისი თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობა შეათანხმოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

4. საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიების დაფინანსება მიმდინარე წელს მოხდეს იმ საერთო ასიგნობათა ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტე-

ბის წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სისტემაში 1962 წლისათვის.

5. დაეკისროთ საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიურ ლაბორატორიებს:

ა) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწის ფონდის და მისი მდგომარეობის შესწავლა, მიწების უფრო რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

ბ) ნიადაგობრივი ანალიზების წარმოება, რაც საჭიროა შიგასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტების შესადგენად;

გ) აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა და რეკომენდაციების შემუშავება, რათა დიფერენცირებულად იქნას გამოყენებული სასუქი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის;

დ) იმისადმი კონტროლი, რომ სწორად ინახებოდეს სასუქი რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" ბაზებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს შეადგინონ 1963 — 1965 წლების განმავლობაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მონაწილეობით, ნიადაგობრივ-აგროქიმიური კარტოგრამები ჩაისა და ციტრუსოვანთა ნარგავების მთელი ფართობისათვის, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს:

ა) გაითვალისწინოს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თემატური გეგმებით ინდექსების დადგენა ნიადაგში მინერალური სასუქის დიფერენცირებულად შეტანისათვის, მათ ცალკეულ სახეობათა მიხედვით;

ბ) მოაწყოს 1963 წლიდან მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიები 2-3 საშტატო ერთეულით, თვით მეურნეობათა შტატის ხარჯზე: 1963 წელს — 100, 1964 წელს — 200 და 1965 წელს — 200 ლაბორატორია;

გ) უზრუნველყოს სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიურ ლაბორატორიებში სამუშაოდ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დაამტკიცოს ნიადაგობრივ აგროქიმიური გამოკვლევისა და ჩაის და ციტრუსოვანი პლანტაციების კარტოგრამების შედგენის მეთოდიკა და ინსტრუქცია.

8. დაწესდეს, რომ ნიადაგობრივ-აგროქიმიურ გამოკვლევასთან დაკავშირებული საველე სამუშაოები ტარდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თვით მეურნეობათა ხარჯზე და მათი მუშახელის დახმარებით.

9. დაეკისროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო საძძართველოებთან არსებული საწარმოო ნიადაგობრივ აგროქიმიური ლაბორატორიების მუშაობის მეთოდური ხელმძღვანელობა.

10. შეიქმნას ყველა ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოსთან, აგრეთვე მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოსთან მიწათმოწყობის სამსახური, № 2 დანართის თანახმად, იმ ანგარიშით, რომ ეს სამსახური დაკომპლექტებულ იქნას სამინისტროს მიწათმომწყობთა ოპერატიული პერსონალის ხარჯზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ შეიმუშაოს დებულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან არსებული მიწათმოწყობის სამსახურის მუშაობის შესახებ.

11. ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან, მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოსთან არსებული მიწათმოწყობის სამსახურის შენახვის ხარჯების ანაზღაურება მოხდეს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის „საქსახმიწპროექტის“ მეშვეობით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად და იმ სახსრების ხარჯზე, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს გამოეყო მიწათმოწყობის სამუშაოებისათვის.

12. დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიწათმოწყობის ინსტიტუტს „საქსახმიწპროექტს“ მიწათმოწყობის იმ სამსა-

ხურის ხელმძღვანელობა, რომელიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან ეწყობა.

13. დამტკიცდეს მიწათმოწყობის რესპუბლიკური საპროექტო ინსტიტუტის „საქსახმიწპროექტის“ სტრუქტურა და შტატები, 3 და 4 დანართების თანახმად.

ეთხოვოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მოგვცეს თანხმობა, რათა შეტანილ იქნას ინსტიტუტის შტატში თანამდებობანი მთავარი აგრონომისა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში, მთავარი აგრონომისა ნიადაგის გამოკვლევათა დარგში, უფროსი ზოოტექნიკოსისა, უფროსი სპეციალისტისა აგროსამელიორაციო სამუშაოთა დარგში, უფროსი სპეციალისტისა წყალთა მეურნეობისა და სამელიორაციო სამუშაოების დარგში, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ინსტიტუტის თანამდებობათა სქემით და დააწესოს მათთვის განაკვეთები.

14. იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოო შემადგენლობის სპეციალისტები (მიწათმომწყობი პარტიები და რაზმები, მზაზველთა ჯგუფები და სხვ). 1961 წლის 1 ოქტომბრიდან გადაყვანილი არიან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, ძალაში დარჩეს, ვიდრე საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასი მოწესრიგდებოდეს, აღნიშნული დადგენილებით დაწესებული ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები.

15. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ:

ა) ხუთი დღის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება მიწათმოწყობის რესპუბლიკური საპროექტო ინსტიტუტის „საქსახმიწპროექტის“ შესახებ;

ბ) იმისათვის, რომ თანდათანობით შეივსოს ინსტიტუტი „საქსახმიწპროექტი“ და მიწათმოწყობის სამსახური მაღალკვალიფიციური მიწათმომწყობი ინჟინრებით, გათვალისწინებულ იქნას, რომ შეიქმნას 1963-1964 სასწავლო წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან მიწათმოწყობის ფაკულტეტი (ან

ჯგუფი) 25 კაცის მისაღები კონტინგენტით; ამ ფაკულტეტზე მიღება მოხდეს ყოველ 5 წელიწადში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბირაძაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილების დანართი № 1

შტატი და თანამდებობრივი განაკვეთები

საწარმოო ნიადაგობრივ-აგროქიმიური ლაბორატორიებისა, რომლებიც ეწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების ოდენობა	თვიური თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)	სულ თვეში (მან.)
ლაბორატორიის გამგე	1	115	115
აგრონომ-ქიმიკოსი	3	90	270
ნიადაგმცოდნე აგრონომი	2	90	180
ლაბორანტი	3	65	195
დამლაგებელი	1	42,50	42,50
სულ:	10		802,50

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილების დანართი № 2

რაოდენობრივი შემადგენლობა

მიწათმოწყობის სამსახურისა, რომელიც იქმნება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან

საწარმოო სამმართველოს დასახელება	მიწათმოწყობელთა რაოდენობა
თელავის	5
გურჯაანის	4
სიღნაღის	5
ბოლნისის	5
თეთრიწყაროს	4
დუშეთის	5
გორის	6
ახალციხის	7
ზესტაფონის	6
სამტრედიის	5
ამბროლაურის	3
წყალტუბოს	4
მახარაძის	5
ცხაკაიას	5
ზუგდიდის	5
სოხუმის	5
გუდაუთის	3
ქობულეთის	4
შუახევის	3
მერძევეობა მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი	5
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველო	6
სულ	100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილების დანართი № 3

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიწათმოწყობის რესპუბლიკური საპროექტო ინსტიტუტის — „საქსახმიწპროექტისა“

ა პ ა რ ა ტ ი

ხელმძღვანელობა

საწარმოო-ტექნიკური განყოფილება

საგეგმო-საფინანსო განყოფილება

ამის გარდა, ინსტიტუტთან იმყოფება:

ფოტოგრამმეტრიული ჯგუფი

კარტოგრაფიული ჯგუფი

სანიადაგო ჯგუფი

ცენტრალური აგროქიმიური ლაბორატორია

მიწათმოწყობის ოპერატიული ჯგუფი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟ ი რ ა ძ ა ძ ე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მიხისტრთა საბჭოს
1962 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილების დანართი № 4

შტატები

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიწათმოწყობის რესპუბლიკური საპროექტო ინსტიტუტის — „საქსახმიწპროექტისა"

განყოფილებათა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
აპარატი	
საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი	1
მთავარი ინჟინერი, იგივე დირექტორის მოადგილე	1
უფროსი ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში .	1
მეურნეობის გამგე	1
მდივანი-მემანქანე	1
მემანქანე	1
დამლაგებელი	2
სულ:	8
საწარმოო-ტექნიკური განყოფილება	
საწარმოო განყოფილების უფროსი, იგივე მთავარი სპეციალისტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათმოწყობის დარგში	1
მთავარი აგრონომი სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში	1
მთავარი აგრონომი ნიადაგის გამოკვლევის დარგში . . .	1
უფროსი ინჟინერი გეოდეზიურ სამუშაოთა დარგში . . .	1
უფროსი სპეციალისტი აგროსამელიორაციო სამუშაოთა დარგში	1
უფროსი სპეციალისტი წყალთა მეურნეობისა და სამელიორაციო სამუშაოთა დარგში	1

განყოფილებათა და თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა
უფროსი ზოოტექნიკოსი	1
უფროსი ინჟინერ-მიწათმომწყობი ტექნიკური კონტროლის დარგში	1
ტექნიკური არქივის გამგე (გეოსოფლცნობარბიურო) . . .	1
ტექნიკური საწყობის (გეოდეზიური კამერის) გამგე . . .	1
გეოდეზიური ინსტრუმენტების რემონტის მექანიკოსი . . .	1
სულ:	11
საგეგმო-საფინანსო განყოფილება	
საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი	1
უფროსი ეკონომისტი წარმოების დაგეგმვის დარგში . . .	1
უფროსი ეკონომისტი სახელშეკრულებო სამუშაოთა დარგში .	1
უფროსი ბუღალტერი	1
ბუღალტერი	1
მოლარე	1
სულ:	6
მთლად ინსტიტუტში	25

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

82 **იმ ინდივიდუალურ მენაშენეებისათვის, რომლებიც თავს არიდებენ სახლების მშენებლობის დამთავრებას, ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის, აგრეთვე დაუმთავრებელ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა გაწერის წესის შესახებ**

იმის შედეგად, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სუსტ კონტროლს უწევენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიმდინარეობას, — ბევრი მენაშენე არღვევს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დადგენილ წესს, თავს არიდებს საცხოვრებელი ფართობის იმ ნაწილის მშენებლობის დამთავრებას, რომელიც დაწესებულ ნორმებს აღემატება, სისტემატურად არღვევს მშენებლობის ვადებს, სახლდება ჯერ კიდევ დაუმთავრებელ და მიუღებელ სახლებში და განაგრძობს იქ ცხოვრებას გაუწერავად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა ინდივიდუალური მენაშენეებისათვის, რომლებიც თავს არიდებენ სახლების მშენებლობის დამთავრებას, წარმოებს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 147[1] მუხლის წესით.

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებს დაამთავრონ შენობის ჩამორთმეული ნაწილის მშენებლობა, აიღონ იგი თავიანთ ბალანსზე და შენობის ამ ნაწილის გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 5 ივნისის ბრძანებულებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25-ე მუხლის მეორე ნაწილის, 26-ე და 95-ე მუხლების შეფარდების წესის შესახებ“.

2. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებს აძლიონ ინდივიდუალურ მენაშენეებს დროებითი სახლის წიგნები დაუმთავრებელ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა გასაწერად, იმავდროულად გააფრთხილონ მენაშენეები, რომ საჭიროა განხორციელდეს მშენებლობა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამატებით დაწესებულ ვადებში; ვადის დანიშვნისას გაითვალისწინონ, რა რეალური შესაძლებლობა მოეპოვება მენაშენეს იმისათვის, რომ დაამთავროს მშენებლობა თავისი შრომი-

თი შემოსავლისა და დანაზოგების ხარჯზე, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ ეს ვადა არ აღემატებოდეს ერთ წელიწადს.

იმ მენაშენეთა მიმართ, რომელთაც არ დაამთავრეს მშენებლობა მიცემულ დამატებითს ვადაში, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან მიიღონ ტიპიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზომები, რომლის მიხედვითაც მათ უვადო სარგებლობაში მიეცათ მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის პირადი საკუთრების უფლებით.

თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და გორის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სახლების მშენებლობის დამთავრების ვადებს დააწესებენ იმ სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დამთავრება აღნიშნულ ქალაქებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 27 ივლისი, № 521

83 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სოფლის ელექტროდანადგარებისადმი ტექნიკური ზედამხედველობის და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექციის „სახსოფლელექტროზედამხედველობის" დებულების მე-10 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სოფლის ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარებისადმი ტექნიკური ზედამხედველობის და კონტროლის რესპუბლიკური ინსპექციის — „სახსოფლელექტროზედამხედველობის" შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 ივნისის № 402 დადგენილებით დამტკიცებული დე-

ბულების მე-10 მუხლის ქვეპუნქტი „ვ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) შეადგენს აქტებს და გაუგზავნის მათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიებს, რათა დაადონ ჯარიმა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, რომელთაც ელექტროდანადგარები აქვთ, ამ დანადგარების მომსახურე პერსონალს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს ენერგოდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, უსაფრთხობის ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების, აგრეთვე ელექტროენერგიის სარგებლობის წესების დარღვევისათვის.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 6 აგვისტო, № 559.

84 სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული ინსპექტურების მოწყობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 12 ივლისის № 712 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული ინსპექტურები სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტურების ბაზაზე, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ იმ ინსპექტურების სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტორები, რომელთა ბაზაზე ეწყობა ტერიტორიული ინსპექტორები, არიან სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული ინსპექტორების მოადგილეები.

3. დაეკისროთ სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიულ ინსპექტურებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უზრუნველყოფა საანგარიშო მონაცემებით, რომლებიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისადმი ხელმძღვანელობისათვის.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ზემოაღნიშნული დადგენილებით დაავალა სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, დაადგინოს წესი და ვადები აღნიშნული საანგარიშო მონაცემების წარდგენისა ტერიტორიული საწარმოო სამმართველოებისათვის.

4. დაეკისროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს და მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს იმის პასუხისმგებლობა, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა დროზე და ხარისხიანად წარუდგინონ სოფლის მეურნეობის დაწესებული სტატისტიკური ანგარიშები სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიულ ინსპექტურებს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ცეკავშირის გამგეობას, მისცეს პითითება დაქვემდებარებულ დამამზადებელ ორგანიზაციებს მტკიცედ დაწესებულ ვადებში წარუდგინონ სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიულ ინსპექტურებს ანგარიშები ცალკე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის შესახებ, აგრეთვე მიღების ქვითრების ასლები — ნაკრები ანგარიშების შესადგენად.

6. გავრცელდეს სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიულ ინსპექტურებზე მოქმედება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 4 აგვისტოს № 1839 დადგენილების მე-6 მუხლისა, რომელიც ავალებს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს გამოუყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის რაიონულ და საქალაქო ორგანოებს კეთილმოწყობილი სადგომები სამუშაოდ იმ ანგარიშით, რომ მათი საფასური გადახდილ იქნას, აგრეთვე სამეურნეო მომსახურების (დასუფთავება, გათბობა, განათება და ტელეფონით სარგებლობა) ხარჯები გაწეულ იქნას რაიონული და საქალაქო ბიუჯეტებიდან, ამასთან ავალებს იმ სოფლების სასოფლო საბჭოებს, რომლებშიაც სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის უბნის ინსპექტორები იმყოფებიან, უფასოდ დაუთმონ მათ მეცადინეობისათვის საჭირო სადგომი, სამეურნეო მომსახურებით (დასუფთავება, განათება, გათბობა, ტელეფონით სარგებლობა).

7. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მისცეს პითითება რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებებს რაია-

ღმასკომის ბიუჯეტების შედგენისას გაითვალისწინონ ცალკე მუხლად სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული, რაიონული და საქალაქო ინსპექტურების სადგომების ანაზღაურებისა და სამეურნეო მომსახურების (დასუფთავება, გათბობა, განათება, მასალების გამრავლება, ტელეფონით სარგებლობა და სხვ.) ხარჯები.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1962 წლის III-IV კვარტალებში გამოუყოს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ბაზრისგარეშე ფონდის ანგარიშში 5 ათასი მანეთის ავეჯი (მაგიდები, კარადები, სკამები) სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული ინსპექტურების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ლ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 10 აგვისტო, № 572.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 10 აგვისტოს № 572 დადგენილების დანართი

ს ი ა

სახელმწიფო სტატისტიკის ტერიტორიული ინსპექტურებისა

ტერიტორიული ინსპექტურების დასახელება		აღგილსამყოფელი
თელავის	ქალაქი	თელავი
გურჯაანის	„	გურჯაანი
სიღნაღის	„	სიღნაღი
სამგორის (სპეციალიზებული ტრესტი)	დაბა	სამგორი
თეთრიწყაროს	„	თეთრიწყარო
დუშეთის	ქალაქი	დუშეთი
გორის	„	გორი
ახალციხის	„	ახალციხე
ზესტაფონის	„	ზესტაფონი
სამტრედიის	„	სამტრედია
ამბროლაურის	დაბა	ამბროლაური
წყალტუბოს	ქალაქი	წყალტუბო
მახარაძის	„	მახარაძე
ცხაკაიას	„	ცხაკაია
ზუგდიდის	„	ზუგდიდი
სოხუმის	„	სოხუმი
გუდაუთის	„	გუდაუთი
ქობულეთის	„	ქობულეთი
შუახევის	რაიცენტრი	შუახევი
ბოლნისის	დაბა	ბოლნისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

85 შემკვეთთა მიერ სამშენებლო ორგანიზაციებისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართობის გამოყენების წესის შესახებ

მშენებელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების, კადრების შენარჩუნებისა და საბინაო მშენებლობის დაჩქარებით მათი დაინტერესების გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ საცხოვრებელი ფართობი, რომელიც შემკვეთებმა გადასცეს საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია „მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ღირებულების შემცირების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 აგვისტოს № 1548 დადგენილების 38-ე მუხლით, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომ დადგენილებათა საფუძველზე, მიეგზავნება ამ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს მუდმივი სარგებლობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 აგვისტო, № 586

86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 210 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტების შესანახად რადიომიმღები მოწყობილობებით სარგებლობის სააბონემენტო ქირის ანარიცხების გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 14 აპრილის № 336 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მი-

ნისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 653 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 იანვრის № 71 დადგენილება ძალადაკარგულად ითვლება 1963 წლის 1 იანვრიდან იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ანარიცხებს სააბონემენტო ქირიდან, რომელიც შემოდის რადიომიმღებებისა და ტელევიზორების სარგებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის და მოკავშირე რესპუბლიკების რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ორგანოების განკარგულებაში.

ამის შესაბამისად, ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1963 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 210 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დასკვნითი ნაწილი, დაწყებული შემდეგი სიტყვებიდან: „აგრეთვე ოდენობა და წესი ამ რადიომიმღებების და ტელევიზორების სარგებლობისათვის შემოსული სააბონემენტო ქირიდან თანხების გადარიცხვისა . . . .“ აბზაცის ბოლომდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 16 აგვისტო, № 595

87 საცხოვრებელი ფონდის მოვლა-შენახვის გაუმჯობესებისა და მობინადრეებთან ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურებისათვის ანგარიშსწორების გამარტივების შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 703 დადგენილების შესასრულებლად, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს სახლმმართველობების გამსხვილებისათვის, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა.

იმ დროს როდესაც 1959—1961 წლებში საცხოვრებელი ფართობი გაიზარდა 1.073 ათასი კვ. მეტრით, ანუ 50,1 პროცენტით, სახლმმართველობების რაოდენობა შემცირდა 216-დან 138-მდე ანუ

37,7 პროცენტით; საცხოვრებელი ფართობი, რომელსაც მომსახურებას უწევს ერთი სახლმმართველობა, გადიდდა 9,9 ათასიდან 23,3 ათას კვ. მეტრამდე, რის შედეგადაც გაუმჯობესდა საცხოვრებელი სახლების ტექნიკური ექსპლუატაციის ხარისხი და მიღწეულია სახლმმართველობათა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირება 5,5 პროცენტით.

მაგრამ იმის შედეგად, რომ მშრომელთა დეპუტატეტების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საცხოვრებელი ფონდის შენახვას, 1962 წლამდე არ ყოფილა დანერგილი საცხოვრებელი ფონდის მიმდინარე რემონტთან და მომსახურებასთან დაკავშირებული მუშაკებისათვის დასაბუთებული დატვირთვის ნორმატივები, აგრეთვე მობინადრეებთან ანგარიშსწორების პროგრესული და გამარტივებული მეთოდები, რომლებიც იძლევიან სახლმმართველობათა აპარატის შემცირების საშუალებას. არის ფაქტები, როდესაც კაპიტალური რემონტის სახსრები სხვა მიზნებისათვის იხარჯება.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდის შესანახი ხარჯების შემდგომი შემცირებისა და იმ სახსრების უფრო ეფექტიანად ხარჯვის მიზნით, რომლებიც საცხოვრებელი ბინების კაპიტალური რემონტისათვის გამოიყოფა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმ. სკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახლმმართველობათა შესანახი ხარჯების შემდგომ შემცირებას;

ბ) გამოიყენონ სახლების მიმდინარე რემონტის ჩატარების დროს დატვირთვის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები სახლმმართველობათა მუშაკებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან საცხოვრებელი ფონდის შეკეთებასთან და მომსახურებასთან;

გ) არ დაუშვან სახლების კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი სახსრების გამოყენება სხვა მიზნებისათვის;

დ) უფრო ფართოდ განაგითარონ საზოგადოებრივი საწყისები საბინაო მეურნეობის მომსახურებაში, გააძლიერონ კიბის გალიების, მწვანე ნარგავების მოვლა და ა. შ.;

ე) გააძლიერონ საბინაო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ინ სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისათვის, რომლე-

ბიც გამოყოფილია საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის.

არ დაუშვან ბინის შიგნითა რემონტი სახლმმართველობათა სახსრების ანგარიშში; ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში რემონტის ღირებულება გადახდეს მობინადრეებს, ხოლო მკაცრი სასჯელი დაედოთ დამნაშავე მუშაკებს.

მიმდინარე წლის 15 სექტემბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს:

ა) შეცვალოს 1962 წლის 1 ოქტომბრიდან არსებული უწყებები — ჟირობრძანებები მობინადრეთა საანგარიშო წიგნაკებით (საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ნიმუშის მიხედვით) ბინის ქირის შესატანად, კომუნალური მომსახურების (გარდა ელექტროენერგიისა) და ცენტრალური გათბობის საფასურის გადასახდელად ყოველთვიური ქვითრებით, რომლებსაც თვით მობინადრეები გამოწერენ;

ბ) მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურებისათვის მოსახლეობასთან ანგარიშსწორების წესის შესახებ;

გ) საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი საწყისების ფართოდ გაშლა საცხოვრებელი ფონდის მომსახურებაში, აგრეთვე საკითხი მისი მოვლა-პატრონობისა და წესიერ მდგომარეობაში შენახვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევამდე მისცეს მითითება რესპუბლიკის კომუნალური და საბინაო მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს ცენტრალური გათბობისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ.

3. დაწესდეს, რომ ცივი და ცხელი წყლით მომარაგება, კანალიზაცია, გაზმომარაგება და სხვა კომუნალური მომსახურება ანაზღაურდება მოქმედი ტარიფების, ფასებისა და ნორმების მიხედვით, რომლებიც დიფერენცირებულია სახლის კეთილმოწყობის დონის შესაბამისად (არის თუ არა აბაზანები, გარაჟები და სხვ.).

4. შენარჩუნებულ იქნას მოქმედი წესი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ხარჯვის ანგარიშ-

სწორებისა, ბინის (სახლის) ელექტრომრიცხველების ჩვენებათა საფუძველზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ხუთი დღის ვადაში გამოუყოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მობინადრეთა წიგნაკების დასაბეჭდად 6 ტონა ქაღალდის ჩამონაჭრები და გაზეთის ქაღალდის ნახევი.

6. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას უზრუნველყოს ბინისა და კომუნალური მოსახურების გადასახდელთა მიღება მოსახლეობისაგან 1962 წლის 1 ოქტომბრიდან რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოს, რომ ყველა შემნახველმა სალარომ მიიღოს მოსახლეობისაგან ბინის ქირის და კომუნალური მომსახურების შენატანები უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა 1962 წლის 1 ოქტომბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიბაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 14 აგვისტო, № 59.

88 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის დაფასებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან, მოეწყოს საზოგადოებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის დადგენისა და დამამზადებელი პუნქტებისა და საწარმოების მიერ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი.

საზოგადოებრივი კონტროლის მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს.

2. დამტკიცდეს საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებული დებულება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის დადგენისა და დამამზადებელი პუნქტებისა და ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის შესახებ.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მისცენ თავიანთ ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ დადგენილებიდან გამომდინარე საჭირო მითითებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ძიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 24 აგვისტო, № 603

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 24 აგვისტოს № 603
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის დადგენისა და დამამზადებელი პუნქტებისა და საწარმოების მიერ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის შესახებ

1. საზოგადოებრივი კონტროლი ეწყობა იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს დამამზადებელი პუნქტებისა და საწარმოების მუშაობა კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის მიღების დროს ხარისხის დადგენისა და ანგარიშსწორების საქმეში და უფრო ფართოდ იქნან მოზიდული მშრომელები ამ კონტროლში მონაწილეობისათვის.

საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაცია და მიმდინარე მუშაობა ხორციელდება დამატებითი სახელმწიფო ხარჯების გაუწევლად.

2. საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ საზოგადოებრივი კონტროლიორთა ჯგუფები.

საზოგადოებრივ კონტროლიორთა ჯგუფები შეიქმნება პურის მიმღებ საწარმოებში, რძის მიმღებ პუნქტებსა და ქარხნებში, ხორცკომბინატებში, ჩაის ფოთლის, ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ყურძნის, ბოსტნეულის დამამზადებელ და მიმღებ პუნქტებთან, ჭარხლის მიმღებ პუნქტებთან და შაქრის ქარხანასთან, აგრეთვე სხვა დამამზადებელ პუნქტებთან და საწარმოებთან, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებას.

3. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეთესლეობის კონტროლისა და ვეტერინარული ლაბორატორიების, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების, დამამზადებელი და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების საზოგადოებრივი (პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული) ორგანიზაციები წამოაყენებენ საზოგადოებრივ კონტროლიორებს სპეციალისტთა რიცხვიდან.

საზოგადოებრივ კონტროლში მონაწილეობისათვის მოწვეული იქნებიან აგრეთვე პენსიონერები, რომელთაც წინათ უმუშავიათ აღნიშნულ მეურნეობებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

საზოგადოებრივი კონტროლის ჯგუფების პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები, მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო.

თავის მოვალეობათა შესასრულებლად საზოგადოებრივი კონტროლიორის მიღლინების ვადას დააწესებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი ტერიტორიული საწარმოო სამმართველო, მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო იმ საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის, დაწესებულების ადმინისტრაციასთან და კოლმეურნეობების გამგეობასთან შეთანხმებით, რომელშიც ისინი მუშაობენ.

4. საზოგადოებრივი კონტროლიორის ძირითადი ამოცანაა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად ადგენენ დამამზადებელი, მიმღები პუნქტები და საწარმოები მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობასა და ხარისხს და რამდენად სწორად უსწორებენ ანგარიშს ამ პროდუქციისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე კონტროლი გაუწიოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაცვა-შენახვას.

5. ძირითადი ამოცანის შესაბამისად, საზოგადოებრივი კონტროლიორები:

ა) შეამოწმებენ, თუ რამდენად სწორად ხდება დამამზადებელ, მიმღებ პუნქტებსა და საწარმოებში მისაღები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობის, აგრეთვე ხარისხის დადგენა, მოქმედი სტანდარტების, რესპუბლიკური ტექნიკური პირობების, კონდიციებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) შეამოწმებენ, თუ რამდენად სწორად ხდება ჩათვლითი წონის გამოანგარიშება და ანგარიშსწორება მიღებული პროდუქციისათვის შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების პრეისკურანტების პირობების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული წესით დადგენილი სხვა მოქმედი პირობების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეამოწმებენ, თუ რამდენად სწორად არის დაცული დამამზადებელ მიმღებ პუნქტებსა და საწარმოებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღების, პირველადი დამუშავების და შენახვის დადგენილი წესი;

დ) შეამოწმებენ, თუ რამდენად არიან მომზადებული დამამზადებელი, მიმღები პუნქტები და საწარმოები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მისაღებად;

ე) განახორციელებენ იმისადმი კონტროლს, რომ დაცულ იქნას სანიტარული, ჰიგიენური წესები და პირობები დამამზადებელ, მიმღებ პუნქტებსა და საწარმოებში.

6. საზოგადოებრივ კონტროლიორებს უფლება აქვთ:

ა) დაუბრკოლებლივ შევიდნენ დამამზადებელ, მიმღებ პუნქტებსა და საწარმოებში, ლაბორატორიებში, საწყობებში, საამქროებსა და სხვა საწარმოო ობიექტებში;

ბ) გამოიყენონ თავიანთი მუშაობისათვის დამამზადებელი პუნქტებისა და საწარმოების ლაბორატორიები;

გ) გაეცნონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიღების გაფორმების და მათთვის ანგარიშსწორების დოკუმენტებს, აგრეთვე ზემდგომი ორგანიზაციების განკარგულებებსა და მითითებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღების, ანგარიშსწორებისა და დაცვა-შენახვის საკითხებზე;

დ) აძლიონ დამამზადებელ, მიმღებ პუნქტებსა და საწარმოებს, აგრეთვე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას ჰყიდიან, რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ჩაბარება-მიღების, მათი ხარისხის დადგენის და ანგარიშსწორების დროს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, აგრეთვე მათი დაცვა-შენახვის საკითხებზე. დარღვევის ფაქტების გამოვლინების შემთხვევაში საზოგადოებრივი კონტროლიორები საჭიროების დროს შეადგენენ აქტებს, რომლებიც გადაეცემა დამამზადებელი (მიმღები) პუნქტის, საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას, ხოლო ასლები გაეგზავნებათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს.

7. საზოგადოებრივ კონტროლიორთა რეკომენდაციები და აქტები სავალდებულო წესით უნდა განიხილონ დამამზადებელი და მიმღები პუნქტების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

უკეთუ ერთი მხარე არ ეთანხმება საზოგადოებრივი კონტროლიორის წინადადებას, საკითხი განიხილება მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით და ორივე მხარისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებას გამოიტანს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსი, მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის დირექტორი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს უფროსი.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა და მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულმა ტრესტმა პრესისა და რადიოს მეშვეობით უნდა გააშუქონ საზოგადოებრივი კონტროლიორის მუშაობა დამამზადებელ პუნქტებსა და საწარმოებში, წაახალისონ ყველაზე აქტიური საზოგადოებრივი კონტროლიორები, რისთვისაც შეიტანონ ისინი „საპატიო ფაფაზე", მისცენ მათ საპატიო სიგელები, გაშოუყონ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საგზურები და სხვ.

9. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები, მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველო აძლევენ საზოგადოებრივ კონტროლიორებს მოწმობებს, რომლებიც უფლებას ანიჭებენ მათ შეამოწმონ დამამზადებელი, მიმღები პუნქტები და სხვა საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებას.

---

89 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 მაისის № 346 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატის სტრუქტურასა და შტატებში ზედმეტობის აღმოფხვრის ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 მაისის № 346 დადგენილების 1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შემცირდეს აღმრიცხველებისა და ბუღალტრების თანამდებობა საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებში (აგროუბნებში)

ნება დაერთოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს მუშებთან ხელფასის ხაზით ანგარიშსწორებისათვის, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, დატოვონ ბუღალტრები:

საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც აქვთ 3 განყოფილება — ერთი ბუღალტერი;

საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც აქვთ 4-დან 6 განყოფილებამდე — ორი ბუღალტერი;

საბჭოთა მეურნეობებში, რომლებსაც აქვთ 6-ზე მეტი განყოფილება — სამი ბუღალტერი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 24 აგვისტო, № 605.

90 თამბაქოს თავისუფალი გაყიდვისა და საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ მისი გატანის აკრძალვის შესახებ

თამბაქოს ნედლეულის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით და ითვალისწინებს რა, რომ თამბაქოს შესასყიდი ფასები გადიდებულია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს აეკრძალოთ კოლმეურნეებს. საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს და ყველა სხვა მოქალაქეს თამბაქოს თავისუფალი გაყიდვა ყველგან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, აგრეთვე მისი გატანა რეალიზაციისათვის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

2. დაეკალოთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულ სამმართველოს, ბათუმის, სოხუმის და ფოთის სავაჭრო ნავსადგურებს არ მიიღონ თამბაქო გადასაზიდად კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან.

3. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე მტკიცე კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა, მეთამბაქოეობის რაიონების აღმასკომებმა ურჩიონ კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებმაც თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიიღეს თამბაქოს ნედლეულის მოსავალი, ჩაბარონ იგი ტრესტ საქთამბაქოს უახლოეს დამამზადებელ პუნქტებს კოლმეურნეობებისათვის მოქმედ ხარისხობრივ შესასყიდ ფასებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ჭიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 აგვისტო, № 513.

91 საწარმოთა და ორგანიზაციათა დაცვის მოწესრიგების შესახებ

საწარმოთა და ორგანიზაციათა დაცვის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საწარმოთა და ორგანიზაციათა დაცვის საქმის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ:

ა) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალისტების მონაწილეობით შეამოწმონ თვითეულ საწარმოსა და ორგანიზაციაში დაცვის საქმის მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ტექნიკურ საშუალებათა დანერგვისათვის და გამოყონ საჭირო სახსრები ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად;

ბ) გააუქმონ, სადაც ეს შესაძლებელია, სადარაჯო საგუშაგოები მცირე საწარმოების, საწყობების, ბაზებისა და სხვა ობიექტების ჭიშკართან და შესასვლელთან, სადაც სამუშაო დროს იმყოფებიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირები;

გ) 1962 წლის დამლევამდე გადასცენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს გარესაუწყებო დაცვისათვის ის ობიექტები, რომელთა დაცვა შეუძლიათ შემომველელ მცველებს;

დ) გადასინჯონ მცველთა რაოდენობა მოქმედ ობიექტებზე და შეამცირონ იგი, სადაც ეს შესაძლებელია, ხოლო განთავისუფლებული რაოდენობა — გამოიყენონ ახალ ობიექტებზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით;

ე) დაავალონ დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ობიექტებზე დადგმული დაცვის ტექნიკური საშუალებანი მუდამ იქონიონ ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში და ფრთხილად მოეკიდონ დადგმულ მოწყობილობას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს მისცეს მითითება ყველა საპროექტო ორგანიზაციას, რომ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების, აგრეთვე საწყობებისა და ბაზების დაპროექტების დროს გაითვალისწინონ დაცვის აღჭურვა უახლესი ტექნიკური საშუალებებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლი გაუწიოს ამ დადგენილების შესრულებას და შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 ნოემბრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ლ. ძიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 აგვისტო, № 614.

92 სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 718 დადგენილება „სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, მის დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) ერთი თვის ვადაში განიხილონ დაქვემდებარებული საწარმოების მიერ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტები და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და საწარმოების იმ ხელმძღვანელების და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსების მისაცემად პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ცუდი ხარისხის ან ისეთი პროდუქციის გამოშვებაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, ნორმალებს, ან ტექნიკურ პირობებს, ანდა არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებაში.

ჩატარებული მუშაობის შედეგებზე მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 ოქტომბრისათვის;

ბ) მიიღონ ზომები საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების განსამტკიცებლად მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, უპირატესად უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკებით;

გ) უზრუნველყონ საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების მუშაკთა სისტემატური ტექნიკური სწავლების მოწყობა;

დ) მიიღონ ზომები პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის სამსახურის სისტემატური გაუმჯობესების საფუძველზე, აგრეთვე საკონტროლო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ხარჯზე ტექნიკური კონტროლის მუშაკთა რიცხვის შემდგომი შემცირებისათვის;

ე) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 718 დადგენილებით დამტკიცებულ ტიპიურ დებულებათა საფუძველზე, სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და დასამტკიცებლად წარმოადგინონ დებულებანი დაქვემდებარებულ საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების შესახებ, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და მრეწველობის ცალკეული დარგებისა წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა გაძლიერდეს ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა როლი და პასუხისმგებლობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მოაწყონ თავიანთ შემადგენლობაში სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ინსპექცია, რომელსაც დააკისრონ კონტროლი გაუწიოს საწარმოთა მუშაობას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ინსპექციის შტატები დამტკიცდეს მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია საქართველოს

სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აპარატისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 აგვისტო, № 615.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 718

1962 წლის 13 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მრეწველობის საწარმოებმა გააუმჯობესეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

მაგრამ მთელი რიგი საწარმოები ჯერ კიდევ უშვებენ ცუდი ხარისხის პროდუქციას, რის შედეგადაც სახალხო მეურნეობას დიდი ზარალი მოსდის. ყოველთვის როდი იყენებენ საწარმოებში არსებულ შესაძლებლობებს სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის მოწესრიგებისა და უფრო სრულყოფილი, კარგი ხარისხის და ლამაზი ნაკეთობების გამოშვებისათვის.

ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ბევრ შემთხვევაში გამოწვეულია კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად დაუმუშავებელი ნაკეთობების დაყენებით წარმოებაში, დაუხვეწელი რეცეპტურების გამოყენებით, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევით, უხარისხო ნედლეულის გამოყენებით, მოწყობილობისა და აღჭურვილობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით, აგრეთვე საწარმოთა არარიტმული მუშაობით.

საწარმოთა ტექნოლოგიური სამსახურები წარმოების მომზადებისას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის გაუმჯობესებას.

მრეწველობის საწარმოები საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილი კონტროლის მექანიზებული და ავტომატიზებული საშუალებებით, დეტალებისა და ნაკეთობათა ხარისხის შესამოწმებლად იყენებენ, როგორც წესი, კონტროლის მცირენაყოფიერ ხელის საშუალებებს, რაც იწვევს საკონტროლო ოპერაციების შრომატევადობის გადიდებას.

მიაჩნია რა სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად და იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაცია, უზრუნველყოფილ იქნას მაღალი ხარისხის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, გაძლიერდეს უშუალო შემსრულებელთა, წარმოების ხელმძღვანელთა და ტექნიკური კონტროლის მუშაკთა პირადი პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, მრეწველობის საწარმოების სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, აგრეთვე საკონსტრუქტორო ბიუროების ხელმძღვანელებმა გააძლიერონ მუშაობა დამუშავებისა და გამოშვების პროცესში მყოფი პროდუქციის ხარისხის, მის თვისებათა სტაბილობისა და საექსპლუატაციო საიმედოობის გაუმჯობესებისათვის, კონტროლის უფრო სრულყოფილი მეთოდების გამოყენებისათვის, რისთვისაც:

ა) ყოველწლიურად შეიმუშაონ და დაამტკიცონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხის სისტემატურად გაუმჯობესებას, ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნიკური კონტროლის მეთოდების სრულყოფას, ამასთან გაითვალისწინონ ამ ღონისძიებებით სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის განხორციელების სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ძირითად მიმართულებათა შემუშავება, აგრეთვე ამ მიზნებისათვის საჭირო ხელსაწყოების, საშუალებებისა და მოწყობილობის შექმნა;

ბ) უზრუნველყონ მოქმედი ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემატური შემოწმება, საწარმოო ინსტრუქციების, დამტკიცებული ტექნოლოგიური პროცესების, ნორმალებისა და სტანდარტების დაცვა, საწარმოო მოწყობილობისა და აღჭურვილობის სიზუს-

ტის შემოწმების გრაფიკების შესრულება, საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა ხარისხოვანი ტექნიკური მდგომარეობა, აგრეთვე საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა არსებობა სამუშაო ადგილებზე.

2. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა:

ა) განიხილონ საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტები და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საწარმოთა იმ ხელმძღვანელების და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსების პასუხისგებაში მიცემისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ცუდი ხარისხის პროდუქციის ან ისეთი პროდუქციის გამოშვებაში, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, ნორმალებს ან ტექნიკურ პირობებს, ანდა არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებაში;

ბ) მიიღონ ზომები იმისათვის, რომ განმტკიცებულ იქნან საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებები მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, უპირატესად უმაღლესი და საშუალო ტექნიკური განათლების მქონე პირებით;

გ) მოაწყონ საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაკების სისტემატური ტექნიკური სწავლება;

დ) პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის სამსახურების სისტემატური სრულყოფის საფუძველზე, აგრეთვე საკონტროლო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელების ხარჯზე, მიიღონ ზომები ტექნიკური კონტროლის სამსახურის მუშაკთა რაოდენობის შემდგომი შემცირებისათვის.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ინსტრუქციები ახალი სახის ნაკეთობათა და მასალების საცდელი ნიმუშების დამზადებისა და გამოცდის ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისა და სერიულ და მასობრივ წარმოებაში მათი გადაცემის წესის შესახებ.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებმა ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ რეკომენდაციები სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უწყებებისათვის სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის პროგრესული მეთოდების, მათ შორის სტატისტიკური მეთოდის, კონტროლის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის შესახებ, ამასთან გაითვალისწინონ აქტიური კონტროლის საშუალებათა წარმოების განვითარება და საჭირო ხელსაწყოებისა და მოწყობილობათა შემუშავება ამ მიზნით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმებით ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის განხორციელების სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოების განვითარება და ამ საშუალებათა და კონტროლის სტატისტიკური მეთოდების დანერგვა, აგრეთვე ამ საშუალებათა დამამზადებელი სპეციალიზებული ქარხნების გაფართოება და შექმნა.

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ფართოდ მიიზიდონ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი სამრეწველო პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის პროგრესული მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის საქმეში მონაწილეობისათვის.

5. რჩევა მიეცეთ სრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელებს შექმნან საწარმოებში პროდუქციის ხარისხის ძუდმივმოქმედი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: მთავარი ინჟინერი (თავმჯდომარე), ტექნიკური განყოფილების უფროსი, მთავარი კონსტრუქტორი, მთავარი ტექნოლოგი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი და სხვა სპეციალისტები; კომისიის მოვალეობაში უნდა შედიოდეს მომხმარებლებისაგან შემოსული რეკლამაციების განხილვა, გამოშვებული პროდუქციის წუნის გამოწვევი მიზეზების აღმოფხვრის ოპერატიულ ღონისძიებათა შემუშავება და იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

6. დამტკიცდეს თანდართული:

ტიპიური დებულება მეტალურგიული, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი საწარმოს

და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ;

ტიპიური დებულება მანქანათმშენებლობის ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ;

ტიპიური დებულება მსუბუქი მრეწველობის საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ;

ტიპიური დებულება კვების მრეწველობის საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სამხარეო აღმასკომებმა და საოლქო აღმასკომებმა ტიპიურ დებულებათა საფუძველზე სამი თვის ვადაში დაამტკიცონ დებულებანი მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა შესახებ, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხასიათისა და მრეწველობის ცალკეული დარგების საწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა გაძლიერდეს ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა როლი და პასუხისმგებლობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

7. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მოაწყონ სახალხო მეურნეობის საბჭოების და რესპუბლიკური ორგანოების შემადგენლობაში ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელობისათვის სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ინსპექციები, ამასთან დააკისრონ აღნიშნულ ინსპექციებს კონტროლი გაუწიონ საწარმოების მუშაობას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოეწყოს სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს, უკრაინის სახალხო მეურნეობის საბჭოს და ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეებთან სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მთავარი ინსპექციები, რომლებიც მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევენ სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ინსპექციებისა და საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების მუშაობას.

აღნიშნული მთავარი ინსპექციებისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ინსპექციების შტატები დამტკიცდეს მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში, რაც დაწესებულია შესაბამისი სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და რესპუბლიკური ორგანოების აპარატისათვის ადგილობრივი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომების და საზომი ხელსაწყოების კომიტეტს სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, დაამტკიცოს ტიპიური დებულება აღნიშნული ინსპექციების შესახებ.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხ. 8 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 სექტემბრის № 4286 დადგენილებისა „ცუდი ხარისხის და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. მიკოიანი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 718
დადგენილებით

ტიპიური დებულება

მეტალურგიული, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური, ხე-ტყის, ქაღალდის და ხისდამმუშავებელი საწარმოს და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური კონტროლის განყოფილება არის საწარმოს დამოუკიდებელი სტრუქტურული განყოფილება. ტექნიკური კონტროლის განყოფილების მთავარი მოვალეობაა კონტროლი გაუწიოს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, იმას, რომ მტკიცედ შეესაბამებოდეს იგი სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, ტექნიკური კონტროლის განყოფილება კონტროლს გაუწევს დაწესებული ტექნოლოგიის დაცვას წარმოების ყველა სტა-

ლიაში, აგრეთვე საწარმოში შემოსული ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ხარისხს.

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოს სტრუქტურით არ არის გათვალისწინებული ტექნიკური კონტროლის დამოუკიდებელი განყოფილება, ამ ტიპიური დებულებით აღნიშნული უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პროდუქციის ხარისხის ტექნიკური კონტროლი.

2. საწარმოს მიერ დამზადებული მთელი პროდუქცია შეიძლება მიეწოდოს მომხმარებელს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ პროდუქციას მიიღებს ტექნიკური კონტროლის განყოფილება და დადგენილი წესით გაფორმდება სერტიფიკატები ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზა პროდუქციის ხარისხს.

ნედლეულისა და მასალების გადაცემა საწარმოო საამქროებში და ნახევარფაბრიკატების გადაცემა ერთი საამქროდან მეორეში, თუ ეს გათვალისწინებულია ტექნოლოგიური პროცესით, წარმოებს ტექნიკური კონტროლის მიერ მიღების შემდეგ.

3. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ემორჩილება საწარმოს დირექტორს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს დანიშნავს, თანამდებობიდან გაათავისუფლებს, წაახალისებს და სასჯელს დაადებს საწარმოს ზემდგომი ორგანიზაცია.

4. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები ემორჩილებიან ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს და თავიანთ მუშაობაში არ არიან დამოკიდებული საწარმოს სხვა განყოფილებებისაგან.

5. კონტროლი, რასაც ტექნიკური კონტროლის განყოფილება ახორციელებს, არ ათავისუფლებს საწარმოს საამქროებისა და განყოფილებების უფროსებს, აგრეთვე ოსტატებსა და ბრიგადირებს იმისათვის პასუხისმგებლობისაგან, რომ წარმოების უბნებმა, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, გამოუშვან ცუდი ხარისხის ან ისეთი პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, ანდა გამოუშვას არაკომპლექტური პროდუქცია.

II. ტექნიკური კონტროლის განყოფილების ძირითადი ამოცანები

6. ტექნიკური კონტროლის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

კონტროლი გაუწიოს საწარმოს მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის ხარისხსა და კომპლექტურობას, იმას, თუ რამდენად შეესაბამება იგი სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს;

კონტროლი გაუწიოს საწარმოში შემოსული ნედლეულის, მასალების და სათბობის ხარისხს და იმას, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს.

კონტროლი გაუწიოს იმ შიგასაქარხნო პროდუქციის ხარისხს, რომელიც გადაეცემა, თუ ეს განსაზღვრულია ტექნოლოგიური პროცესით, ერთი საამქროდან მეორეში, იმას, თუ რამდენად შეესაბამება იგი სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს;

კონტროლი გაუწიოს იმას, რომ სათანადო მდგომარეობაში იყოს საკონტროლო-საზომი საშუალებანი საწარმოში, აგრეთვე, რომ დროზე იქნან ისინი წარდგენილი სახელმწიფო შემოწმებისათვის;

კონტროლი გაუწიოს ტარის, შეფუთვის ხარისხს და მზა პროდუქციის სწორად მარკირებას, აგრეთვე იმას, რომ მომზადებულ იქნან ტექნიკური წესების შესაბამისად რკინიგზის ვაგონები, ცისტერნები და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც განკუთვნილია მზა პროდუქციის დასატვირთავად.

კონტროლი გაუწიოს წარმოების ტექნოლოგიის დაცვას საამქროებში, შესაბამისად წარმოების დადგენილი ტექნოლოგიური რეგლამენტისა, ტექნოლოგიური ინსტრუქციებისა და სქემებისა; შეარჩიოს საკონტროლო ნედლეულისა და პროდუქციის სინჯი ტექნიკური კონტროლის განყოფილების აპარატის ძალებით და ჩააბარებოს ამ სინჯის ანალიზები ტექნიკური კონტროლის განყოფილების ლაბორატორიებში ან საქარხნო ლაბორატორიებში;

თვალყური ადევნოს საწარმოს საწყობებში მზა პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების სწორად შენახვას;

განიხილოს საწარმოს პროდუქციაზე შემოსული პრეტენზიები, გამოარკვიოს ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზები და გამოავლინოს ამაში დამნაშავე პირები, აგრეთვე აწარმოოს წუნის ტექნიკური აღრიცხვა და წუნის გამომწვევი მიზეზების ანალიზი;

მონაწილეობა მიიღოს საწარმოს განყოფილებების, საამქროებისა და ლაბორატორიების მუშაობაში იმ მიზეზების შესასწავლად, რომლებიც იწვევენ წუნის გამოშვებას და უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოსავლის შემცირებას; მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის ამაღლება, წუნის თავიდან აცილება და ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზების აღმოფხვრა;

კონტროლი გაუწიოს ისეთ ღონისძიებათა დროულად მომზადებასა და გატარებას, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სტანდარტების, ნორმალებისა და ტექნიკური პირობების შემოღებასთან;

კონტროლი გაუწიოს იმას, რომ მზა ნაკეთობებს ჰქონდეთ სასაქონლო ნიშანი (ქარხნის მარკა);

აძლიოს დასკვნები, პროდუქციის მიღებისა და ლაბორატორიული ცდების შედეგების საფუძველზე, პროდუქციის, ნახევარფაბრიკატების დანიშნულებისა და შემდგომი გადამუშავებისათვის მათი ვარგისობის შესახებ ან იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება მზა პროდუქცია სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს; შეადგინოს სერტიფიკატები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მასაწოდებელი პროდუქციის ხარისხს, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის ხელმოწერით; გააფორმოს აქტები და სხვა დოკუმენტები იმ პრეტენზიების გამო, რომლებიც საწარმოში შემოდის ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ცუდი ხარისხის შესახებ.

III. ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა

7. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება წარმოების მოცულობისა და ხასიათის მიხედვით და დამტკიცდება დადგენილი წესით.

IV. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

8. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს უფლება აქვს:

შეწყვიტოს იმ მზა პროდუქციის მიღება და გაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, დაწესებულ კომპლექტურობას და ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას, რაც წერილობით დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საწარმოს დირექტორს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის განკარგულება პროდუქციის მიღებისა და გაგზავნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გააუქმოს საწარმოს დირექტორმა მხოლოდ წერილობითი ბრძანებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. საწარმოს დირექტორსა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს შორის პროდუქციის ხარისხის საკითხებზე მომხდარ უთანხმოებას გადაწყვეტს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა:

მოსთხოვოს საამქროების უფროსებსა და საწარმოს დირექტორს შეაჩერონ პროდუქციის დამზადება ცალკეულ აპარატებზე, აგრეგატებზე, წარმოების უბნებზე და საამქროებში, როდესაც მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია არ შეესაბამება სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს;

არ მისცეს იმის ნება, რომ გადამუშავებულ იქნას გარედან (არა საწარმოს საამქროებიდან) შემოსული ნედლეული, მასალები და სათბობი, თუ ისინი არ არიან უზრუნველყოფილი მათი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

წარუდგინოს საწარმოს ხელმძღვანელობას წინადადებანი, რომ პასუხისგებაში მისცენ მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი არიან ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში, წარმოების ტექნოლოგიის დარღვევაში და რომლებიც წარმოებაში გამოიყენებენ ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ შეუმოწმებელ და ცუდი ხარისხის მასალებს, ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს;

მოითხოვოს პრემიების ოდენობის შემცირება ან პრემიების ჩამორთმევა საამქროების, უბნების უფროსებისა და ოსტატებისათვის, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის სათანადო ხარისხს;

კონტროლი გაუწიოს საამქროების მუშაკთა მიერ ტექნოლოგიური ინსტრუქციებისა და სქემების შესრულებას და მოითხოვოს, რომ ისინი ზუსტად შეასრულოს საწარმოს მთელმა პერსონალმა;

მოსთხოვოს საწარმოს მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილებას მოწყობილობისა და აღჭურვილობის გეგმურ-გამაფრთხილებელი რემონტის გრაფიკების დროულად შესრულება;

აკრძალოს დადგენილი წესით შეუმოწმებელი საზომებისა და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, უწესივრო ხელსაწყოების სარგებლობა და ამოიღოს ისინი ხმარებიდან, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საწარმოს დირექტორს და მთავარ ინჟინერს;

უშუალოდ მიმართოს ზემდგომ ორგანიზაციას პროდუქციის ხარისხისა და პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის მოწყობის საკითხებზე;

დადგენილი წესით მიიღოს სამუშაოზე, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები, აგრეთვე გამოიყენოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა მიმართ წახალისების ზომები და დააღოს მათ სასჯელი.

9. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი მოვალეა:

უზრუნველყოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შეუფერხებელი მუშაობა საწარმოში და მის მიერ იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც დაწესებულია ამ ტიპიური დებულებით;

დაუყოვნებლივ აცნობოს ზემდგომ ორგანიზაციას და ხარისხის ინსპექციას საწარმოს მზა პროდუქციაზე პრეტენზიების მიღების ყველა შემთხვევა და მათი განხილვის შედეგები, აგრეთვე ცუდი ხარისხის ნედლეულის, მასალებისა და სათბობის მიღების შემთხვევები;

ყოველთვიურად წარუდგინოს ანგარიში საწარმოს პროდუქციის ხარისხის, მიღებული ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ხარისხის შესახებ, პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საწარმოს მუშაობის შესახებ;

მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოსა და საამქროების ხელმძღვანელობას ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც ტექნიკური კონტროლის განყოფილებას მისაღებად წარედგინება ცუდი ხარისხის მზა პროდუქცია ან ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, მოითხოვოს წარმოების მოწესრიგებისათვის საჭირო ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელება;

აძლიოს დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება წარმოებაში გაგზავნილი ნედლეულის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ხარისხი სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს;

მოაწყოს ტექნიკური სწავლება, ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

10. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი საწარმოს დირექტორისა და მთავარი ინჟინრის თანაბრად პასუხისმგებელია ცუდი ხარისხის ან ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, ანდა არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის;

საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი აგრეთვე პასუხისმგებელია:

პროდუქციის ხარისხისა და კომპლექტურობისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის სისწორისა და პროდუქციის დროულად მიღებისათვის წარმოების ყველა უბანზე;

იმ დოკუმენტების გაფორმების სისწორისათვის, რომლებიც ადასტურებენ მიწოდებული პროდუქციის ხარისხსა და კომპლექტურობას; პროდუქციის ხარისხის შეფასების სისწორისათვის.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 713
დადგენილებით

ტიპიური დებულება

მანქანათმშენებლობის ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური კონტროლის განყოფილება წარმოადგენს ქარხნის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვეგანაყოფებს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების ძთავარი პოვალეობაა კონტროლი გაუწიოს ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, იმას, რომ მტკიცედ შეესაბამებოდეს იგი სტანდარტებს, ნორმალებს, ტექნიკურ პირობებს, ეტალონებსა და ნახაზებს. ტექნიკური კონტროლის განყოფილება კონტროლს გაუწევს დაწესებული ტექნოლოგიის დაცვას წარმოების ყველა სტადიაში, აგრეთვე ქარხანაში შემოსული ნედლეულის, მასალებისა და სათბობის ხარისხს. ტექნიკური კონტროლის განყოფილება მონაწილეობს ნაკეთობათა საცდელი ნიმუშების მიღებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევებში, როდესაც ქარხნის სტრუქტურით არ არის გათვალისწინებული ტექნიკური კონტროლის დამოუკიდებელი განყოფილება, ამ ტიპიურ დებულებაში აღნიშნული უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პროდუქციის ხარისხის ტექნიკური კონტროლი.

2. ქარხნის მიერ დამზადებული მთელი პროდუქცია შეიძლება მიეწოდოს მომხმარებლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მიიღებს ტექნიკური კონტროლის განყოფილება და დადგენილი წესით გაფორმდება პასპორტი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზა პროდუქციის ხარისხს.

3. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ემორჩილება ქარხნის დირექტორს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს დანიშნავს, თანამდებობიდან გაათავისუფლებს, წაახალისებს და სასჯელს დაადებს ქარხნის ზემდგომი ორგანიზაცია.

4. ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები ემორჩილებიან ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს და თავიანთ მუშაობაში არ არიან დამოკიდებული ქარხნის სხვა განყოფილებებისაგან.

5. კონტროლი, რასაც ტექნიკური კონტროლის განყოფილება ახორციელებს პროდუქციის ხარისხზე, არ ათავისუფლებს ქარხნის საამქროებისა და განყოფილებების უფროსებს, აგრეთვე ოსტატებსა და ბრიგადირებს იმისათვის პასუხისმგებლობისაგან, რომ წარმოების უბნებმა, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, გამოუშვან ცუდი ხარისხის ან ისეთი პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, ანდა გამოუშვან არაკომპლექტური პროდუქცია.

II. ტექნიკური კონტროლის განყოფილების ძირითადი ამოცანები

6. ტექნიკური კონტროლის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

კონტროლი გაუწიოს ქარხნის მიერ დამზადებული დეტალების, კვანძების, აგრეგატების და მზა ნაკეთობათა ხარისხსა და კომპლექტურობას, იმას, რომ შეესაბამებოდნენ ისინი სტანდარტებს, ნორმალებს, ტექნიკურ პირობებს, ეტალონებს და ნახაზებს; დადამღოს მიღებული და დაწუნებული პროდუქცია, დადგენილი წესით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააფორმოს დოკუმენტაცია მიღებულ და დაწუნებულ პროდუქციაზე;

წარუდგინოს მიღებული პროდუქცია შემკვეთის წარმომადგენლებს;

მონაწილეობა მიიღოს წუნის გამოშვების გამომწვევი მიზეზების შესწავლაში, ისეთ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის ამაღლება, წუნის თავიდან აცილება და ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზების აღმოფხვრა;

აწარმოოს ქარხნის პროდუქციის იმ დეფექტების ანალიზი, რომლებიც აღნიშნულია რეკლამაციებსა და გამოცდის აქტებში, და კონტროლი გაუწიოს გამოვლინებული დეფექტების აღმოფხვრას წარმოებაში: გამოავლინოს ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში დამნაშავე პირები, აგრეთვე აწარმოოს წუნის ტექნიკური აღრიცხვა და წუნის გამომწვევი მიზეზების ანალიზი;

კონტროლი გაუწიოს ქარხანაში შემოსული ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და მიმწოდებელი ქარხნების მზა ნაკეთობათა ხარისხს; შეადგინოს აქტები ცუდი ხარისხის ნედლეულსა, მასალებსა, ნახევარფაბრიკატებსა და მზა ნაკეთობებზე მიმწოდებლებისათვის პრეტენზიების წარსადგენად;

კონტროლი გაუწიოს მზა პროდუქციის დაკომპლექტებას, შეფუთვას და კონსერვაციას.

კონტროლი გაუწიოს იმ ღონისძიებათა დროულად მომზადებას და გატარებას, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სტანდარტების, ნორმალების და ტექნიკური პირობების შემოღებასთან;

კონტროლი გაუწიოს იმას, რომ. მზა ნაკეთობებს ჰქონდეთ სასაქონლო ნიშანი (ქარხნის მარკა);

კონტროლი გაუწიოს ქარხანაში საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების სათანადო მდგომარეობას. აგრეთვე მათს დროულად წარდგენას სახელმწიფო შემოწმებისათვის;

კონტროლი გაუწიოს ქარხნის მიერ დამზადებული ინსტრუმენტებისა და საწარმოო აღჭურვილობის ხარისხს.

III. ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა

7. ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება წარმოების მოცულობისა და ხასიათის მიხედვით და დამტკიცდება დადგენილი წესით.

IV. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობანი

8. ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს უფლება აქვს:

შეწყვიტოს ისეთი პროდუქციის მიღება და გაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, ნორმალებს, ტექნიკურ პირობებს, ეტალონებს, ნახაზებს, დაწესებულ კომპლექტურობას და ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ქარხნის დირექტორს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის განკარგულება პროდუქციის მიღებისა და გაგზავნის აკრძალვის შესახებ შეიძლება გააუქმოს ქარხნის დირექტორმა მხოლოდ წერილობითი ბრძანებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. ქარხნის დირექტორსა და ტექნიკური კონტროლის უფროსს შორის პროდუქციის ხარისხის საკითხებზე წამოჭრილ უთანხმოებას გადაწყვეტს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

მოთხოვოს საამქროების უფროსებსა და ქარხნის დირექტორს შეაჩერონ პროდუქციის დამზადება ცალკეულ ჩარხებზე, აგრეგატებზე, წარმოების უბნებზე და საამქროებში, როდესაც მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია არ შეესაბამება სტანდარტებს, ნორმალებს, ტექნიკურ პირობებს, ეტალონებსა და ნახაზებს;

არ მიიღოს მზა პროდუქცია, თუ იგი წარდგენილია არაკომპლექტურად და არ არის უზრუნველყოფილი დაწესებული ტექნიკური დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებენ მასში შემავალი მასალებისა და ნაკეთობათა ხარისხს;

წარუდგინოს ქარხნის ხელმძღვანელობას წინადადებანი, რომ პასუხისგებაში მისცეს მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი არიან ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში, წარმოების ტექნოლოგიის დარღვევაში და იმაში, რომ მათ გამოიყენეს წარმოებაში ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ შეუმოწმებელი და ცუდი ხარისხის მასალები, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები;

მოითხოვოს საამქროების უფროსებისაგან წუნის მიზეზებისა და პროდუქციის დეფექტების აღმოფხვრა, მოწყობილობისა და აღჭურვილობის გეგმურ გამაფრთხილებელი რემონტის გრაფიკების შესრულება, წუნდებული პროდუქციის გამოშვებაში დამნაშა-

ვე პირთა და იმ პირთა დასჯა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით წარმოების ტექნოლოგიის დარღვევაში;

მოსთხოვოს საამქროების უფროსებს თანაბრად წარადგინონ პროდუქცია კონტროლისათვის, წარმოების გეგმისა და რიტმის შესაბამისად;

მოსთხოვოს ქარხნის მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილებებს დროზე შეასრულონ გრაფიკები ძირითადი მოწყობილობის შემოწმებისა ტექნოლოგიურ სიზუსტეზე;

აკრძალოს დადგენილი წესით შეუმოწმებელი საზომებისა და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, უწესივრო ხელსაწყოების სარგებლობა და ამოიღოს ისინი ხმარებიდან, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ქარხნის დირექტორს და მთავარ ინჟინერს;

მოითხოვოს პრემიების ოდენობის შემცირება ან პრემიების ჩამორთმევა საამქროების, უბნების უფროსებისა და ოსტატებისათვის, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის საჭანადო ხარისხს;

მოსთხოვოს ქარხნის მთავარ ტექნოლოგსა და მთავარ მეტალურგს, რომ კონტროლის ყველა ოპერაცია გათვალისწინებულ იქნას ტექნოლოგიური პროცესებით და აღიჭურვოს საჭირო საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ კონტროლის სიზუსტეს და შრომის ნაყოფიერების გადიდებას საკონტროლო ოპერაციებზე;

მოსთხოვოს ქარხნის მთავარ ინჟინერს ჩაატაროს ყოველგვარი საჭირო ანალიზი და გამოცდა პროდუქციის ხარისხის დასადგენად არსებულ საქარხნო ლაბორატორიებში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში მოითხოვოს ასეთი გამოცდების ჩატარება სხვა საწარმოებში ან სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში;

უშუალოდ მიმართოს ზემდგომ ორგანიზაციას პროდუქციის ხარისხისა და პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის საკითხებზე;

დადგენილი წესით მიიღოს სამუშაოზე, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები, აგრეთვე გამოიყენოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკების მიმართ წახალისების ზომები და დააკისროს მათ სასჯელი.

9. ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი მოვალეა:

კონტროლი გაუწიოს პროდუქციის ხარისხს, კომპლექტურობას და მიღებას დაწესებული ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით წარმოების ყველა ეტაპზე, წარმოების პროგრამისა და რიტმის

შესაბამისად, აგრეთვე იმას, თუ რამდენად შეესაბამება პროდუქცია სტანდარტებს, ნორმალებს, ტექნიკურ პირობებს, ეტალონებსა და ნახაზებს;

მიიღოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკებსა და ქარხნის საამქროებისა და განყოფილებების მუშაკებს შორის დავის წამოჭრის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილება ნაკეთობათა დაწუნების ან მიღების შესახებ;

კონტროლი გაუწიოს ქარხნის საამქროებისა და განყოფილებების მუშაობას წარმოებაში პროდუქციის დეფექტების იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც გამოვლინებულია მისი დამზადების, გამოცდისა და ექსპლუატაციის დროს;

განახორციელოს, ამ ტიპიური დებულების შესაბამისად, ტექნიკური კონტროლის განყოფილების მთელი საკონტროლო აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობა, უზრუნველყოს ტექნიკური კონტროლის სწორი ორგანიზაცია უბნებზე, აგრეთვე ტექნიკური კონტროლის განყოფილების კადრების შერჩევა და განაწილება;

აძლიოს დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება წარმოებაში გაგზავნილი ნედლეულის, მასალების და ნახევარფაბრიკატების ხარისხი სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს;

მიაწოდოს ინფორმაცია ქარხნისა და საამქროების ხელმძღვანელობას ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც ადგილი ექნება წუნს, დეფექტებს, ტექნოლოგიის დარღვევას და ნაკლოვანებებს წარმოების ორგანიზაციაში, მოითხოვოს ღონისძიებათა დაუყოვნებლივ განხორციელება მათი აღმოფხვრისათვის;

დაუყოვნებლივ აცნობოს ზემდგომ ორგანიზაციას და ხარისხის ინსპექციას ქარხნის მზა პროდუქციაზე პრეტენზიების მიღების ყველა შემთხვევა და მათი განხილვის შედეგები, ქარხანაში ცუდი ხარისხის ნედლეულის, მასალებისა და სათბობის შემოსავლის, ქარხნის პროდუქციის მასობრივი დეფექტების შესახებ, რომლებიც აღმოჩენილია ექსპლუატაციის დროს, აგრეთვე მასობრივი წუნისა და წარმოების ტექნოლოგიის უხეში დარღვევის ფაქტების გამოვლინების შესახებ;

მოაწყოს ტექნიკური სწავლება, ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

10. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს ქარხნის დირექტორის და მთავარი ინჟინრის თანაბრად ეკისრება პასუხისმგებლობა ცუდი ხარისხის პროდუქციის ან ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, ნორმალებს ან ტექნიკურ პირობებს, ეტალონებს, ნახაზებს, ანდა არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის;

ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი აგრეთვე პასუხისმგებელია:

პროდუქციის ხარისხისა და კომპლექტურობისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის სისწორისა და პროდუქციის დროულად მიღებისათვის წარმოების ყველა უბანზე;

იმ დოკუმენტების გაფორმების სისწორისათვის, რომლებიც ადასტურებენ ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხსა და კომპლექტურობას;

პროდუქციის ხარისხის შეფასების სისწორისათვის.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 718
დადგენილებით

ტიპიური დებულება

მსუბუქი მრეწველობის საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური კონტროლის განყოფილება წარმოადგენს საწარმოს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვეგანაყოფს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების მთავარი მოვალეობაა კონტროლი გაუწიოს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, იმას, რომ მტკიცედ შეესაბამებოდეს იგი სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებსა და ინსტრუქციებს. ტექნიკური კონტროლის განყოფილება კონტროლს უწევს დაწესებული ტექნოლოგიის დაცვას წარმოების ყველა სტადიაში, აგრეთვე საწარმოში შემოსული ნედლეულისა და მასალების ხარისხს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს სტრუქტურით არ არის გათვალისწინებული ტექნიკური კონტროლის დამოუკიდებელი განყოფილება, ამ ტიპიურ დებულებაში აღნიშნული უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ვრცელდება იმ პირებზე, რომ-

ლებსაც ეკისრებათ ტექნიკური კონტროლი პროდუქციის ხარისხისადმი.

2. საწარმოს მიერ დამზადებული მთელი პროდუქცია შეიძლება მიეწოდოს მომხმარებელს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მიიღებს ტექნიკური კონტროლის განყოფილება და დადგენილი წესით გაფორმდება სერტიფიკატი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მზა პროდუქციის ხარისხს.

3. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ემორჩილება საწარმოს დირექტორს, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს დანიშნავს, თანამდებობიდან გაათავისუფლებს, წაახალისებს და სასჯელს დაადებს საწარმოს ზემდგომი ორგანიზაცია.

4. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები ემორჩილებიან ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს და თავიანთ მუშაობაში არ არიან დამოკიდებული საწარმოს სხვა განყოფილებებისაგან.

5. კონტროლი, რასაც ტექნიკური კონტროლის განყოფილება ახორციელებს პროდუქციის ხარისხისადმი, არ ათავისუფლებს საწარმოთა საამქროებისა და განყოფილებების უფროსებს, აგრეთვე ოსტატებსა და ბრიგადირებს იმისათვის პასუხისმგებლობისაგან, რომ წარმოების უბნებმა, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, გამოუშვან ცუდი ხარისხის ან ისეთი პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებსა და ინსტრუქციებს, ანდა გამოუშვან არაკომპლექტური პროდუქცია.

II. ტექნიკური კონტროლის განყოფილების ძირითადი ამოცანები

6. ტექნიკური კონტროლის განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

კონტროლი გაუწიოს საწარმოს მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის ხარისხს და განსაზღვროს მისი ხარისხიანობა, აგრეთვე იმას, თუ რამდენად შეესაბამება იგი სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებსა და ინსტრუქციებს;

კონტროლი გაუწიოს იმას, თუ რამდენად შეესაბამება საწარმოში შემოსული ნედლეული და მასალები სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს და მოცემული წარმოების მოთხოვნებს;

კონტროლი გაუწიოს ტარის, შეფუთვის ხარისხს და მზა პროდუქციის მარკირების სისწორეს;

პერიოდულად გაუწიოს კონტროლი დაწესებული ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას;

კონტროლი გაუწიოს იმას, რომ მზა ნაკეთობებს ჰქონდეთ სასაქონლო ნიშანი (ქარხნის მარკა);

კონტროლი გაუწიოს საწარმოში საკონტროლო-საზომ საშუალებათა მდგომარეობას, აგრეთვე მათ დროულად წარდგენას სახელმწიფო შემოწმებისათვის;

კონტროლი გაუწიოს იმას, თუ რამდენად სწორად ინახება მზა პროდუქცია, ნედლეული და მასალები საწარმოს საწყობებში;

გამოაელინოს ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში დამნაშავე პირები, აგრეთვე აწარმოოს წუნის ტექნიკური აღრიცხვა და წუნის გამომწვევი მიზეზების ანალიზი;

მონაწილეობა მიიღოს ისეთ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია პროდუქციის ხარისხის ამაღლება და ასორტიმენტის გაფართოება, წუნის თავიდან აცილება და ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზების აღმოფხვრა;

კონტროლი გაუწიოს იმ ღონისძიებათა დროულად მომზადებას და განხორციელებას, რომლებიც დაკავშირებულია ახალი სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ინსტრუქციების შემოღებასთან.

III. ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა

7. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება წარმოების მოცულობისა და ხასიათის მიხედვით და დამტკიცდება დადგენილი წესით.

IV. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

8. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს უფლება აქვს:

შეწყვიტოს ისეთი მზა პროდუქციის მიღება და გაგზ-ენა, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებსა და

ინსტრუქციებს, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით დირექტორს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის განკარგულება პროდუქციის მიღებისა და გაგზავნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გააუქმოს საწარმოს დირექტორმა მხოლოდ წერილობითი ბრძანებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. საწარმოს დირექტორსა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს შორის პროდუქციის ხარისხის საკითხებზე წამოჭრილ უთანხმოებას გადაწყვეტს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა;

მოსთხოვოს საამქროების უფროსებსა და საწარმოს დირექტორს შეაჩერონ პროდუქციის დამზადება ცალკეულ ჩარხებზე, აპარატებზე, აგრეგატებზე, წარმოების უბნებზე და საამქროებში, როდესაც მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია არ შეესაბამება სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს და ინსტრუქციებს;

მოითხოვოს პრემიების ოდენობის შემცირება ან პრემიების ჩამორთმევა საამქროების, უბნების უფროსებისა და ოსტატებისათვის, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის სათანადო ხარისხს;

მოითხოვოს საწარმოს მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილებებისაგან მოწყობილობისა და აღჭურვილობის გეგმურ-გამაფრთხილებელი რემონტის გრაფიკების დროულად შესრულება;

უშუალოდ მიმართოს ზემდგომ ორგანიზაციას პროდუქციის ხარისხისა და პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის საკითხებზე;

აკრძალოს დადგენილი წესით შეუმოწმებელი საზომებისა და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, უწესივრო ხელსაწყოების სარგებლობა და ამოიღოს ისინი ხმარებიდან, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საწარმოს დირექტორს და მთავარ ინჟინერს;

დადგენილი წესით მიიღოს სამუშაოზე, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები, აგრეთვე გამოიყენოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკების მიმართ წახალისების ზომები და დაადოს მათ სასჯელი.

9. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი მოვალეა:

უზრუნველყოს საწარმოში ტექნიკური კონტროლის განყოფილების შეუფერხებელი მუშაობა და იმ ამოცანების შესრულება განყოფილების მიერ, რაც დაწესებულია ამ ტიპიური დებულებით;

აკრძალოს პროდუქციის გამოშვება, თუ არ მოიპოვება ამ პროდუქციისათვის დადგენილი წესით დამტკიცებული სტანდარტები და ტექნიკური პირობები;

მიაწოდოს საწარმოსა და საამქროების ხელმძღვანელობას ინფორმაცია ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც ტექნიკური კონტროლის განყოფილებას წარედგინება მისაღებად ცუდი ხარისხის მზა პროდუქცია ან ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, ამასთან მოითხოვოს დაუყოვნებლივ განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი წარმოების მოწესრიგებისათვის;

კონტროლი გაუწიოს იმას, თუ რამდენად იცავენ საამქროების მუშაკები დამტკიცებულ ტექნოლოგიურ რეჟიმებსა და მეთოდიკას;

გასცეს სერტიფიკატი ან სხვა დოკუმენტი, რაც ადასტურებს იმ მზა პროდუქციის ხარისხს, რომელიც მომხმარებელს ეგზავნება საწარმოდან;

გაარჩიოს საწარმოს პროდუქციის რეკლამაციები, გამოარკვიოს ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზები და გამოავლინოს ამ საქმეში დამნაშავე პირები;

დაუყოვნებლივ აცნობოს ზემდგომ ორგანიზაციას და ხარისხის ინსპექციას ყველა შემთხვევა, როდესაც მიღებული იქნება პრეტენზიები საწარმოს მზა პროდუქციაზე და მათი განხილვის შედეგები, აგრეთვე საწარმოში ცუდი ხარისხის ნედლეულისა და მასალების შემოსვლის შემთხვევები.

გამოვიდეს საწარმოს წარმომადგენლად პროდუქციის ხარისხის საკითხების განხილვის დროს;

მოაწყოს ტექნიკური სწავლება, ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

10. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს საწარმოს დირექტორის და მთავარი ინჟინრის თანაბრად ეკისრება პასუხისმგებლობა ცუდი ხარისხის პროდუქციის ან ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებსა და ინსტრუქციებს;

საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი აგრეთვე პასუხისმგებელია:

პროდუქციის ხარისხისა და პროდუქციის დროულად მიღებისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის სისწორისათვის წარმოების ყველა უბანზე;

მიწოდებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების სისწორისათვის;

პროდუქციის ხარისხის შეფასების სისწორისათვის.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 13 ივლისის № 718
დადგენილებით

ტიპიური დებულება

კვების მრეწველობის საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური კონტროლის განყოფილება წარმოადგენს საწარმოს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვეგანაყოფს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების მთავარი მოვალეობაა კონტროლი გაუწიოს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, იმას, რომ მტკიცედ შეესაბამებოდეს იგი სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს, ინსტრუქციებსა და რეცეპტურას. ტექნიკური კონტროლის განყოფილება კონტროლს უწევს დაწესებული ტექნოლოგიის დაცვას წარმოების ყველა სტადიაში, აგრეთვე საწარმოში შემოსული ნედლეულისა და მასალების ხარისხს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს სტრუქტურით არ არის გათვალისწინებული ტექნიკური კონტროლის დამოუკიდებელი განყოფილება, ამ ტიპიურ დებულებაში აღნიშნული უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ ლაბორატორიების უფროსებს.

ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში საწარმოო ვეტერინარული კონტროლის განყოფილებები მოქმედებენ ამ ტიპიური დებულების საფუძველზე.

2. საწარმოს მიერ დამზადებული მთელი პროდუქცია შეიძლება მიეწოდოს მომხმარებელს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მიიღებენ ტექნიკური კონტროლის განყოფილება, ლაბორატორიები, ხარისხის ინსპექტორები, ხოლო კვების მრეწველობის წვრილ საწარმოებში, სადაც არ არიან კონტროლის აღნიშნული ორგანოები, საწარმოს დირექტორისა და ტექნიკური ხელმძღვანელის (ოსტა-

III. ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა

7. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება წარმოების მოცულობისა და ხასიათის მიხედვით და დამტკიცდება დადგენილი წესით.

IV. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის უფლებები, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

8. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს უფლება აქვს:

შეწყვიტოს იმ მზა პროდუქციის მიღება და გაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს, ინსტრუქციებს, რეცეპტურას და ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით საწარმოს დირექტორს. ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის განკარგულება პროდუქციის მიღებისა და გაგზავნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გააუქმოს საწარმოს დირექტორმა მხოლოდ წერილობითი ბრძანებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. საწარმოს დირექტორსა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს შორის პროდუქციის ხარისხის საკითხებზე წამოჭრილ უთანხმოებას გადაწყვეტს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა;

წარუდგინოს საწარმოს ხელმძღვანელობას წინადადებანი, რომ პასუხისგებაში მისცენ მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი არიან ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში, წარმოების ტექნოლოგიის დარღვევაში და რომლებიც წარმოებაში გამოიყენებენ ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ შეუმოწმებელ და ცუდი ხარისხის მასალებს, ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებს;

აკრძალოს დადგენილი წესით შეუმოწმებელი საზომებისა და საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, უწესივრო ხელსაწყოების სარგებლობა და ამოიღოს ისინი ხმარებიდან, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საწარმოს დირექტორს და მთავარ ინჟინერს;

კონტროლი გაუწიოს საამქროების მუშაკთა მიერ ტექნოლოგიური ინსტრუქციებისა და სქემების შესრულებას და მოითხოვოს, რომ ისინი ზუსტად შეასრულოს საწარმოს მთელმა პერსონალმა;

უშუალოდ მიმართოს ზემდგომ ორგანიზაციას პროდუქციის ხარისხისა და პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის ორგანიზაციის საკითხებზე;

დადგენილი წესით მიიღოს სამუშაოზე, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები, აგრეთვე გამოიყენოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა მიმართ წახალისების ზომები და დააროს მათ სასჯელი.

9. საწარმოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი მოვალეა:

უზრუნველყოს ტექნიკური კონტროლის განყოფილების შეუფერხებელი მუშაობა საწარმოში და მის მიერ იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც დაწესებულია ამ ტიპიური დებულებით;

კონტროლი გაუწიოს ნედლეულისა და მზა პროდუქციის საწყობების მუშაობას და მიიღოს ზომები ნედლეულისა და მზა პროდუქციის შენახვის პირობებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოებსა და საამქროების ხელმძღვანელობას ყველა იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც ტექნიკური კონტროლის განყოფილებას მისაღებად წარედგინება ცუდი ხარისხის მზა პროდუქცია ან ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, მოითხოვოს წარმოების მოწესრიგებისათვის საჭირო ღირებულებათა დაუყოვნებლივ განხორციელება;

აკრძალოს პროდუქციის გამოშვება, უკეთუ არ მოიპოვება ამ პროდუქციისათვის დადგენილი წესით დამტკიცებული სტანდარტები ან ტექნიკური პირობები;

წარუდგინოს მიღებული პროდუქცია მომხმარებელს ან ხარისხის ინსპექციას და ხელი მოაწეროს მოწმობას გამოშვებული პროდუქციის ხარისხის შესახებ;

მოაწყოს ტექნიკური სწავლება, ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

10. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი საწარმოს დირექტორისა და ტექნიკური ხელმძღვანელის თანაბრად პასუხისმგებელია ცუდი ხარისხის ან ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელიც არ

შეესაბამება სტანდარტებს ან ტექნიკურ პირობებს, ინსტრუქციებსა და რეცეპტურას.

ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი აგრეთვე პასუხისმგებელია:

პროდუქციის ხარისხისადმი ტექნიკური კონტროლის ორგანიზაციის სისწორისა და მისი დროულად მიღებისათვის წარმოების ყველა უბანზე;

მიწოდებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების სისწორისათვის;

პროდუქციის ხარისხის შეფასების სისწორისათვის

93 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 აგვისტო, № 621

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 აგვისტოს № 621 დადგენილებით

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 23 მარტის ბრძანებუ-

ლების საფუძველზე და წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო მმართველობის ორგანოს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტს — მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

თავის ოპერატიულ საქმიანობაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო იმყოფება საქართველოს სოფლის მეურნეობის კომიტეტის კონტროლის ქვეშ.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, მუშაობს რა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან თანამშრომლობით, მთელ თავის საქმიანობას წარმართავს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სწრაფი ზრდისაკენ.

სამინისტრო სრული პასუხისმგებელია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების, რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებისათვის.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს ადგილებზე მისდამი დაქვემდებარებული აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების და თავისი სისტემის სხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მეშვეობით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საკითხებზე სამინისტროს ბრძანებები და ინსტრუქციები, რომლებიც გამოიცემა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სოფლის მეურნეობის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების გადაწყვეტილებების, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, სავალდებულოა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, ცეკავშირისა და სხვა უწყებების ყველა ორგანიზაციისა და საწარმოსათვის, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას, მიღებას და გამოყენებას.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იგივე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი, რომელიც:

— ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას;

— საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სოფლის მეურნეობის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების გადაწყვეტილებების, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გამოცემული ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად და მოაწყობს კონტროლს მათი შესრულებისადმი;

—მოაწყობს, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს; დაამტკიცებს საწარმოთა და ორგანიზაციათა სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს

ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით;

დაამტკიცებს დებულებას სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების დებულებებსა და წესდებებს;

— დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკებს, დაწესებული ნომენკლატურის თანახმად;

— გაუქმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა ორგანიზაციების, საწარმოების და დაწესებულებების ბრძანებებს და შეაჩერებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სოფლის მეურნეობის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

წინადადებებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი შეიტანს შესაბამისი ასსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის წევრთა რაოდენობას და

მის შემადგენლობას განსაზღვრავს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის წარდგენით.

სამინისტროს კოლეგია განიხილავს და დასახავს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიისა და მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, მიიღებს გადაწყვეტილებებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებზე, განახორციელებს კონტროლს დასახული გეგმებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, განიხილავს კადრების მომზადებისა და განაწილების საკითხებს, მოისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების და სხვა დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავიანთი მხრივ, შეუძლია აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროსთან შეიქმნება საბჭო რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და განვითარების საპრობლემო საკითხების განსახილველად. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს მინისტრი. საბჭოს რეკომენდაციები ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, საუკეთესო მუშაკთა და სპეციალისტთა მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელების მიზნით, მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს, სადაც განიხილება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფ-

ლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

— აწარმოოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვა პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის საკითხებზე მიღებულ-გადაწყვეტილებათა და იმ ამოცანების შესაბამისად, რომ ცალკე თვითეულმა მეურნეობამ და მთლიანად რესპუბლიკამ უცილობლივ შეასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმის კონკრეტული დავალებანი, რათა ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაიზარდოს საზოგადოებრივი პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა და, ამის საფუძველზე, სწრაფად გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მოცულობა;

— მოაწყოს ბრძოლა პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველომ, მთლიანად რესპუბლიკამ შეასრულოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები, როგორც რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ისე ვადების მიხედვითაც. ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მეშვეობით და პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სამინისტრო გააჩაღებს ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის უზრუნველყოფისა და იმისათვის, რომ მობილიზებული იქნან სოფლის მშრომელთა მთელი ძალები დასახული გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად;

— უზრუნველყოს შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების სწორი ორგანიზაცია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

ყოველნაირად მისცეს სტიმული იმას, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, ორგანიზატორთა და ყველა დარგის სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებით, მათი ხარისხის ამაღლებითა და თვითღირებულების შემცირებით;

— უზრუნველყოს სრულად და რაციონალურად გამოყენება მიწისა, როგორც სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარი საშუალებისა, უწინარეს ყოვლისა — სათესი ფართობების და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების სტრუქტურის მუდმივი სრულყოფის ბაზაზე; განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია კონკრეტულ ადგილობრივ ნიადაგობრივ-კლიმატურ თავისებურებათა შესაბამისად; უზრუნველყოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, სარწყავი და ამოშრობილი მიწის ფართობების ყველაზე ეფექტიანად გამოყენება;

— გააძლიეროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობა, ყოველნაირად შეუწყოს ხელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორებს; შეუპოვრად იბრძოლოს იმისათვის, რომ ფართოდ და სისტემატურად დაინერგოს პრაქტიკაში მოწინავეთა და საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილება, აგრეთვე ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერების უახლესი მიღწევები და, ამის საფუძველზე უზრუნველყოს მიწათმოქმედების კულტურისა და მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა;

განახორციელოს კურსი კომპლექსური მექანიზაციისა, ელექტროფიკაციისა და შრომის ქიმიზაციისაკენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში; რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან" ერთად, აწარმოოს ბრძოლა მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციის არსებული საშუალებებისა და რესურსების უფრო მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის, რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატურად განმტკიცებისათვის;

— მოაწყოს საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების შომზადება; უზრუნველყოს მათი სწორად განაწილება და გამოყენება, იზრუნოს იმისათვის, რომ განმტკიცებულ იქნან ბრიგადები, განყოფილებები, ფერმები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები და სხვა დაქვემდებარებული ორგანიზაციები. საწარმოები და დაწესებულებები ხელმძღვანელთა, ორგანიზაციათა და სპეციალისტთა ღიდად განათ-

ლებული, ინიციატივიანი, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი შემოწმებული კადრებით;

— იზრუნოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის; თანმიმდევრულად განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო არტელის მმართველობის დემოკრატიული საფუძვლები; ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს იმ მხრივ, რომ გადაიჭრას პარტიის მიერ დასახული ამოცანა — ვმართოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისადმი დაკავშირებული, დიფერენციული მიდგომის საფუძველზე, უნარიანად მოვახდინოთ ზემოქმედება მათში წარმოების ორგანიზაციასა და განვითარებაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სუსტ მეურნეობათა ჩამორჩენის ლიკვიდაციას უმოკლეს ვადაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის გადაქცევა მაღალსასაქონლო და რენტაბელურ მეურნეობად;

— მოაწყოს შესყიდვა, უზრუნველყოს დაქვემდებარებული უწყებრივი დამამზადებელი ორგანიზაციების მოწესრიგებული მუშაობა, ამასთან მხედველობაში მიიღოს, რომ აუცილებელია მათ საქმიანობას მიეცეს მიზანდასახული ხასიათი, რაც ზეგავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაზე და ხელს უწყობს მისი მოცულობის სწრაფად გადიდებას; მოაწყოს ბრძოლა შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, აგრეთვე განახორციელოს კონტროლი დაწესებული ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთო-საკავშირო ფონდში გადარიცხვისა და მიწოდების დავალებათა შესრულებისადმი; განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დანაკარგების ლიკვიდაცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღების, გადაზიდვისა და შენახვის, დროს, ამასთან დაჩქარეს პროცესი მათი მიწოდებისა გადამმუშავებელი საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის.

9. მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, სამინისტრო:

— მოაწყობს და განახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დაგეგმვას, აღრიცხვას და ანგარიშგებას; შეამოწმებს და შეაჯამებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო საფინანსო გეგმების ძირითად მაჩვენებლებს, რომლებსაც წარადგენენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზა-

დების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საოლქო სამმართველო და ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები;

— კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მასების ინიციატივის ფართოდ გაშლის მიზნით, უზრუნველყოფს ქვემოდან დაგეგმვის პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელებას, ამასთან გაითვალისწინებს იმის აუცილებლობას, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გაუთანასწორდეს მოწინავე მეურნეობებს, რომლებმაც ნიადაგისა და ჰავის ანალოგიურ პირობებში მიაღწიეს მაღალ შედეგებს — ერთი მხრივ, და ადგილობრივი ბუნებრივი პირობების, წარმოების მიღწეული დონის, არსებული საშუალებებისა და ძალების, აგრეთვე სახელმწიფოს მხრივ შესაძლო დახმარების (კრედიტების, მექანიზაციის საშუალებათა, სასუქების, ჰერბიციდების, ზრდის სტიმულატორთა და სხვ. გამოყოფის გზით) გონივრულ შეფასებას — მეორე მხრივ; გეგმები უნდა ითვალისწინებდნენ საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონის სწრაფ ზრდას ყველა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საერთო მოცულობაში;

— პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით მოაწყობს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაქვემდებარებულ საწარმოებში სოციალისტურ შეჯიბრებას, მიმართულს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისაკენ, საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისაკენ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისაკენ;

— შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებს იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული როგორც ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ისე მთლიანად რესპუბლიკის რეზერვები და შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისა და მათი თვითღირებულების შემცირებისათვის;

— კონტროლს გაუწევს იმას, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა და საწარმოებმა, აგრეთვე ყველა დამამზადებელმა ორგანიზაციამ დაიცვას სახელმწიფო დისციპლინა, რომ სწორად შედგეს საანგარიშო მონა-

ცემები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულების შესახებ; აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატების წინააღმდეგ;

— უზრუნველყოფს შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების სწორ ორგანიზაციას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ყოველმხრივ სტიმულირებას და იმას, რომ ფართოდ დაინერგოს შრომის დამატებითი ანაზღაურება საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში და შრომის ანაზღაურების სააკორდო-პრემიალური სისტემა — საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგში; შეიმუშავებს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურების დებულებათა პროექტებს, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, დამზადებას, შენახვასა და გადამუშავებას.

— იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მიწის უფრო ეფექტიანად გამოყენება და მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის მაქსიმალური გამოსავლიანობა მიწის ყოველ ჰექტარზე შრომისა და საშუალებათა რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით პროდუქციის ერთეულზე, მოაწყობს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის რაციონალური სისტემების შემუშავებას და დანერგვას, დარგების ეკონომიურად ხელსაყრელ შეხამებას, აგრეთვე სათესი ფართობებისა და მრავალწლიან ნარგავთა ფართობების საუკეთესო სტრუქტურების შემუშავებასა და დანერგვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში; ამასთან სამინისტრო იხელმძღვანელებს, ერთი მხრივ, ჩაის, ხილის, ყურძნის, ციტრუსების, თამბაქოსა და საქართველოსათვის სხვა სპეციფიკური კულტურების განუხრელი ზრდის ამოცანით, ხოლო მეორე მხრივ, — იმის აუცილებლობით, რომ შეიქმნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მტკიცე საკვები ბაზა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, პარკოსნებისა და სხვა უხვმოსავლიანი კულტურების ნათესების ფართოდ დანერგვის, აგრეთვე ბუნებრივი სათიბ-საძოვარი სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელების გზით;

—რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების, აგრეთვე კურორტების მოსახლეობის სრული უზრუნველყოფის მიზნით, მოაწყობს ახლო მდებარე ზონების კოლმეურნეობებსა და სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში მაღალი ხარისხისა და

ფართო ასორტიმენტის მოუხდელი რძის პროდუქციის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილისა და კენკრის წარმოებას;

— განიხილავს საირიგაციო და სამელიორაციო მშენებლობის ობიექტების სასოფლო-სამეურნეო ათვისების პროექტებს; მოაწყობს სარწყავი და აბოშრობილი მიწების ინტენსიურად გამოყენებას; მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგებისა და გაწყლიერების გეგმების შემუშავებაში და განახორციელებს კონტროლს ამ ღონისძიებათა შესრულებისადმი;

— ხელმძღვანელობას გაუწევს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა, ეროზირებული მიწების ნაყოფიერების აღდგენა და პროდუქტიულად გამოყენება;

— ხელმძღვანელობას გაუწევს არსებული მიწების სახელმწიფო აღრიცხვასა და განაწილებას საკარგულებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით, აგრეთვე აწარმოებს ყველა მიწათმოსარგებლის სახელმწიფო რეგისტრაციას ეროვნული საერთო საკავშირო სისტემის მიხედვით; შეადგენს მიწების სახელმწიფო ბალანსს; განახორციელებს კონტროლს მიწის სწორად გამოყენებისადმი, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის სარგებლობაში იმყოფება იგი;

— ჩაატარებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შიგასამეურნეო მიწათმოწყობას და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა სამეურნეობათაშორისო მიწათმოწყობას;

— განახორციელებს სასოფლო-სამეურნეო გადაღებას, ნიადაგობრივ, გეობოტანიკურ, სამელიორაციო და სხვა გამოკვლევებს, რომლებიც, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისათვის, მიწათმოწყობის პროექტების შედგენისათვის, მიწის ფონდების სახელმწიფო აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო საკარგულების აღრიცხვისათვის;

— შეადგენს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის გეგმებს და მოაწყობს მათს განხორციელებას;

— ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა დაქვემდებარებული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების საქმიანობას და მოახდენს რესპუბლიკის იმ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციას, რომლებიც ეწევიან გამოკვლევებს სოფლის მეურნეობის დარგში, ამასთან იხელმძღვანელებს ამოცანით — მეცნიერთა შემოქმედებითი მეცადინეობა წარიმართოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირეული საკითხების შემუშავებისაკენ და

უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო გამოკვლევათა შედეგების უსწრაფესად და ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში; განიხილავს და დაამტკიცებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების და სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების თემატურ გეგმებს, აგრეთვე ანგარიშებს ამ გეგმების შესრულების შესახებ;

— ყოველნაირად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნოვატორთა მოძრაობის განვითარებას; განაზოგადებს მოწინავე მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეების — შუქურების მუშაობის გამოცდილებას, რომლებმაც შრომის ორგანიზაციის ახალი, პროგრესული ფორმების დახმარებით მაღალ შედეგებს მიაღწიეს; ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეს, ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში და მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვაში, ჩაატარებს ამ ღონისძიებათა დაფინანსებას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში;

— მასობრივი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის, ჟურნალების, მეცნიერული შრომების, მეთოდური მითითებებისა და რეკომენდაციების გამოცემის, გამოფენების, სემინარების, საწარმოო ექსკურსიების მოწყობის, კინოს, რადიოს, ტელევიზიისა და ხმის ჩაწერის გამოყენების გზით აწარმოებს მეცნიერული გამოკვლევების, შრომის პროგრესული მეთოდების და ხერხების პრაქტიკულად შემოწმებული შედეგების პროპაგანდას და მოაწყობს მათს საყოველთაო დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში;

— იმ მიზნით, რომ პრაქტიკულად უჩვენოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეურნეობის გაძღოლისა და წარმოების ორგანიზაციის საუკეთესო ხერხები, მოაწყობს საუკეთესო საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ან სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, ან სასწავლებლების სამეცნიერო-ექსპერიმენტულ მეურნეობათა ბაზაზე სანიმუშო საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებს ისეთი მიმართულებით, რაც ტიპიურია საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის საქმიანობის ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის;

— ხელმძღვანელობას გაუწევს საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებს, თვალყურს ადევნებს მათი დარგების რაციონალურად შეხამებას და შემდგომ განვითარებას, მოცემული ზონისათვის დაწესებული მიმართულებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის შესაბამისად; მოაწყობს სანიმუშო საცდელ-საჩვენე-

ბელ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო გაძღოლას, რომელიც ახლომდებარე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის უნდა გახდეს იმის მაგალითი, რომ მაქსიმალურად იქნას მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფართობის ერთეულზე, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების, წარმოების ყველა პროცესის მექანიზაციის ფართოდ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლების, ხელის შრომის დანახარჯების მინიმალურად შემცირებისა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვნად გაიაფების გზით;

— შეისწავლის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებს და მოაწყობს მათს ფართოდ გამოყენებას რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში;

— მოაწყობს მეთესლეობას და სასელექციო მუშაობას, ხელმძღვანელობას გაუწევს ჯიშგანახლების საქმეს და იმას, რომ დაინერგოს წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალპროდუქტიული დარაიონებული ჯიშები; განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საკუთარი ხარისხოვანი თესლით;

— უზრუნველყოფს ჩაის, ხილის, ციტრუსების, ყურძნისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ახალი დარაიონებული ჯიშების მასობრივად გაშენებას იმ მიზნით, რომ ფართოდ დაინერგოს ისინი წარმოებაში;

— აწარმოებს ბრძოლას საჯიშე მუშაობის გაუმჯობესებისათვის მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში, ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის; მოაწყობს ახალი ადრეულა და მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვისა და ფრინველის გამოყვანას, გამრავლებას და ფართოდ გავრცელებას; ფართოდ დანერგავს ხელოვნურ განაყოფიერებას და მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სახელმწიფო სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პუნქტების მუშაობას;

— განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ ყველა მეურნეობამ, მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, დაიცვას სსრ კავშირის ვეტერინარული წესდება; შეიმუშავებს და დანერგავს ვეტერინარული ეპიზოოტიის საწინააღმდეგო სამკურნალო და საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსს; მოაწყობს ცხოველთა

დაცვას დაავადებისაგან; გამოძებნის ცხოველთა დაავადებისა და პარაზიტების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ საშუალებებს;

უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად, მოსახლეობის დაცვას ისეთი დაავადებისაგან, რაც საერთოა ადამიანისა და ცხოველთათვის; კონტროლს გაუწევს ვეტერინარულ-სანიტარული მხრივ კარგი ხარისხის ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის გამოშვებას;

— განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან; გამოძებნის მათთან ბრძოლის ახალ საშუალებებს;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტროფიკაციისათვის; მოაწყობს ახალი მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— მიიღებს საჭირო ზომებს, რათა მაღალმწარმოებლურად იქნას გამოყენებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ტექნიკა და წარმოების ყველა საშუალება; მოაწყობს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაქვემდებარებულ საწარმოებში ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილების და სხვა მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის, რემონტისა და შენახვის წესების, აგრეთვე უსაფრთხობის ტექნიკის, შრომის დაცვისა და სანიტარიის წესების დაცვას;

— განსაზღვრავს გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან" ერთად, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა დაქვემდებარებული ორგანიზაციების მოთხოვნილებას წარმოების ძირითად მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, გაანწილებს ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მოწყობილობის, საშენი მასალების, აგრეთვე მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და საკვების ფონდებს, რომლებიც გამოყოფილია სამინისტროსათვის;

— ხელმძღვანელობას გაუწევს კაპიტალურ მშენებლობას დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში; დაამტკიცებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;

აწარმოებს ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების და სპეციალისტების გადამ-

ზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; მოაწყობს აგრონომების, ზოოტექნიკოსებისა და სხვა სპეციალისტების მოკლევადიან სემინარებს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან უახლესი თეორიული გამოკვლევებისა და წარმოების პრაქტიკული ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გასაცნობად;

— ხელმძღვანელობას გაუწევს უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და მასობრივი პროფესიების კადრების მომზადების საქმეს იმ ვარაუდით, რომ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეები იღებდნენ არა მარტო თეორიულ ცოდნას, არამედ კარგად შეეძლოთ ცოდნის გამოყენება პრაქტიკულად, ეუფლებოდნენ ტექნიკას და იღებდნენ მეურნეობის მართვის ორგანიზაციულ ჩვევებს; უზრუნველყოფს იმ ახალგაზრდა სპეციალისტების სწორად განაწილებას და გამოყენებას, რომლებმაც სწავლა დაამთავრეს და გაგზავნილი არიან სამუშაოდ სამინისტროს სისტემაში;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის; მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას და გადამზადებას;

— ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მეშვეობით კონტროლს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, შიგასაკოლმეურნეო დემოკრატიისა და საწარმოო-საფინანსო დისციპლინის ნორმების დაცვას, კოლმეურნეობათა შემოსავლის სწორად განაწილებას; მოაწყობს შიგასამეურნეო ანგარიშის დანერგვას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში; დაეხმარება ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს უზრუნველყონ ყოველმხრივი, მოფიქრებული, დიფერენციული ხელმძღვანელობა და ზემოქმედება თვითეულ მეურნეობაში წარმოების მოწყობასა და განვითარებაზე; განახორციელებს სხვა ღონისძიებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, პირველ რიგში — ეკონომიურად სუსტების, ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, რათა ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უახლოეს დროში გადაიქცეს მაღალსასაქონლო და მაღალრენტაბელურ მეურნეობად;

— უზრუნველყოფს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებას და განახორციელებს

ღონისძიებებს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო განმტკიცებისათვის.

— უზრუნველყოფს მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში;

— მოაწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დროულად დადებასა და შესრულებას, კონტროლს გაუწევს იმას, თუ რამდენად სწორად განსაზღვრეს მიმღებმა პუნქტებმა და საწარმოებმა შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობა და ხარისხი;

— კონტროლს გაუწევს იმას, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა და სხვა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას, დაიცვან პირობები კოლმეურნეობებისაგან იმ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტის შესყიდვის და საკომისიოდ მიღებისა (მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებებს), რომელსაც სახელმწიფო არ ყიდულობს;

— განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების უშუალო კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება მრეწველობასთან, რომელიც ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავებას, აგრეთვე საგაჭრო ორგანიზაციებთან;

— უზრუნველყოფს ყველა მიმღები პუნქტისა და საწარმოს ტექნიკური ბაზის დროულად და მაღალხარისხოვნად მომზადებას, მათი უწყვეტი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, და განახორციელებს კონტროლს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის პირობების დაცვისადმი;

— მოაწყობს კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ჩამბარებლებისაგან შემოსული მარცვლის და ზეთოვანი კულტურების თესლის მიღებას და მოელა-შენახვას, სიმინდის ჰიბრიდული და ჯიშიანი თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი თესლის მიღებას, დამუშავებას, შენახვასა და რეალიზაციას, აგრეთვე თივის მიღებას, შენახვას და რეალიზაციას;

— უზრუნველყოფს მოცემული ნომენკლატურისა და დაწესებული ასორტიმენტის ფქვილის, ბურღულისა და კომბინირებული

საკვების წარმოების გეგმის შესრულებას და მათ მიწოდებას რეალიზაციის გეგმის შესაბამისად;

— მოაწყობს საფქვავის, ბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოების, ელევატორების და პურის პროდუქტების სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

— მისცემს დასკვნებს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სტანდარტების პროექტების გამო, მონაწილეობას მიიღებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი და ჩასაბარებელი ფასების პროექტების შემუშავებაში;

— მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს საბუღალტრო აღრიცხვას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ჩაატარებს მათი საბუღალტრო ანგარიშგების ანალიზს, შეადგენს ნაკრებ საბუღალტრო ანგარიშებს, აწარმოებს სამინისტროსა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვას და მოაწყობს სარევიზიო მუშაობას სამინისტროს სისტემაში;

— შეადგენს სამინისტროს ნაკრებ საფინანსო გეგმებს, დაფინანსებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს და სხვა დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, განახორციელებს სახელმწიფო ბანკის კრედიტების დაგეგმვას სახელმწიფო საწარმოებისა და კოლმეურნეობებისათვის, კონტროლს გაუწევს მათ მიერ საფინანსო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულებას;.

— შეიმუშავებს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის შრომის, თვითღირებულების, კაპიტალური მშენებლობის, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტით ტვირთზიდვის, შემოსავალ-გასავლის ბალანსების გეგმებს სამინისტროსათვის დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში;

—მიიღებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან და ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისაგან, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებას და აწარმოებენ ავანსირებასა და დაკრედიტებას, საანგარიშო მონაცემებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების შესახებ, აგრეთვე სხვა სტატისტიკურ მონაცემებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დამზადების საკითხებზე;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური საკუთრების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხობის უზრუნველყოფა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

10. სამინისტროში შეიქმნება უწყებრივი არბიტრაჟი დაქვემდებარებულ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სადავო სამეურნეო საკითხების განსახილველად.

11. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

94 **ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ არსებული ინსტრუქციის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნას ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ მოქმედ ინსტრუქციაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 აპრილის № 213 დადგენილებით, შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ორი აბზაცი:

„საგადამხდელო დავალება-ვალდებულებას შეუმოწმებენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც იმუშავეს მუდმივ სამუშაოზე არა ნაკლებ 6 თვისა, და არ უნდა შეუმოწმონ იმ პირებს, რომლებსაც აღმასრულებელი ფურცლებით და სხვა საალმასრულებლო დოკუმენტებით ექვითებათ ხელფასის 50 პროცენტი.

მუშა-მოსამსახურეებისათვის საგადამხდელო დავალება-ვალდებულების განმეორებითი შემოწმება წარმოებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გასწორებული ანგარიში იმ საქონლისათვის, რომელიც მათ ნისიად შეიძინეს წინათ დამოწმებული საგადამხდელო დავალება-ვალდებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 5 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მყიდველს მის მიერ ნისიად შეძენილი საქონელი მიეცემა მას შემდეგ, რაც იგი გადაიხდის ამ საქონლის ღირებულების არა ნაკლებ 25 პროცენტისა. საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილი უნდა ანაზღაურდეს გადასახდელთა განაწილვადების დროის განმავლობაში თვეში ორ-ორ შენატანად თანაბარ ნაწილად.

მორიგი შვებულებისა, შრომის დროებითი უუნარობისა და სხვა ასეთი შემთხვევებისათვის ფულის მიცემის დროს მორიგი გადასახდელის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს გასაცემი თანხის პროპორციულად. გადაუხდელი თანხა შეიტანება შემდეგ მორიგ შენატანში“.

მუხ. 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქონლის გაყიდვა ნისიად 6 თვემდე განაწილვადებით წარმოებს იმ თანხის ოდენობით, რაც არ აღემატება მყიდველის ორი თვის ხელფასს, და 12 თვემდე განაწილვადებით — თანხას მყიდველის ოთხი თვის ხელფასის ფარგლებში“.

მე-10 მუხლში სიტყვები „თვეში ერთხელ“ შეიცვალოს სიტყვებით „თვეში ორჯერ“.

მე-12 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„მუშა-მოსამსახურეების დათხოვნის ან სხვა საწარმოში (დაწესებულებაში, ორგანიზაციაში) გადაყვანის დროს ადმინისტრაცია მოვალეა დაუკავოს მათ მთელი დარჩენილი დავალიანება მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის; ამასთან დაკავების მთელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს. უკეთუ ამა თუ იმ მიზეზით შეწყდა მორიგ გადასახდელთა თანხების დაკავება ხელფასიდან, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ადმინისტრაცია ამას აცნობებს სავაჭრო ორგანიზაციას ფულის დაკავების შეწყვეტიდან ხუთი დღის ვადაში“.

საგადამხდელო დავალება-ვალდებულებაში (ინსტრუქციის დანართი):

ა) ყველა წინადადებაში სიტყვა „ყოველთვიურად“ შეიცვალოს სიტყვებით „თვეში ორჯერ“;

ბ) თარიღისა და მყიდველის ხელმოწერის წინ მოთავსდეს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„იმ შემთხვევაში, თუ მე გადავაცილებ ორი მორიგი შენატანის გადახდის ვადას, დაუფარავი დავალიანების მთელი თანხა შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამხდეს იძულებითი წესით, მორიგი გადასახდელის ვადების დადგომის დამოუკიდებლად".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუშავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 აგვისტო, № 624

95 ტრიანგულაციისა და ნიველირების სახელმწიფო გეოდეზიური ნიშნების დაცვის შესახებ

აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ადგილი აქვს ტრიანგულაციისა და ნიველირების სახელმწიფო გეოდეზიური ნიშნების დაზიანებისა და განადგურების, ხისა და რკინის გარეპირამიდების მიტაცებისა და ცენტრების მოხვნის შემთხვევებს.

მშრომელთა დეპუტატების ბევრი ადგილობრივი საბჭო ჯეროვან ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ არ დაუშვან გეოდეზიური ნიშნების დაზიანება და განადგურება, და მოსახლეობაში არ ეწევა ახსნა-განმარტებით მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიიღონ ზომები გეოდეზიური ნიშნების დასაცავად, არ დაუშვან მათი დაზიანება და განადგურება;

ბ) კატეგორიულად აკრძალონ სახელმწიფო ნიშნებისათვის გასხვისებულ მოედნებზე ჩალის კონების, თივის ზვინების, ხე-ტყის შტაბელების დადგმა, სადარაჯო კოშკების, საველე ბანაკებისა და ნაგავსაყრელების მოწყობა, პირუტყვის შერეკვა, კოცონის დანთება და სხვა, აგრეთვე სახგეოდეზზედამხედველობის განყოფილების ნებადაურთველად როგორც დროებითი, ისე მუდმივი ხასიათის ყოველგვარი სამშენებლო, სამონტაჟო, და მიწის სამუშაოების წარმოება;

გ) გასწიონ მოსახლეობაში და განსაკუთრებით ტრაქტორისტებსა, კომბაინერებსა და მწყემსებს შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა სახელმწიფო გეოდეზიური ნიშნების დიდი სახალხო-სამე-

ურნეო მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ეს ნიშნები განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი დაცვის ობიექტებს წარმოადგენენ;

დ) განსაზღვრონ საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე არსებული გეოდეზიური ნიშნების რაოდენობა, შემოიღონ ზუსტი აღრიცხვა და მეთვალყურეობა გაუწიონ მათს დაცვას.

გეოდეზიური ნიშნების დაზიანებისა და განადგურების ყველა შემთხვევის დროს გამოავლინონ დამნაშავენი, პასუხისგებაში მისცენ ისინი და მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 5 სექტემბერი, № 631

96 საუწყებო და სამომსახურეო საცხოვრებელი სადგომების გამოყენების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაუშვებლად მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კუთვნილი საუწყებო საცხოვრებელი სახლების მრავალი ბინა რჩება იმ პირებს, რომლებიც სამუშაოდან დათხოვნილი არიან პირადი სურვილით, შრომის დისციპლინის დარღვევასთან ან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ამ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს — მოითხოვონ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღნიშნულ პირთა გასახლება საუწყებო სახლიდან, დადგენილი წესის შესაბამისად. საუწყებო სახლებში, აგრეთვე სასამსახურო საცხოვრებელ სადგომებსა და საერთო საცხოვრებლებში ხშირად უკანონოდ აძლევენ თავისუფალ ბინებს იმ პირებს, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ.

საუწყებო საცხოვრებელი ფონდის გამოყენების ასეთი მანკიერი პრაქტიკა იწვევს კადრების დიდ დენადობას, აძნელებს ახალი მუშებისა და მოსამსახურეების საწარმოში მიღებისა და საცხოვრებელი ფართობით მათი უზრუნველყოფის საქმეს. ბინების დატოვება იმ პირებისათვის, რომლებმაც დაკარგეს ამის უფლება, საგრძნობ სიძნელეებს ქმნის მრავალი საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაობაში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები არ ახორციელებენ ჯეროვან კონტროლს საუწყებო და სასამსახურო საცხოვრებელი სადგომების გამოყენებისადმი, ურიგდებიან იმას, რომ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს — მოითხოვონ გასასახლებელი პირების მიერ ბინების დაცლა.

საუწყებო და სასამსახურო საცხოვრებელი სადგომების სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი საუწყებო და სასამსახურო საცხოვრებელი სადგომების გამოყენების საქმეში, ბოლო მოუღონ ასეთი სადგომების დატოვებას იმ პირებისათვის, რომლებიც იქ ცხოვრების უფლებით აღარ სარგებლობენ და გასახლებულ უნდა იქნან.

ექვსი თვის ვადაში შეამოწმონ საუწყებო სახლებში მცხოვრებ პირებთან დადებული წერილობითი ხელშეკრულებანი ბინის დაქირავების შესახებ და ასეთი ხელშეკრულებების უქონლობის შემთხვევაში დასდონ ისინი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საუწყებო სახლების საცხოვრებელი სადგომების დაქირავებაზე ხელშეკრულება არ უნდა დაიდოს იმ პირებთან, რომლებიც კანონის თანახმად გამოსახლებულ უნდა იქნან.

2. საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა მკაცრი მეთვალყურეობა გაუწიონ, თუ როგორ სრულდება მოქმედი კანონმდებლობა დადგენილი წესით საწარმოებისა და დაწესებულებების სახლებიდან იმ მუშა-მოსამსახურეების გამოსახლეობის შესახებ, რომლებიც სამუშაოდან დათხოვნილი არიან პირადი სურვილით, შრომის დისციპლინის დარღვევის ან დანაშაუ-

ლის ჩადენისათვის, სასამსახურო საცხოვრებელი სადგომებიდან და საერთო საცხოვრებლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებმაც იქ ცხოვრების უფლება დაკარგეს; აგრეთვე მიიღონ ზომები საუწყებო და სასამსახურო საცხოვრებელი სადგომების განთავისუფლებისათვის იმ პირთა მიერ, რომელთაც ეს სადგომები უკანონოდ მიეცათ.

3. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სია (დანართის თანახმად) იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან დასაშვებია სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშა-მოსამსახურეების გამოსახლება, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა გაწყვიტეს პირადი სურვილით წასვლის ან შრომის დისციპლინის დარღვევასთან, ან დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით დათხოვნის გამო.

ომის ინვალიდები, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდები, მოხუცებულობითი პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფთა ოჯახები, აგრეთვე სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების გამოსახლება იმ საუწყებო სახლებიდან, საიდანაც დასაშვებია გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, შეიძლება მოხდეს მხოლოდ სხვა საცხოვრებელი ფართობის მიცემის შემთხვევაში.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც 1962 წლის პირველი იანვრის შემდეგ გაწყვიტეს შრომითი კავშირი პირადი სურვილით განთავისუფლების გამო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გამოსახლებულ იქნან საუწყებო სახლების საცხოვრებელი სადგომებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან დაბრუნდნენ წინანდელ სამუშაოზე.

4. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 63-ე მუხლის შესაბამისად დაწესდეს, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც სასამსახურო საცხოვრებელი სადგომი უჭირავთ, აგრეთვე მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები და კმაყოფაზე მყოფნი გასახლებულ უნდა იქნან ადმინისტრაციული წესით..

ომის ინვალიდები, პირველი და მეორე ჯგუფის შრომის ინვალიდები, მოხუცებულობითი პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები, აგრეთვე სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები, რომელთაც სასამსახურო საცხოვრებელი სადგომები უჭირავთ, შეიძლება გამოსახლებულ იქნან ადმინისტრაციული წესით იმ შემთხვევაში, თუ მათ მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი.

5. ეს დადგენილება ვრცელდება რაიონულ (საქალაქო) აღმასკომების შენობებზე, რომლებიც მიზნობრივი დანიშნულებით გადაეცა მუშაკების შესასახლებლად საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ჩამოთვლილია დანართში, აგრეთვე იმ საცხოვრებელ ფონდზე, რომელიც დამკვეთებმა გადასცეს საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიამ 1963 წლის 1 მარტისათვის წარმოადგინონ მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 10 სექტემბერი, № 641

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 10 სექტემბრის № 641
დადგენილების დანართი

ს ი ა

საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციებისა, რომელთა სახლებიდან დასაშვებია მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო

1. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა
2. ყველა ჰიდრო და თბოელექტროსადგური

3. თბილისის ელექტროქსელის სამმართველო
4. ქუთაისის ელექტროქსელის სამმართველო
5. სოხუმის ელექტროქსელის სამმართველო
6. ზესტაფონის ელექტროქსელის სამმართველო
7. ქუთაისის ავტოქარხანა
8. თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა
9. თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა
10. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა
11. ბათუმის გემსამშენებლო ქარხანა
12. არ ქვეყნდება
13. არ ქვეყნდება
14. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა
15. ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა
16. თბილისის ქარხანა ელექტროშედუღება
17. ბათუმის ქარხანა ელექტროხელსაწყო
18. ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა
19. ფოთის ქარხანა ელექტროაპარატი
20. კასპის ქარხანა ელექტროაპარატი
21. ცხინვალის ქარხანა ელექტროვიბრომაწქანა
22. ცხინვალის ქარხანა მინანქარსადენი
23. კასპის ცემენტის ქარხანა
24. მეტეხის აგურის ქარხანა
25. აჯამეთის სამენი მასალების კომბინატი
26. ახმეტის სატყეო კომბინატი
27. ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი
28. მარელისის ავეჯის ფაბრიკა
29. ახალდაბის ავეჯის ფაბრიკა
30. კოდორის ხე-ტყის სახერხი ქარხანა
31. ახალციხის სატყეო კომბინატი
32. ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორა
33. ახმეტის საფუარის ქარხანა
34. ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი
35. ყველა სატყეო სამრეწველო მეურნეობა
36. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი
37. გორის ბამბეულის კომბინატი
38. შულავერის ქეჩის ფაბრიკა
39. ტრესტი ჭიათურმარგანეცი

40. ტრესტი ტყიბულქვანახშირი
41. ტრესტი ტყვარჩელქვანახშირი
42. მაღაროთსამმართველო ახალციხქვანახშირი
43. ტრესტ საქქვანახშირმადანძიების ტყვარჩელის გეოლოგიურ-საძიებო პარტია
44. ტრესტ საქმთამადანმრეწვის სადახლოს მარმარილოს მაღარო
45. ტრესტ საქმთამადანმრეწვის თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატი
46. ტრესტ საქმთამადანმრეწვის ბაკურიანის ანდეზიტის წარმოება
47. ტრესტ საქმთამადანმრეწვის საქთალკი
48. ტრესტ საქმთამადანმრეწვის საქგუმბრინი
49. ტრესტ საქმთამადანმრეწვის მახარაძის მაღაროთსამმართველო
50. ტრესტ საქმთამადანმრეწვის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველო
51. ტრესტ საქმთამადანმრეწვის რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი
52. ტრესტ საქმთამადანმრეწვის ბოლნისის მაღაროთსამმართველო
53. ტრესტ საქმთამადანმრეწვის კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველო
54. ტრესტ საქმთამადანმრეწვის ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველო
55. ტყიბულშახტმშენი
56. ტყვარჩელშახტმშენი
57. მადნეულმშენი
58. ჩორდმშენი
59. ახალციხშახტმშენი
60. საქნავთის საწარმოები (გარდა ქ. თბილისში განლაგებული საწარმოებისა)
61. საქართველოს ჩაის ტრესტის ფაბრიკები
62. სამტრესტის საწარმოები (გარდა თბილისში განლაგებულ საწარმოებისა)
63. ტრესტ საქმინხილწყალის ჩამოსასხმელი ქარხნები საირმეში, ბორჯომში და შუშის ქარხანა სურამში
64. ტრესტ საქმცენარეთერზეთის ქარხნები და საბჭოთა მეურნეობები (გარდა თბილისში განლაგებული საწარმოებისა)
65. ტრესტ საქთევზმრეწვის ბათუმის თევზის კომბინატი

66. ტრესტ საქთევზმრეწვის სოხუმის თევზის კომბინატი
67. ტრესტ საქთევზმრეწვის სოხუმის გემშემკეთებელი ტექნიკური სადგური
68. ტრესტ საქთევზმრეწვის გაგრის თევზის ქარხანა
69. ტრესტ საქთევზმრეწვის თბილისის თევზის ქარხანა
70. ტრესტ საქთევზმრეწვის შავი ზღვისპირა კალმახის მეურნეობა
71. არ ქვეყნდება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო

72. საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები (გარდა ქ. თბილისში განლაგებულისა)

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა"

73. საწარმოები და ორგანიზაციები (გარდა ქ. თბილისში განლაგებულისა)

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო

74. სამშენებლო სამმართველოები და ტრესტები

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტრო

75. სასისტემო სამმართველოები
76. მექანიკური მორწყვის თბილისის სამმართველო
77. თბილისის სამანქანო-საექსკავატორო სადგური
78. ტრესტი სამგორწყალმშენი

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო

79. საწარმოები და ორგანიზაციები (გარდა სამინისტროს სახლთა სამმართველოს სახლებისა)

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

80. სანატორიუმები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო

81. რაიონული საგზაო-საექსპლუატაციო უბნები, საგზაო-სარემონტო და ხიდ-სარემონტო სამშენებლო სამმართველოები

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

82. მთავართბილმშენის და ტრესტ ინჟმშენის სამშენებლო სამმართველოები

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო

83. რკინიგზის წარმოებითი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზეა

სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტრო

84. ტრესტ საქჰიდროენერგომშენის სამშენებლო ორგანიზაციები (გარდა ქ. თბილისში განლაგებულისა)
85. ტრესტ საქჰიდროენერგომშენის დამხმარე საწარმოების თბილისის კომბინატი
86. ტრესტ საქჰიდროენერგომშენის წარმოებითი საწარმოების ქუთაისის კომბინატი
87. კავკასელექტროქსელმშენის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული სამონტაჟო-სამშენებლო ორგანიზაციები და საწარმოები

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო

88. ქ. სოხუმის, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურები

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

89. ტრესტ საკტელეფონმშენის ამიერკავკასიის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო

90. ტრესტ ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის №№ 131, 132 და 133 სამშენებლო სამმართველოები

91. ტრესტ ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის № 24 მთავარი სარემონტო აღდგენითი მატარებელი
92. ტრესტ ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის №№ 815 და 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლები
93. ტრესტ ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის წარმოებითი საწარმოების კომბინატი
94. თბილისის გვირაბმშენის სამმართველო

საქართველოს პროფსაბჭო

95. საკურორტო სამმართველო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო

96. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტერიტორიული სამმართველოს აეროპორტები ქ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მთავარი სამმართველო

97. საქართველოს ტერიტორიული სამმართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ᲔᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔ.

97 საქართველოს სსრ მთავრობის მიერ ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შეცვლისა და დამატების შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ ქალაქებში ინდივიდუალური საბინაო და საგარაკო მშენებლობის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 აპრილის № 259 დადგენილების პირველი მუხლის პირველი აბზაცი; იმავე დადგენილების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „.... და, როგორც გამონაკლისი, კოოპერატივის წევრთა სურვილისამებრ — საპროექტო ინსტიტუტების მეშვეობით შედგენილი და დადგენილი წესით დამტკიცებული ინდივიდუალური პროექტები“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 ივლისის № 504 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალების შეძენის წესის“ მე-7 მუხლი და შეივსოს იგი შემდეგი შინაარსის ახალი მე-7 მუხლით: „7. საშენ მასალებსა და ნაკეთობებს ინდივიდუალურ მენაშენეებს მისცემენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებების სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 თებერვლის № 1996 განკარგულებით გათვალისწინებული წესით. ამ წესის თანახმად, სამინისტროები, საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთ მუშაკებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენ მასალებს, დეტალებს, ინსტრუმენტებს, ნახევარფაბრიკატებს, კაევულს, სტანდარტული საცხოვრებელი სახლების ცალკეულ დეტალებსა და დეტალების კომპლექტებს, რომლებზეც დაწესებულია საცალო ფასები, — მისცემენ საცალო ფასების მიხედვით, ხოლო ზემოჩამოთვლილ მასალებს, რომლებზეც საცალო ფასები არ არის დაწესებული, — საბითუმო ფასების მიხედვით.

იმ ინდივიდუალური მენაშენეებისათვის ხე-ტყის საშენი მასალის გაცემა, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ უშუალოდ სატყეო სამრეწველო მეურნეობებსა და სატყეო ახალშენებში, უნდა წარმოებდეს მოქმედი საბითუმო ფასების მიხედვით.

სატრანსპორტო ხარჯებს მენაშენეები გადაიხდიან არსებული ტარიფების მიხედვით“.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სადაბო და საკურორტო ადგილებში თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ინდივიდუალური საბინაო და საგარაკო მშენებლობისათვის

მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აპრილის № 269 დადგენილების მე-7 მუხლი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 14 სექტემბერი, № 646

98 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 1 აგვისტოს № 983 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას ცნობად, რომ „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამხანაგური სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 789 დადგენილებით ძალადაკარგულად არის ცნობილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 14 ივლისის № 2520 დადგენილება „საწარმოებისა და დაწესებულებების ამხანაგური სასამართლოების შესახებ“

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 1 აგვისტოს № 983 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 14 სექტემბერი, № 647

99 **საქართველოს სსრ მთავრობის მიერ გეოლოგიისა და წიაღის დაცვის საკითხებზე მიღებულ ზოგიერთ გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 აგვისტოს № 837 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ძალადაკარგულად ითვლება:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 11 აპრილის № 1176 დადგენილება „1951-1965 წლებში საქართველოს სს რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვების განვითარებისა და ქვანახშირის საწარმოებისათვის დახმარების გაწევის ზომების შესახებ“;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 27 იანვრის № 231 დადგენილება „მაგარი სასარგებლო მთამადნეულის საბადოების მარაგის კლასიფიკაციისა და სასარგებლო მთამადნეულის გამოკვლეული საბადოების სამრეწველო ათვისებისათვის გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 5 სექტემბრის № 973 დადგენილება „მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ინსპექციისა და იმ საწარმოებში სამთოზედამხედველობის შესახებ, რომლებიც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს არ ექვემდებარებიან“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 9 ნოემბრის № 2145 დადგენილება „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 7 იანვრის № 22 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სამთო-ტექნიკური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 თებერვლის № 217 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 27 იანვრის № 231 დადგენილების დაგზავნის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 14 სექტემბერი, № 648

100 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ

„ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების მე-13 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 ივლისის № 436 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო მშენებლობის კოოპერატივის სანიმუშო წესდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 18 სექტემბერი, № 652

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 652 დადგენილებით

სანიმუშო წესდება

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისა

I. კოოპერატივის შექმნის წესი

1. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი მოეწყობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების საბინაო სამმართველოებთან (განყოფილებებთან) ან კომუნალური მეურნეობის სამმართველოებთან (განყოფილებებთან), საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

2. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შესაქმნელად ქ. თბილისში საჭიროა გაერთიანება არანაკლებ 24 მოქალაქისა, ქ. ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და რუსთავში — არანაკლებ 12 მოქალაქისა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში—არანაკლებ 6 მოქალაქისა. საკითხს კოოპერატივის მოწყობის შესახებ აღძრავენ მშრომელები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების საბინაო სამმართველოს (განყოფილების) ან კომუნალური მეურნეობის სამმართველოს (განყოფილების) ან საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების წინაშე, რომლებიც ჩაატარებენ კოოპერატივში წევრად შესვლის მსურველთა საერთო კრებას გადაწყვეტილების მისაღებად კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

3. მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველო (განყოფილება) ან კომუნალური მეურნეობის სამმართველო (განყოფილება), საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია მიიღებს საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას კოოპერატივის მოწყობის ნებართვის შესახებ, მოიწვევენ კოოპერატივში შესვლის მსურველთა საერთო კრებას წესდების მისაღებად. კრების მიერ მიღებული წესდება გატარდება რეგისტრაციაში მშრომელთა დეპუტატების იმ საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება კოოპერატივის მოწყობის შესახებ.

4. წესდების რეგისტრაციის დროიდან კოოპერატივის წევრები უფლებამოსილი არიან მოიწვიონ საერთო კრება, რომელზედაც აირჩევენ გამგეობასა და სარევიზიო კომისიას.

II. კოოპერატივის მიზანი, უფლებანი და მოვალეობანი

5. ——————— სახელწოდების საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი დაარსდება ქალაქ (დაბა) ——————— იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილოს კოოპერატივის წევრები საბინაო ფართობით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლების) მშენებლობით კოოპერატივის საკუთარი სახსრებით. აგრეთვე ამ სახლის (სახლების) შემდგომი ექსპლუატაციისა და მმართველობისათვის.

6. კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ადგილას და ამავე დასახლებულ პუნქტში პირადი საკუთრების უფლებით არ ფლობენ მუდმივ საცხოვრებლად ვარგის სახლებს, სადაც მათ შეეძლოთ დაბინავებულიყვნენ.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში არ მიიღებიან მოქალაქენი, რომლებმაც უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში არაერთხელ გასხვისეს ბინები ან სახლები, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ პირადი საკუთრების უფლებით.

სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ იყვნენ კოოპერატივის წევრები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სახსრებით კოოპერატივის სახლების მშენებლობაში.

7. კოოპერატივი მიიღებს იურიდიული პირის უფლებას იმ დროიდან, როცა მისი წესდება გატარდება რეგისტრაციაში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომში.

კოოპერატივი სარგებლობს ბეჭდით, რომელზედაც აღნიშნულია მისი სახელწოდება.

8. მას შემდეგ, რაც კოოპერატივის წესდებას დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომი, კოოპერატივი სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში გახსნის მიმდინარე ანგარიშს, სადაც ჩაირიცხება კოოპერატივის მთელი სახსრები, რომლებიც მის წევრებს შეაქვთ სახლის მშენებლობისათვის. ამ ანგარიშიდან წარმოებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საექსპლუატაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ოპერაციების ანგარიშსწორება.

9. კოოპერატივის წევრთა რიცხვი უნდა შეესაბამებოდეს იმ ბინების რაოდენობას, რომელსაც კოოპერატივი აგებს სახლის ან სახლების მშენებლობის გეგმის მიხედვით.

10. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა შემადგენლობის ცვლილებებს დაამტკიცებს ის აღმასკომი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება კოოპერატივის დაარსების შესახებ.

11. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ახორციელებს აშენებული საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციას კოოპერაციული სახლის უფლებებით და თვითგამოსყიდვის საფუძველზე, სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი სრულად აგებს პასუხს სახლის შენახვისათვის და ასრულებს სახელმწიფო საბინაო ფონდის ექსპლუატაციის შესახებ გამოცემულ მოქმედ წესებსა და დებულებებს.

12. კოოპერატივი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს უვადო სარგებლობაში მიწის ნაკვეთები საცხოვრებელი და სასამსახურო შენობების ასაგებად;

ბ) განახორციელოს მშენებლობა კანონით დაწესებული საჯარო წესით;

გ) დადოს მოიჯარე ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახლის მშენებლობაზე და კაპიტალურ ან მიმდინარე რემონტზე და განახორციელოს ანგარიშსწორება შესრულებულ სამუშაოსათვის, აგრეთვე დადოს სახლის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებანი;

დ) მოაწყოს კოოპერატივის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება (სასადილოები, სამრეცხაოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ბაგები და სხვა).

13. ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოები და სხვა საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შეიძლება განლაგდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში მხოლოდ ამ კოოპერატივის თანხმობით.

14. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს მოქმედი ტიპიური პროექტის შესაბამისად და იმ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის დადგენილ ვადებში, რომლებიც შენდება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ხოლო კოოპერატივის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა განისაზღვრებოდეს იმ ფასების, ნორმების შესაბამისად, და წესით, რაც დადგენილია სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა წევრებს შეაქვთ ფულადი სახსრები სახლების მშენებლობისათვის, აღნიშნული სახარჯთაღრიც-

ხვო ღირებულების შესაბამისად.

სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადამეტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები აუნაზღაურებენ საჯარო ორგანიზაციებს ხარჯთაღრიცხვებით გაუთვალისწინებელი ხარჯების მიხედვით, რომლებსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დამკვეთები გადაუხდიან საჯარო ორგანიზაციებს კოოპერატივის სახსრების ხარჯზე, კომპენსაციებისა და შეღავათების სახით იმ წესით, რაც დადგენილია სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის.

15. სესხის მიცემა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მშენებლობა შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კოოპერატივები სამშენებლო ბანკში შეიტანენ საკუთარ სახსრებს სახლის ღირებულების სულ ცოტა 40 პროცენტის ოდენობით და კოოპერატივს მიეცემა სახელმწიფო კრედიტი, დამტკიცდება პროექტი დადგენილი წესით და მიეცემა ნებართვა მშენებლობის შესახებ. მშენებლობის მოცულობა, დაწყებისა და დამთავრების ვადები აღინიშნება მიწის ნაკვეთით უვადო სარგებლობის ხელშეკრულებაში.

16. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიეცემათ კრედიტი მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 60 პროცენტამდე ოდენობით 10-15 წლის ვადით, რაც ყოველწლიურად დაიფარება თანაბარ წილად.

სესხით სარგებლობისათვის კოოპერატივი იხდის პროცენტებს წლიურად ერთი პროცენტის ოდენობით. ვადაგასულ გადასახდელთა თანხას დაერიცხება 3 პროცენტი წლიურად ვადის გასვლის პერიოდში.

17. სამშენებლო ბანკის დაწესებულებებიდან კრედიტის მისაღებად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივმა ბანკს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

ა) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების ასლი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ;

ბ) დადგენილი წესით დამტკიცებული და რეგისტრირებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდების ასლი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) იმ სათანადო ორგანოს ნებართვა კოოპერატივისათვის მიწის გამოყოფის შესახებ, რომლის განკარგულებაშიც გამოყოფილია კოოპერაციული საბინაო-მშენებლობის დაკრედიტების ლიმიტი;

დ) ცხობა პროექტისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შესახებ და ხარჯთაღრიცხვის ასლები;

ე) შიგასამშენებლო სატიტულო სია;

ვ) კოოპერატივის ხელშეკრულება საჯარო ორგანიზაციასთან;

ზ) კოოპერატივის განცხადება-ვალდებულება.

18. სამშენებლო ბანკის შესაბამის დაწესებულებაში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს გაუხსნიან პირად და სასესხო ანგარიშს, საიდანაც წარმოებს სახლის მშენებლობისათვის კრედიტის გაცემა კოოპერატივის მიერ შეტანილი საკუთარი სახსრების გამოყენების შემდეგ.

19. დაწესებულ ვადაში სესხის შესატანების გადაუხდელობის დროს ვადაგასული დავალიანების თანხა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს დაექვითება ანგარიშიდან უდავო წესით, ბანკის შესაბამისი დაწესებულების ბრძანებით.

უკეთუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ექვს თვეზე მეტ ხანს არ გადაიხდის სესხის მორიგ შესატანებს, სამშენებლო ბანკის დაწესებულებას უფლება აქვს სასამართლო წესით ვადამდე გადაახდევინოს სესხის მთელი დავალიანება, დავალიანების მიქცევით კოოპერატივის კუთვნილ სახლზე ან სხვა ქონებაზე.

20. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი ვალდებულია სესხით აგებული შენობა დააზღვევოს და ბანკის წინაშე სრულად აგოს პასუხი სახლის შენახვისათვის სესხის მთლიანად დაფარვამდე.

21. იმ შემთხვევაში, თუ აგებული სახლი აღებულ იქნა ან განადგურდა ხანძრისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა გამო, ასანაზღაურებელი თანხა, რომელიც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს ერგება, გადაირიცხება ბანკის შესაბამის დაწესებულებაში, იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სესხის ვადამდე დასაფარავად.

22. კოოპერატივის მიერ აგებული საცხოვრებელი შენობები და სხვა ნაგებობანი ეკუთვნის მას კოოპერაციული საკუთრების უფლებებით და არ შეიძლება გაიყიდოს ან გადაეცეს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ (ბინები, ოთახები) არც ორგანიზაციებს, არც ცალკეულ პირებს, გარდა კოოპერატივის ლიკვიდაციის დროს განხორციელებული გადაცემისა.

23. კოოპერატივი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე ყველა მისი კუთვნილი ქონებით.

III. კოოპერატივის სახსრები

24. კოოპერატივის სახსრები შედგება:

ა) კოოპერატივის წევრთა შესასვლელი შენატანისაგან;

ბ) საპაიო შენატანისაგან;

გ) სახლის შესანახი და საექსპლუატაციო შენატანისაგან;

დ) სხვა შემოსულობათაგან.

25. საერთო კრების დადგენილებით კოოპერატივს შეუძლია შექმნას სპეციალური ფონდები, რომლებიც მოხმარდება კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამის მიზნებს. სპეციალური ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს კოოპერატივის საერთო კრება.

IV. კოოპერატივის წევრთა უფლებანი და მოვალეობანი

26. კოოპერატივის თვითეულ წევრს მიეცემა მუდმივ სარგებლობაში მისი პაის ოდენობის შესაბამისი ცალკე ბინა.

კოოპერატივში შესვლისას კოოპერატივის წევრი ვალდებულია ზუსტად აღნიშნოს, მისი ოჯახის რომელი წევრები გადასახლდებიან კოოპერატივის სახლში.

მოქალაქე, რომელიც კოოპერატივში შესვლისას განაცხადებს, რომ კოოპერატივის სახლში გადავა მისი ოჯახი მთელი შემადგენლობით, ვალდებულია მის მიერ დაკავებული საბინაო ფართობი გადასცეს სახლმმართველობას მას შემდეგ, რაც მას კოოპერატიეის სახლში მისცემენ ბინას.

კოოპერატივის წევრისა და მისი ოჯახის გადასვლასთან დაკავშირებით გათავისუფლებული საბინაო ფართობი გადაეცემა იმ მოქალაქეთა სარგებლობაში, რომლებიც კოოპერატივის წევრთან ერთად არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მუდმივი მობინადრის უფლებით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლებში იმ იზოლირებული ზედმეტი ოთახის ჩამორთმევა, რომელიც გათავისუფლდა კოოპერატივის წევრის კოოპერატივის სახლში გადასვლის შედეგად, შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი თვითონ არ შეასახლებს ვინმეს გათავისუფლებულ სადგომში 3 თვის განმავლობაში საბინაო ორგანოს წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან.

27. კოოპერატივის წევრები მოვალენი არიან სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში კოოპერატივის მიმდინარე ანგარიშზე შეიტანონ ფულადი სახსრები საპაიო თანხის არანაკლებ 40 პროცენტის ოდენობით. კოოპერატივის თვითეული წევრის საპაიო თანხა არ შეიძლება ერთი ცალკე ბინის სამშენებლო ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

28. კოოპერატივის წევრებს უფლება აქვთ ისარგებლონ სამშენებლო ბანკის დაწესებულებების მიერ კოოპერატივისათვის გამოყოფილი კრედიტით არაუმეტეს საპაიო თანხის 60 პროცენტის ოდენობით.

29. კოოპერატივის წევრი ვალდებულებას კისრულობს დაწესებულ ვადებში დაფაროს სესხი. კრედიტის სარგებლობისათვის კოოპერატივის წევრები იხდიან პროცენტებს წლიურად ერთი პროცენტის ოდენობით. ვადაგასული დავალიანების თანხაზე კოოპერატივის წევრს დაერიცხება წლიურად 3 პროცენტი ვადის გადაცილების პერიოდში.

30. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრს არ შეუძლია ერთდროულად იყოს მეორე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი.

31. კოოპერატივის წევრს უფლება აქვს:

ა) თავის ოჯახთან ერთად იცხოვროს კოოპერატივის მიერ მიცემულ საცხოვრებელ სადგომში;

ბ) ნებაყოფლობით, თავისი განცხადებით, გავიდეს კოოპერატივიდან მისი არსებობის ყოველ დროს, როგორც მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის დროს, ისე მისი დამთავრების შემდეგ;

გ) კოოპერატივის საერთო კრების თანხმობით გადასცეს თავისი პაი და მისთვის მიცემული სადგომით სარგებლობის უფლება მშობლებს, ქმარს (ცოლს), ან შვილებს, თუ ეს პირნი მანამდე სარგებლობდნენ აღნიშნული სადგომებით მეპაიესთან ერთად.

32. კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივის შემადგენლობიდან იმ შემთხვევაში, თუ არ დაემორჩილება წესდებას, თუ არ შეასრულებს საერთო კრების მიერ დაწესებულ ვალდებულებებს, თუ არ გადაიხდის სესხის მორიგ შესატანებს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, თუ დაანგრევს ან გააფუჭებს საცხოვრებელ ფართობს, თუ გამოიჩენს ისეთ საქციელს, რაც შეუძლებელს ხდის სხვა პირთათვის კოოპერატივის საცხოვრებელ ფართობში ცხოვრებას.

კოოპერატივის შემადგენლობიდან გარიცხული წევრის გასახლება კოოპერატივის სახლიდან ხდება სასამართლო წესით, მასთან მცხოვრებ ყველა პირთან ერთად, სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის წევრი გაირიცხება მასთან ერთად ცხოვრების შეუძლებლობის გამო, საბინაო სადგომი რჩება გარიცხულის ოჯახის სარგებლობაში იმ პირობით, თუ ოჯახის ერთ-ერთი წევრი შევა კოოპერატივში.

33. კოოპერატივიდან გასულ წევრს უბრუნდება მის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები პაის სახით, დავალიანების დაქვითვით, ხოლო გათავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი საერთო კრების გადაწყვეტილებით მიეცემა კოოპერატივის შემადგენლობაში მიღებულ მეორე პირს.

კოოპერატივის ახლად მიღებულ წევრის ფულადი სახსრების ოდენობა არ შეიძლება იყოს კოოპერატივიდან გასული წევრის კუთვნილ თანხაზე ნაკლები.

კოოპერატივიდან გასულ წევრს უბრუნდება მისი პაი არაუგვიანეს 3 თვის ვადისა საერთო კრების მიერ საოპერაციო წლის წლიური ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, რომლის განმავლობაში მეპაიე გასული იყო კოოპერატივის შემადგენლობიდან.

34. კოოპერატივის გარდაცვლილი წვერის პაი გადადის მის მემკვიდრეებზე.

კოოპერატივში შესვლისას მეპაიეს მიერ თავის თანამობინადრეებად დასახელებულ პირებს ან მისი ოჯახის წევრებსა და კმაყოფაზე მყოფთ, რომლებიც კოოპერატივის სახლში ცხოვრობენ, უპირატესი უფლება აქვთ მეპაიეს გარდაცვალების შემდეგ ისარგებლონ ბინით, თუ შეელენ კოოპერატივის წევრად.

მემკვიდრეებს, რომელთაც არ უსარგებლიათ ბინით სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში, აგრეთვე უარი განაცხადეს ბინის შემდგომ სარგებლობაზე, მიეცემათ მემკვიდრეობით მიღებული პაის ღირებულება ან მისი ნაწილი.

35. კოოპერატივის წევრად მიღებული პირი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე კრედიტორის წინაშე.

36. კოოპერატივის წევრი ვალდებულია გაიღოს სახლის მმართველობისა და ექსპლუატაციის ხარჯები იმ ოდენობით, რაც დაწესებულია კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ.

V. კოოპერატივის მმართველობის ორგანოები

37. კოოპერატივის მმართველობის ორგანოებია:

კოოპერატივის წევრთა კრება და კოოპერატივის გამგეობა.

საერთო კრება არის კოოპერატივის უმაღლესი ორგანო და გადაწყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) კოოპერატივის წევრთა მიღება და გარიცხვა;

ბ) მშენებლობის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვა და მიღება, მათი შემდგომი დამტკიცებით იმ აღმასკომის დაწესებულებაში, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივის წესდება;

გ) კაპიტალურ და მიმდინარე რემონტის გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის, აგრეთვე წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმის და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

დ) კოოპერატივის წევრთა შორის იმ სესხთა განაწილება, რომელსაც კოოპერატივი ბანკის დაწესებულებიდან ღებულობს;

ე) საცხოვრებელი სადგომების განაწილება კოოპერატივის წევრებს შორის, აგრეთვე ნებართვა, რომ კოოპერატივის წევრმა თავისი პაი გადასცეს მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, და ამ გადაცემის გაფორმება დადგენილი წესით;

ვ) შესასვლელი და საპაიო შესატანების, აგრეთვე სესხის დავალიანების დაფარვის შესატანებისა და სახლის შესანახი და საექსპლუატაციო შესატანების ოდენობის დადგენა;

ზ) კოოპერატივის წევრთა მონაწილეობის ოდენობის დადგენა სახლთმეურნეობის ხარჯებში;

თ) კოოპერატივის სპეციალური ფონდების შექმნა;

ი) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა;

კ) გამგეობასა და სარევიზიო კომისიის მოქმედებაზე შემოსული საჩივრების განხილვა.

38. საერთო კრებას გამგეობა იწვევს წელიწადში ორჯერ მაინც. საგანგებო საერთო კრებას გამგეობა იწვევს ექვსი დღის ვადაში კოოპერატივის წევრთა ერთი მესამედის, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ან მშრომელთა დეპუტატების რომ საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის მოთხოვნით, რომელმაც კოოპერატივის წესდება რეგისტრაციაში გაატარა.

39. საერთო კრება შედგება მაშინ, როცა მას დაესწრება კოოპერატივის წევრთა რიცხვის ან კოოპერატივის წევრთა ნდობით აღჭურვილ პირთა არანაკლები ორი მესამედისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებას ღებულობს საერთო კრება კოოპერატივის დამსწრე წევრთა და ნდობით აღჭურვილ პირთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

საერთო კრების გადაწყვეტილება საპაიო შესატანის, სახლის შესანახი და საექსპლუატაციო შესატანის ოდენობის, კოოპერატივიდან გარიცხვისა და კოოპერატივის ლიკვიდაციის შესახებ მიიღება კრების მონაწილე კოოპერატივის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

40. კოოპერატივის გამგეობას ირჩევს საერთო კრება სულ მცირე სამი წევრის რაოდენობით ორი წლის ვადით და თავის მოვალეობას ასრულებს საზოგადოებრივ საწყისებზე.

გამგეობა თავის შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს (მოადგილეებს) და ხაზინადარს.

41. გამგეობა არის კოოპერატივის აღმასრულებელი ორგანო, საერთო კრების ანგარიშვალდებული. გამგეობის მოვალეობაში შედის:

ა) კონტროლის გაწევა იმისადმი, რომ კოოპერატივის მიმდინარე ანგარიშზე დროზე ჩაირიცხოს მშენებლობის საკუთარი სახსრები და კოოპერატივის წევრთა სხვა შესატანები;

ბ) კოოპერატივის წევრთა განცხადება-ვალდებულებათა შენახვა, დაწესებულ ვადაში ვალდებულებათა დაფარვისათვის თვალყურის გასაწევად;

გ) გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების შედგენა;

დ) სახლთმეურნეობის მართვა;

ე) მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება სახლთმეურნეობის მომსახურებისათვის და მათი დათხოვნა;

ვ) კოოპერატივის სახელით ხელშეკრულებათა დადება და სხვა გარიგების შესრულება;

ზ) კოოპერატივის წარმომადგენლობა ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებაში;

თ) კოოპერატივის საქმისწარმოება და ანგარიშსწორება;

ი) ამ წესდებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებათა შესრულება.

42. კოოპერატივის გამგეობას უფლება აქვს განაგოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ნაღდი სახსრები, რომელიც ინახება ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, კოოპერატივის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული საფინანსო გეგმის შესაბამისად.

43. სარევიზიო კომისიას ირჩევს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება სამი წევრის შემადგენლობით ორი წლის ვადით და არის ორგანო, რომელიც კონტროლს უწევს და რევიზიას უკეთებს გამგეობის საქმიანობას.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან აირჩევს თავმჯდომარეს.

44. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთსა და იმავე დროს ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები, ღვიძლი ძმები, დები და მათი ცოლ-ქმრები.

45. კოოპერატივი თავის საქმიანობას ახორციელებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს იმ აღმასკომის მეთვალყურეობითა და კონტროლით, რომელმაც გაატარა მისი წესდება რეგისტრაციაში;

46. სამოქალაქო-უფლებრივი დავა კოოპერატივსა და მის წევრებს შორის წყდება სასამართლო წესით.

VI. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა და მისი ლიკვიდაცია

47. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის საქმიანობას, მისი საქმიანობისა და ქონების ლიკვიდაციით, შეწყვეტს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წინადადებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ შექმნილი სალიკვიდაციო კომისია იმ შემთხვევაში:

ა) როცა სასამართლო იცნობს კოოპერატივს ვალაუვალად;

ბ) როცა სასამართლოს დადგენილებით კოოპერატივი აცდენილია წესდებაში აღნიშნულ მიზნებს.

48. კოოპერატივის საქმეების ლიკვიდაცია ხდება შესაბამისად კანონებისა კოოპერაციული ორგანოების საქმიანობის შეწყვეტის წესის შესახებ, მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივის წესდება.

49. კოოპერატივის ქონება, რაც დარჩება კოოპერატივისადმი წარდგენილი ყველა პრეტენზიის დაკმაყოფილების, მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისა და კოოპერატივის წევრებისათვის საპაიო შენატანის გადახდის შემდეგ, აგრეთვე ყველა საქმე და საბუთი გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების იმ ადგილობრივ საბჭოს, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოოპერატივის წესდება.

101 ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების თავიდან აშორებისა და ლიკვიდაციის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, საქართველოს სსრ სახალხო ბეურნეობის საბჭო და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 აგვისტოს დადგენილებას „სამრეწველო მავნე ნაყარებისაგან ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ". არ არის შემუშავებული რესპუბლიკის სამრეწველო ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების შემცირების ტექნიკურ-ეკონომიურ ღონისძიებათა გეგმა. მოუგვარებელია გაზკვამლმტვრსაჭერებით კომუნალურ-სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების უზრუნველყოფის საკითხი.

იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიამ გამოაელინა სამრეწველო მავნე ნაყარებისაგან ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აშორების საქმეში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაავალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე ჩაატარონ ინვენტარიზაცია იმ სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებისა, რომლებიც ატმოსფერულ ჰაერს აბინძურებენ სამრეწველო მავნე ნაყარებით, და შეიმუშაონ 1963-1965 წლების პერსპექტიული გეგმა სამუშაოებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ატმოსფერული ჰაერის დაცვას გაბინძურებისაგან.

აღრიცხონ სამრეწველო საწარმოებსა და საქვაბეებში არსებული საწმენდი დანადგარები და დაახასიათონ მათი გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუგზავნონ ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აშორების საკითხების მთავრობის მუდმივ კომისიას სამუშაო გეგმა, ინვენტარიზაციისა და შემოწმების მასალები:

ბ) კატეგორიულად აკრძალონ მიწის ნაკვეთების გამოყოფა ობიექტების მშენებლობისათვის, მიუხედავად მათი დანიშნულებისა და მათი საექსპლუატაციოდ გადაცემა ქალაქის სანეპიდემიური სადგურის სანქციის გარეშე, ამასთან მტკიცედ იხელმძღვანელონ დაწესებული სანიტარული ნორმებით;

გ) იმ მიზნით, რომ დასახლებულ პუნქტებში არ იქნას დაშვებული მტვერწარმოქმნა:

უზრუნველყონ ფხვიერი საშენი მასალების დროული და წესიერი გადაზიდვა ტრანსპორტით და მათი შენახვა სამშენებლო და სარემონტო ობიექტებზე, აგრეთვე საშენი მასალების საწარმოებში, საწყობებში, ბაზებსა და რკინიგზის დასატვირთავ-გადმოსატვირთავ მოედნებზე.

არ დაუშვან მომავალში ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების წარმოების ჩამორჩენა ობიექტების მშენებლობისაგან და უზრუნველყონ სამშენებლო მოედნებიდან სამშენებლო ნაგავის დროულად გატანა.

არ დაუშვან ქალაქის გასავლელებსა და მოედნებზე მიწისქვეშა სამუშაოების წარმოების ვადების გაჭიანურება.

მიიღონ ქმედითი ზომები ქალაქის გასავლელებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავებისა და გარეცხვის გაუმჯობესებისათვის.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღება მიექცეს იმას, რომ სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებმა შეასუსტეს მოთხოვნილება და სრულად არ იყენებენ მთავრობის მიერ მინიჭებულ უფლებებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჯეროვან ზომებს არ იღებენ ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აშორებისათვის, და დაევალოს:

ა) უზრუნველყოს მუდმივი მეთვალყურეობა ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობაზე რესპუბლიკის ყველა ქალაქში;

ბ) გადასინჯოს ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების დონის ლაბორატორიული შესწავლის პუნქტების განლაგება ქალაქ თბილისში, ისე რომ ამ ღონისძიებამ მოიცვას ძირითადი სამრეწველო და საცხოვრებელი რაიონები.

გ) მიიღოს ზომები, რათა სანიტარული ეპიდემიოლოგიური სადგურების ლაბორატორიები შეივსოს დანაკლისი აპარატურით;

დ) იმ მიზნით, რომ სწორად დადგინდეს ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების მდგომარეობა და აისახოს ანგარიშებში, უზრუნველყოს ლაბორატორიის მუშაკების ჯეროვანი ინსტრუქტაჟის მოწყობა.

3. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების ხელმძღვანელობის ყურადღება მიექცეს იმას, რომ მათ არ მიიღეს ქმედითი ზომები, რათა სისტემატური კონტროლი გაეწიათ და არ დაეშვათ იმ მანქანების ექსპლუატაცია, რომლებსაც უწესივრო ძრავები აქვთ და ძლიერ ბოლავენ.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს, რესპუბლიკის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, უახლოეს ხანში შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია, უპირველეს ყოვლისა:

ა) აღიკვეთოს იმ ავტომობილების ექსპლუატაცია, რომლებიც უწესივრო ძრავებით მუშაობენ და ძლიერ ბოლავენ;

ბ) მნიშვნელოვნად შემცირდეს წვრილ ავტომეურნეობათა რიცხვი მათი გამსხვილების გზით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი დასკვნა, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს სს რესპუბლიკაში გაზსაწმენდ მოწყობილობათა დაპროექტებისა და გამართვის სპეციალიზებული ბიუროს შექმნა.

6. ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აშორების საკითხების სახელმწიფო მუდმივმა კომისიამ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე ღონისძიებათა პროექტი 1963 წელს რესპუბლიკის ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ყველაზე ძლიერი მავნე კერების ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო 1962 წლის ბოლომდე — სამრეწველო ნაყარისაგან ატმოსფერული ჰაერის გა-

ბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოების პერსპექტიული გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 25 სექტემბერი, № 661

102 ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ინსტრუქცია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუბავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 8 ოქტომბერი, № 693

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 8 ოქტომბრის № 693 დადგენილებით

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვის, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის წესის შესახებ

1. ეს ინსტრუქცია ადგენს წესს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვის, განაშენიანების და კეთილმოწყობის

სამუშაოთა შესრულებისა საქართველოს სსრ იმ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გამოყოფილი იქნება მიწის ნაკვეთები და გამოიყოფა კრედიტები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

2. მასობრივი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ახალი რაიონების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტებს შეიმუშავებენ საპროექტო ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენის საქალაქო ორგანოების შეკვეთებით, ხოლო იქ, სადაც ასეთი ორგანოები არ არსებობენ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქალაქო და რაიონული ორგანოების შეკვეთებით.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება ხორციელდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც ქალაქთა მთავარ არქიტექტორებთან და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქალაქო და რაიონულ ორგანოებთან არსებული სამეურნეო ანგარიშის ჯგუფები მიიღებენ მიწის ნაკვეთების გამოყოფის სამუშაოებისა და სხვა მომსახურებისათვის.

3. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებს, აგრეთვე საკუთრივ ამ რაიონების კეთილმოწყობის (წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება და საგზაო მშენებლობა) სამუშაოებს შეასრულებენ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქალაქო და რაიონული ორგანოების შეკვეთებით.

ამ სამუშაოებთან დაკავშირებული დანახარჯების დაფინანსება ხორციელდება იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც ბიუჯეტით გამოიყოფა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებისათვის.

4. ქალაქთა მთავარ არქიტექტორებთან ან საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქალაქო ორგანოებთან არსებულ სამეურნეო ანგარიშის ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და სხვა მომსახურების სამუშაოებს აქვთ თავიანთი ანგარიში ბანკში.

მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა საქალაქო განყოფილებებთან ან საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინის-

ტროს საქალაქო და რაიონულ ორგანოებთან არსებულ სამეურნეო ანგარიშის ჯგუფებში მუშაკთა რაოდენობას დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით.

სამეურნეო ანგარიშის ჯგუფის სახსრების განმკარგულებელია ქალაქის მთავარი არქიტექტორი ან კომუნალური მეურნეობის განყოფილებებისა და კომბინატების გამგეები.

5. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები დაამტკიცებენ:

ა) იმ სამუშაოთა ფასების პრეისკურანტებს, რომლებსაც ასრულებენ ქალაქთა მთავარ არქიტექტორებთან და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქალაქო და რაიონულ ორგანოებთან არსებული სამეურნეო ანგარიშის ჯგუფები, სამუშაოთა მოცულობის და მათი ფაქტიური თვითღირებულების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 30 მანეთისა, რაც ინდივიდუალურ მენაშენეებს გადახდებათ ყოველგვარი მომსახურებისათვის, გარდა ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური გადაღებისა, მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და საცხოვრებელი სახლის პროექტის შედგენისა ადგილზე მისი მორგებით;

ბ) მიწის ნაკვეთების გამოყოფის ყოველწლიურ გეგმებს, ამასთან დაადგენენ გამოსაყოფი ნაკვეთების რაოდენობას ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დასაკრედიტებლად გაცემული სახსრების და იმის გათვალისწინებით არსებობს თუ არა რეალური შესაძლებლობა, რომ მიეცეთ მენაშენეებს საშენი მასალები.

6. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ტერიტორიის გადაღების ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამუშაოები, რომლებიც საჭიროა მასობრივი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შესადგენად, შესრულდება ქალაქების გადაღებისა და დაგეგმვის იმ სამუშაოთა წლიური გეგმების შესაბამისად, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე წარმოებს.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც განზრახულია ძვირადღირებული საპროექტო-საგეგმო სამუშაოების წარმოება, რასაც იწვევს იმ ადგილის რელიეფის სირთულე, სადაც ნაკარაუდევია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონები, საქართველოს სსრ სახმშენებლობა ეძლევა გაითვალისწინოს წლიური გეგმებით აღმასკომებისა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს განაცხადებით, სახსრები საპროექტო-საგეგმო სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

„სოიუზპეჩატი-ს“ საქალაქო და სარაიონო განყოფილებებში წარმოებს ხელის მოწერა საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულზე 1963 წლისათვის.

კრებულში ქვეყნდება ნორმატიული ხასიათის აქტები სახელმწიფო მმართველობის და სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც შეეხება საბჭოთა ორგანოების მუშაობას, სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, კულტურას, სოცუზრუნველყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სხვა.

კრებულის გამოწერა შეუძლია როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, ისე მათ თანამშრომლებს და აგრეთვე ყველა მოქალაქეს.

დააჩქარეთ ხელის მოწერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

ფლიერი ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 728

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა